

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ელინა მესხი**

**ეპისტემური მოდალობისა და ევიდენციალობის საკითხისათვის  
თანამედროვე გერმანულ მასმედიის ენაში**

**ფილოლოგიის ( 0232 ) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი**

**დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა**

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:**

**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**ელისო ქორიძე**

**ქუთაისი, 2021**

## სარჩევი

შესავალი .....	3
1. მოდა ლობა როგორც სემანტიკურ-პრაგმატულ ფენომენი. ეპისტემურობისა და ევიდენცია ლობის არსი და რაობა .....	17
1.1. მოდა ლობის კატეგორიის კვლევა მოდა ლურ ზმნებთან .....	17
1.1.1. ცირკუმსტანციული მოდა ლობის ტიპები .....	24
1.2. ეპისტემურობა და მისი სემანტიკურ-პრაგმატულ მახასიათებლები .....	29
1.2.1. ეპისტემური მოდა ლური ზმნები როგორც დიქტური ნიშნები .....	37
1.2.2. ეპისტემურ მოდა ლურ ზმნებზე გავრცელებული მორფო- სინტაქსური	
შეზღუდვები .....	41
1.3. ევიდენცია ლობის კატეგორიის ფუნქციური ასპექტები .....	49
1.4. დასკვნა .....	64
2. წინა და დების ზმნიზე დები როგორც ეპისტემური/ევიდენცია ლური მოდა ლური ზმნების სუბსტიტუციის საშუალებები .....	67
2.1. წინა და დების ზმნიზე დების კვლევის ტრადიციები .....	67
2.1.1. წინა და დების ზმნიზე დების სინტაქსური თავისებურებები .....	72
2.1.2. წინა და დების ზმნიზე დების სემანტიკური კლასიფიკაცია .....	77
2.1.3. წინა და დების ზმნიზე დები როგორც მონოდექტური ენობრივის საშუალებები .....	80
2.2. ეპისტემური/ევიდენცია ლური წინა და დების ზმნიზე დებისა და მოდა ლური ზმნების შედარებითი ანალიზი .....	85
2.3. დასკვნა .....	94
3. ეპისტემური/ევიდენცია ლური მოდა ლური ზმნებისა და წინა და დების ზმნიზე დების კორპუსით განპირობებული კვლევა .....	96
3.1. ევიდენცია ლური მარკერები .....	96

3.1.1. angeblich.....	96
3.1.2. vorgeblich... ..	103
3.1.3. offensichtlich.....	109
3.1.4. sollen.....	115
3.1.5. wollen... ..	122
3.2. ეჭვის ტემური მარკერები .....	128
3.2.1. wahrscheinlich .....	128
3.2.2. vielleicht.....	134
3.2.3. mutmaßlich... ..	139
3.2.4. dürfen.....	144
3.2.5. mögen... ..	152
3.2.6. müssen... ..	159
3.2.7. können.....	166
დასკვნა .....	172
გამოყენებულ ლტერა ტურა .....	177

## შესავალი

მოდა ლობა, თავისი ფართო თემატური ველთა ყოველთვის იყო და დღესაც რჩება ინტენსიური ენათმეცნიერულ დისკუსიის საგნად. მისი სემანტიკურ-ფუნქციონალური სფერო, ფორმალური რეალობა, პრაგმატული ასპექტები კვლევის მდლადრი ტრადიციით გამოირჩევა. **ეპისტემურობა**, როგორც მოდა ლობის ერთერთი ძირითადი ტიპი, ასევე არაკარგავს მკვლევათა მზარდინტერესს.

**ევიდენციალობა** გერმანულ ენათმეცნიერებაში შედარებით ახალ ფენომენია. ტრადიციულად, მისი გამომხატველ საშუალებები მოდა ლობის, კერძოდ, ეპისტემურობის გამომხატველ საშუალებებს მიეკუთვნება. მაგალითად, *wollen* და *sollen* განიხილება დაწარქენ მოდა ლურ ზმნებთან ერთად ეპისტემურ მარკერებად ისევე როგორც წინადადების ზმნიზედები - *angeblich*, *offensichtlich* და სხვ. - მოდა ლურ სიტყვებად ამის მიზეზია ორივე კატეგორიის სემანტიკური სიახლე, ისევე როგორც

მსგავსი ან იდენტური გამომხატვის ფორმები.

ბოლო ათწლეულის ენათმეცნიერულ ლტერატურაში შეინიშნება ევიდენციალობის დამოუკიდებელ კატეგორიად ჩამოყალიბების ტენდენცია. შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ევიდენციალობა ეპისტემური მოდა ლობის არეალს შემცირების ხარჯზე იმკვიდრებს ადგილს.

სადსერტაციონაშრომი ემდგნება, ერთს მხრივ, ეპისტემური მოდა ლობისა და ევიდენციალობის ურთიერთიმართებას, მეორეს მხრივ, კი მათ გამომხატველ საშუალებას - მოდა ლურ ზმნებსა და წინადადების ზმნიზედებს.

აღნიშნულ ფენომენებს ერთმანეთთან კავშირში და ერთმანეთსაგან დამოუკიდებელ დებერი თეორიულ ნაშრომი განიხილვს. შესაბამისად აუცილებელ დივიზიონევთ აღნიშნულ საკითხებზე არსებულ სამეცნიერო ლტერატურის დაჯგუფებას თემატური საკითხების მიხედვით. ეპისტემურ

მოდალობას    ძირითადი    იკვლევენ  
 მოდალური ზმნების პერსპექტივიდან. ეპისტემური  
 და ცირკუმსტანციული მოდალობის ტიპებს შორის არსებულ  
 განმასხვავებელნიშნებზე, ძირითადი ფუნქციურ-  
 სემანტიკურ სხვაობაზე აქცენტი კეთდება შემდეგ  
 მონოგრაფიულშრომებსა თუ სამეცნიერო სტატიებში: **ლაიონში**  
 (Lyons J. ([1977] 1983). *Semantik*. (trans.Schust J.) Band II. München: Beck),  
**ტარვაინენი** (Tarvainen K. (1976). “Die Modalverben im deutschen Modus- und Tempussystem“.

In: *Neuphilologische Mitteilungen*, 77. 9-24), **იოლშლეგერი** (Öhlschläger G. (1989). *Zur Syntax und Semantik der Modalverben des Deutschen*. Tübingen: Niemeyer), **დიტრიხი** (Dietrich R. (1992). *Modalität im Deutschen. Zur Theorie der relativen Modalität*. Opladen: Westdeutscher Verlag), **რაისი** (Reis M. (2001). "Bilden Modalverben im Deutschen eine syntaktische Klasse?". In: *Modalität und Modalverben im Deutschen. Linguistische Berichte. Sonderheft 9*. ed. Müller R., Reis M. Hamburg: Buske. 287-318).

მოდალური სისტემის ორგანიზაციის დიფერენციალური და ცირკუმსტანციული მოდალური სისტემის მახასიათებლებს და მოდალური ორივე ტიპის შორის არსებულ შინაგან კავშირს წარმოგიდგინებთ მკვლევრები: **ბეხი** (Bech G. (1949). "Das semantische System der deutschen Modalverben". In: *Travaux du Cercle Linguistique de Copenhagen*, 4. 3-46), **კალბერტი** (Calbert J. P. (1971). "Modality and Case Grammar". In: *Working Paper in Linguistics*, 10. 85-132), **ელიხი/რეხაინი** (Ehlich K., Rehbein J. (1972). "Einige Interrelationen von Modalverben". In: *Linguistische Pragmatik*. ed. Wunderlich D. Frankfurt: Athenäum. 318-340), **ბრუნერი/რედდერი** (Brünner G., Redder A. (1983). *Studien zur Verwendung der Modalverben*. Mit einem Beitrag von Dieter Wunderlich. Tübingen: Narr), **დივალდი** (Diewald G. (1999). *Die Modalverben im Deutschen: Grammatikalisierung und Polyfunktionalität*. Tübingen: Niemeyer).

მოდალური ერთგანიზაციის კონცეპციას ავიტარებთ **ზანდჰოფერ-შიქსელი** (Sandhöfer-Sixel J. (1988). *Modalität und gesprochene Sprache. Ausdrucksformen subjektiver Bewertung in einem lokalen Substandard des Westmitteldeutschen*. Stuttgart: Steiner), სამგანიზაციის კონცეპციას კი **პალმერი** (Palmer F. R. (1979). "Non-assertion and Modality". In: *Funktion and context in linguistic analyses. A Festschrift for William Haas*. Cambridge: Cambridge University Press. 185-195).

ფორმალურ ლოგიკაზე ორიენტირებულ მკვლევებს მიეკუთვნება შემდეგი მონოგრაფიული შრომები: **ნელსი** (Nehls D. (1986). *Semantik und Syntax des englischen Verbs. Teil 2: Die Modalverben. Eine kontrastive Analyse der Modalverben im Englischen und Deutschen*. Heidelberg: Groos), **კრატერი** (Kratzer A. (1978). *Semantik der Rede. Kontexttheorie – Modalwörter – Konditionalsätze*. Königstein: Scriptor).

ენების შეპირისპირებით შესწავლას ქრილი  
განსაკუთრებით საინტერესოა მილანის მონოგრაფიული შრომა (Milan  
C. (2001). *Modalverben und Modalität. Eine kontrastive Untersuchung Deutsch-Italienisch.*  
Tübingen: Niemeyer. (Linguistische Arbeiten; 444), ისევე

როგორც **მორტელმანსი** (Mortelmans T. (2010). “Falsche Freunde: Warum sich die Modalverben *must*, *müssen* und *moeten* nicht entsprechen“. In: *Modalität/Temporalität in kontrastiver und typologischer Sicht*. ed. Katny A., Socka A. Frankfurt am Main: Peter Lang. 133-148).

გერმანულ მოდალური ზმნების კვლევებზე დღე  
გავლენითსარგებლობს **ქოუტისის** შრომა (Coates J. (1983). *The semantics of the modal auxiliaries*. London: Croom Helm), რომელიც მოდალბას ინგლისური  
მოდალური ზმნების პერსპექტივიდან განიხილვს.

ეპისტემური და ცირკუმსტანციული მოდალური ზმნების  
გრამატიკალზაციის საკითხებს განიხილვენ ავტორები: **ლეტნესი**  
(Letnes O. (2001). “Deutsche Modalverben zwischen Lexemen und Grammemen“. In: *Modalität und mehr*. ed. Vater H., Letnes O. Trier: WVT Wissenschaftlicher Verlag Trier. (Fokus; Bd. 23). 65-80), **დივალდი** (Diewald G. (1993). “Zur Grammatikalisierung der Modalverben im Deutschen“. In: *Zeitschrift für Sprachwissenschaft* 12, 2. Vandenhoeck & Ruprecht. 218-234),  
**დივალდი** (Diewald G. (2009). “Die Interdependenzen von Kontexttypen bei Grammatikalisierungsprozessen illustriert am Beispiel der deutschen Modalverben“. In: *Modalität. Epistemik und Evidentialität bei Modalverb, Adverb, Modalpartikel und Modus*. ed. Abraham W., Leiss E. Tübingen: Stauffenburg. 101-122), **ვატერი** (Vater H. (2001). “Sollen und wollen – zwei ungleiche Brüder“. In: *Modalität und mehr*. ed. Vater H., Letnes O. Trier: WVT Wissenschaftlicher Verlag Trier. (Fokus; Bd. 23). 81-100).

ორიბი თქმის/რეპორტულ ფუნქციაში მოდალური ზმნების  
კვლევებიდან მნიშვნელოვანია: **ლეტნესი** (Letnes O. (2008). “Quotatives *sollen* und Sprecherhaltung“. In: *Modalität und Grammatikalisierung* ed. Letnes O., Maagerø E., Vater H. Trier: WVT Wissenschaftlicher Verlag Trier. 23-37), **ლეტნესი** (Letnes O. (1997). “Sollen als Indikator für Redewiedergabe“. In: *Studien zu Deutsch als Fremdsprache III: Aspekte der Modalität im Deutschen*

– auch in kontrastiver Sicht. ed. Debus, F., Leirbukt, O. Hildesheim: Olms. 119-134. (Germanistische Linguistik 136), **ლეტნესი** (Letnes O. (2002a). “Wollen: zwischen Referat und Verstellung“. In: *Modus, Modalverben, Modalpartikeln*. ed. Fabricius-Hansen C., Leirbukt O., Letnes O. Trier: WVT Wissenschaftlicher Verlag Trier. (Fokus; Bd. 25). 101-120), **ლეტნესი** (Letnes O. (2002b). “Zum Bezug epistemischer Modalität in der Redewiedergabe“. In: *Modus, Modalverben, Modalpartikeln*. ed. Fabricius-Hansen C., Leirbukt O., Letnes O. Trier: WVT Wissenschaftlicher Verlag Trier. (Fokus;



Bd. 25). 85-100), **მორტელმანსი** (Mortelmans T. (2009). “Erscheinungsformen der indirekten Rede im Niederländischen und Deutschen: zou-, soll(te)- und der Konjunktiv I“. In: Abraham W., Leiss E.

(eds.) (2009). *Modalität. Epistemik und Evidentialität bei Modalverb, Adverb, Modalpartikel und Modus*. Tübingen: Stauffenburg. 171-187) და სხვ.

ევიდენციალური მნიშვნელობის გამომხატველ გრამატიკულ ინვენტარის აღმოჩენა და ევიდენციალობის პირველ აღწერა -დახასიათება ეკუთვნის **ბოასს** (Boas F. (1947). *Kwakiutl grammar. With a glossary of suffixes*. ed. Boas Yampolsky H. Philadelphia: American Philological Society).

მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ კვლევებს, რომლებმაც დაადასტურა, რომ ევიდენციალობა უნივერსალური ენობრივი კატეგორია, განეკუთვნება: **დეჰაანი** (De Haan

F. (2005). "Encoding speaker perspective: Evidentials". In: *Linguistic diversity and language theories*. ed. Zygmunt F., Hodges A., Rood D.S. Amsterdam/ Philadelphia: Benjamins. 379-397),

**აიხენვალდი** (Aikhenvald A.Y. (2003). "Evidentiality in typological perspective". In: *Studies in Evidentiality*. ed. Aikhenvald A., Dixon R.M.W. Amsterdam, Philadelphia: Benjamins. 1-31),

**ანდერსონი** (Anderson L. B. (1986). "Evidentials, paths of change, and mental maps: Typologically regular asymmetries". In: *Evidentiality: The Linguistic Coding of Epistemology*. ed. Chafe W., Nichols J. Norwood, New Jersey: Ablex. 273-312) და სხვ.

ბოლო დროის გერმანულ ენათმეცნიერულ კვლევებში, ევიდენციალობის შესწავლა ძირითადად მოდალური ზმნების პერსპექტივიდან მიმდინარეობს. ამ თვალსაზრისით

მნიშვნელოვანი შრომებია: **სმირნოვა** (Smirnova E. (2006). *Die Entwicklung der Konstruktion würde + Infinitiv im Deutschen. Eine funktional-semantische Analyse unter besonderer Berücksichtigung sprachhistorischer Aspekte*. Berlin: de Gruyter),

**სმირნოვა/დივალდი** (Smirnova E., Diewald G. (2011). "Indirekte Rede zwischen Modus, Modalität und Evidentialität". In: *Modalität und Evidentialität*. ed. Diewald G., Smirnova E. Trier: WVT Wissenschaftlicher Verlag Trier. 89-108),

**სმირნოვა/დივალდი** (Smirnova E., Diewald G. (2013). "Kategorien der Redewiedergabe im Deutschen: Konjunktiv I versus sollen". In: *Zeitschrift für germanistische Linguistik*. 41. Jg., Heft 3. ed. Ágel V., Feilke H., Linke A., Lüdeling A., Tophinke

D. KG: de Gruyter. 443 – 471), **ლაისი** (Leiss E. (2009). "Drei Spielarten der Epistemizität, drei Spielarten der Evidentialität und drei Spielarten des Wissens". In: *Modalität. Epistemik und Evidentialität bei Modalverb, Adverb, Modalpartikel und Modus*. ed. Abraham W., Leiss E.

Tübingen: Stauffenburg. [Studien zur deutschen Grammatik 77]. 3-24), **ԳՅՈՆՈ** (Leiss E. (2011).  
“Lexikalische versus grammatische Epistemizität und Evidentialität: Plädoyer für eine klare  
Trennung von Lexikon und Grammatik“. In: *Modalität und Evidentialität*. ed. Diewald G., Smirnova

E. Trier: WVT Wissenschaftlicher Verlag Trier. 149-169), **მორტელმანსი/ვანდერბიზენი** (Mortelmans T., Vanderbiesen J. (2011). “Dies will ein Parlamentarier “aus zuverlässiger Quelle“ erfahren haben. Reportives wollen zwischen sollen und Konjunktiv I der indirekten Rede“. In: *Modalität und Evidentialität*. ed. Diewald G., Smirnova E. Trier: WVT Wissenschaftlicher Verlag Trier. 69-88), **ზოკა** (Socka A. (2008). “Die Konstruktion würde+Infinitiv als evidentieller Ausdruck des Deutschen“. In: *Convivium. Germanistisches Jahrbuch Polen*, 2008. 375-403) და სხვა. აღნიშნულ შრომებში ევიდენციალობა წინააღმდეგობრივად არის წარმოდგენილი მოდალურ და ირიბი თქმის ფუნქციებთან მიმართებაში.

ევიდენციალობის და ეპისტემურობის კვლევას წინადადების ზმნიზებთან, ნაწილკებთან, მაკავშირებელ სიტყვებთან და კილოს კატეგორიასთან ეძღვება შემდეგი შრომები: **ზოკა** (Socka A. (2011). “Evidentialität und Epistemizität in der Bedeutung reportativer Satzadverbien im Polnischen und Deutschen“. In: *Modalität und Evidentialität*. ed. Diewald G., Smirnova E. Trier: WVT Wissenschaftlicher Verlag Trier. 49-68), **აბრაჰამი** (Abraham W. (2011). “Über Unhintergebarkeiten in der modernen Modalitätsforschung“. In: *Modalität und Evidentialität*. ed. Diewald G., Smirnova E. Trier: WVT Wissenschaftlicher Verlag Trier. 125-147), **აბრაჰამი** (Abraham W. (2009a). “Die Urmasse von Modalität und ihre Ausgliederung. Modalität anhand von Modalverben, Modalpartikeln und Modus. Was ist das Gemeinsame, was das Trennende, und was steckt dahinter?“. In: *Modalität. Epistemik und Evidentialität bei Modalverb, Adverb, Modalpartikel und Modus*. ed. Abraham W., Leiss E. Tübingen: Stauffenburg. 251-302), **ერლიხი** (Erlich V. (2010) “Das modale Satzadverb *vielleicht* - Epistemische (und andere?) Lesarten“. In: *Modalität/Temporalität in kontrastiver und typologischer Sicht*. ed. Katny A., Socka A. Frankfurt am Main: Peter Lang. 183-201), **რავეტო/ბლიუდორნი** (Ravetto M., Blühdorn H. (2011). “Die Kausalkonjunktionen *denn, weil, da* im Deutschen und *perché, poiché, siccome* im Italienischen“. In: *Konnektoren im Deutschen und im Sprachvergleich: Beschreibung und grammatische Analyse*. Ed. Ferraresi, G. Tübingen: Narr. 207-250).

ეპისტემურობასა და ევიდენციალობას ერთმანეთთან კავშირში იკვლევენ და მათი გამიჯვნის საკითხს სხვადასხვაგვარად წყვეტენ: **დევალდი/სმირნოვა** (Diewald G., Smirnova E. (2010). “Abgrenzung von Modalität und Evidentialität im heutigen Deutsch“. In:

*Modalität/Temporalität in kontrastiver und typologischer Sicht.* ed. Katny A., Socka A. Frankfurt am Main: Peter Lang. 113-131), ლეტნესი (Letnes O. (2011). “Über werden und sollen als modale und/oder evidentielle Marker“. In: *Modalität und Evidentialität.* ed. Diewald G., Smirnova E. Trier:

WVT Wissenschaftlicher Verlag Trier. 109-123), **კოტინი** (Kotin M. L. (2011). “Ik gihorta dat seggen... Modalität, Evidentialität, Sprachwandel und das Problem der grammatischen Kategorisierung. In: *Modalität und Evidentialität*. ed. Diewald G., Smirnova E. Trier: WVT Wissenschaftlicher Verlag Trier. 35-48), **ფინტელი/გილისი** (von Fintel K., Gillies A.S. (2007). “An Opinionated Guide to Epistemic modality“. In: *Oxford Studies in Epistemology*. Bd.2. ed. Gendler T.S., Hawthorne J. Oxford: Oxford University Press. 32-62), **გუნკელი** (Gunkel L. (2000). “Selektion verbaler Komplemente: Zur Syntax der Halbmodal- und Phrasenverben“. In: *Deutsche Grammatik in Theorie und Praxis*. ed. Thieroff R. et al. Tübingen: Niemeyer. 111-121), **პალმერი** (Palmer F. R. (2001). *Mood and Modality*. 2. Aufl. Cambridge: Cambridge University Press), **ტრაუგოტი** (Traugott E. C. (1997). “Subjektification and the development of epistemic meaning: The case of promise and threaten“. In: *Modality in Germanic Languages: Historical and Comparative Perspectives*. ed. Swan T., Westvik O. J. Berlin: de Gruyter. 185-210) და სხვ.

ეპისტემური მოდალობისა და ევიდენციალობის შესახებ არსებულ მრავალრიცხოვანი კვლევების მიუხედავად რჩება რიგი საკითხებისა, რომლებიც მონოგრაფიულ შესწავლას საგანი არ არის. ასეთს განეკუთვნება:

- ეპისტემური და ევიდენციალური კატეგორიების კვლევა წინა და დების ზმნიზე დება;
- ეპისტემური/ევიდენციალური მოდალური ზმნიებისა და იგივე შინაარსის მატარებელ წინა და დების ზმნიზე დების შედარებით ანალიზი;
- ეპისტემური და ევიდენციალური კატეგორიების პრობლემატიკის კვლევა თანამედროვე გერმანულ მასმედიის ენაში;
- ეპისტემურობისა და ევიდენციალობის სემანტიკური მნიშვნელობების სახეცვლ კომუნიკაციურ კონტექსტთან მიმართებაში.

ასევე, არის არსებითი საკითხები, რომლებიც აზრთს ხვდა და ხვდაობის საფუძველს წარმოადგენს. ასეთი ტიპის საკითხებს ჩვენ მივაკუთვნეთ:

- ეპისტემური მოდალობისა და ევიდენციალობის

გამიჯვნა ;

- ეპისტემურობასთან და ევიდენციალობასთან  
ასოცირებული შინაარსების ერთდროულ რეალობება  
მოდს ლურჯმენტან ;
- ევიდენციალური მარკერების გამიჯვნა ირიბი  
თქმის საშუალებებიდან .

**სადისერტაციო ნაშრომში მიზნად ვისახავთ** დავადგინოთ, არსებობს თუ არა ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით სხვაობა ეპისტემურობასა და ევიდენციალობას შორის, უნდა მივიჩნიოთ ისინი ერთიან თუ დამოუკიდებელკატეგორიებად შესაძლებელია თუ არა მათი გამიჯვნა, როგორც კონცეპტუალურად, ასევე გამომხატველ ენობრივი საშუალებებით.

ნაშრომის მიზანია, გამოვიკვლიოთ ეპისტემურობისა და ევიდენციალობის ურთიერთგვეთ მოდალური ზმნებისა და წინადადების ზმნიზედების მაგალთზე, ჩავატაროთ ორივე გამომხატველ საშუალებების შედარებითი ანალიზი ერთგვაროვანი კრიტერიუმების საფუძველზე და განვსაზღვროთ მათი ეკვივალენტობის საკითხი.

ასევე, მიზნად დავისახეთ მოდალური ზმნებისა და წინადადების ზმნიზედების მნიშვნელობების კვლევა მათ გამოყენებაში (parole). მოცულობითი ავთენტური ენობრივი მასალის, კონკრეტულად კი კომუნიკაციურ ფუნქციაში ტექსტების ანალიზის საფუძველზე, გვსურს შევისწავლოთ მოდალური ზმნებისა და წინადადების ზმნიზედების ენობრივ პრაქტიკაში რეალობების პროფილი, მათი სემანტიკური სკოპუსი, ძირითადი მნიშვნელობები და კომუნიკაციის პროცესში კონტექსტითან კომუნიკაციური იმპლიკატურით შემეჩილო მნიშვნელობები; ასევე გავაანალიზოთ მათი ენობრივი გარემოცვა, ტიპური სინტაქსური სტრუქტურები და ტიპური კოლოკაციები, სემანტიკური და პრაგმატული კონტექსტები, სხვა სიტყვებთან სემანტიკური თავსებადობა, მყარი შესიტყვებები და სხვ.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრა კონკრეტული **ამოცანებიც**, კერძოდ:

1. ეპისტემური მოდალობის არსისა და მისი სემანტიკურ-



პრაგმატულ მახასიათებლების შესწავლა;

2. ევიდენციალობის, როგორც უნივერსალური ენობრივი კატეგორიის, ფუნქციური მახასიათებლების შესწავლა;
3. ორივე კატეგორიის საერთო ენობრივი გამომხატველ საშუალებების - მოდალური ზმნებისა და წინადადების ზმნიზების - კვლევა და ანალიზი ერთგვაროვანი კრიტერიუმების საფუძველზე;

4. უახლესი მასმედიის ენის ტექსტების ელექტრონული კორპუსის შექმნა და მის საფუძველზე მოდალური ზმნებისა და წინადადების ზმნიწებების გამოყენების პროფილს, კოლოკაციების, ენობრივი გარემოცვის შესწავლა, ისევე როგორც, ეპისტემურობისა და ევიდენციალობის ურთიერთკავშირის კვლევა და ანალიზი. **თემის აქტუალობას** განაპირობებს ის ფაქტი, რომ ენათმეცნიერულ

ლტერატურაში ეპისტემური მოდალობა და ევიდენციალობა დღემდე მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და საკმაოდ წინააღმდეგობრივია კოზიციები არსებით საკითხებთან დკავშირებით. ამას ემატება ის გარემოება, რომ ევიდენციალობის კატეგორიის კვლევა შედარებით ახალ სტადიაზეა და ბევრი ფუნქციური ასპექტი საჭიროებს ფუნდამენტურ ანალიზს.

**კვლევის მეთოდები.** დასახულო მიზნის მისაღწევად ძირითად და გამოყენებულა **სინქრონული, აღწერითი, შედარებითი და სტატისტიკური მეთოდები.**

საკვლევი ენობრივი საშუალებების სინტაქსური მახასიათებლების და სემანტიკის წარმოჩენის მიზნით გამოვიყენეთ **პერმუტაციის, სუბსტიტუციისა და წინადადების სინტაქსური ტრანსფორმაციის მეთოდები.**

კორპუსის შესაღვენად მოვიმარჯვეთ **პროგრამული უზრუნველყოფის გზით ელექტრონული კორპუსის ძიებისა და მართვის მეთოდი.**

კორპუსთან მუშაობის მეთოდად ავირჩიეთ **კორპუსით განპირობებული კვლევის მეთოდი** (corpus-driven approach, korpusbasierter Ansatz, Analyseparadigma). ამ მეთოდის შემთხვევაში, თავად კორპუსია ანალიზის საგანი. აღნიშნულ მეთოდი ეფუძნება კორპუსზე დაკვირვებას, მის აღწერას და შემდგომ ინტერპრეტაციას. კორპუსის ანალიზის პროცესში ხორციელდება თეორიული

მოსაზრებებისა და ლინგვისტური ჰიპოთეზების გენერირება და შემდეგ მისი ვერიფიცირება ან ფალსიფიცირება.

**საანალიზო მასალას** წარმოადგენს მასმედიის ენა, რომელც მრავალფეროვანია, როგორც ტექსტის ტიპებით, ასევე მოდლობის გამოხატვის საშუალებებით. ტექსტები მოვიძიეთ მანჰაიმში გერმანულ ენის ინსტიტუტის (IDS) **გერმანულ რეფერენციულ კორპუსში** (Deutsches Referenzkorpus = DeReKo). ვირტუალური კორპუსის შესადგენად ვიხელმძღვანელეთ წერილობით ენის არქივის (W-Archiv der geschriebenen Sprache)

საჯაროდ ხელისაწვდომი ნაწილი (ვატალოგი - W-öffentlich - alle öffentlichen Korpora des Archivs W (mit Neuakquisitionen)).

აღნიშნულ ვატალოგში წარმოდგენილია შემდეგი საგაზეთო ტექსტები: ქრონიკები, რეპორტაჟები, პოლიტიკური კომენტარები, ინტერვიუები, განცხადებები, რეცენზიები, მკითხველს წერილები და სხვ. მასში უმთავრესად უახლესი ტექსტებია განთავსებული - 1946 წლიდან დღემდე. ის ნაწილი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, არ არის მორფოლოგიურად და სინტაქსურად ანოტირებული.

კორპუსის ძიების, მართვისა და ანალიზის სისტემაში - Cosmas II-მა შესაძლებელი გახადო როგორც ლექსემის (მყარი ფორმების), ასევე ლემის (ფლექსიური ვარიანტების) ძიება, ლოგიკური ოპერატორებისა და ინტერვალის ოპერატორების საშუალებით კი, საძიებო სიტყვების სხვა სიტყვებთან ან კონსტრუქციებთან კომბინირებული ძიება.

საანალიზო კორპუსი შედგება პროგრამულ უზრუნველყოფის გზით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოპოვებული 1200 წყაროსაგან, რაც თითოეულ საძიებო სიტყვისათვის უდრის 100 წყაროს.

**საკვლევი ენობრივი საშუალებები.** ეპისტემური და ევიდენციალური ფუნქციებით ემპირიული კვლევის ობიექტს წარმოადგენს ექვსივე კლასიკური მოდალური ზმნა: *sollen, wollen, müssen, können, dürfen, mögen*, და ექვსი წინადადების ზმნიზე და: *angeblich, vorgeblich, mutmaßlich, offensichtlich, wahrscheinlich* და *vielleicht*.

ზემოაღნიშნულ წინადადების ზმნიზე დაბზე არჩევანის გაკეთება, ერთის მხრივ, განაპირობა მათ გამოყენების სიხშირემ (*angeblich, offensichtlich, wahrscheinlich, vielleicht*), ასევე მათ შესახებ კვლევების არარსებობამ (*vorgeblich, mutmaßlich*).

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ეპისტემური მოდალობის, ევიდენციალობის, მოდალური ზმნებისა და წინადადების ზმნიზე დაბის

შესახებ ენათმეცნიერულ ლტერატურაში არსებულ წამყვანი შრომები და გაანალიზებულია აზრთა სხვადასხვაობის საფუძვლები. ამის გარდა, აღნიშნავთ წარმოდგენილ კვლევის მეცნიერულ სიახლეს შემდეგ პრინციპულ მომენტებს:

ა) მოდალური ზმნების შესახებ არსებულ კვლევებში ძირითად დორიენტირებულა თეორიაზე, ჩვენი კვლევა კი უმთავრესად დორიენტირებულა ენობრივ პრაქტიკაზე. სადსერტაციონა შრომში კომპლექსური სახით პირველად

ჰკოვებს ასახავს ეპისტემური და ევიდენციალური მოდალური ზმნების გამოყენების პროფილს, კოლუკაციები, ენობრივი გარემოცვა.

ბ) ეპისტემურობისა და ევიდენციალობის ურთიერთგვეთის ჭრილში წინადადების ზმნიზედების წარმოდგენა ერთგვარი **სიახლეა**, რადგან ამ მიმართულებით წინადადების ზმნიზედები მონოგრაფიულ შესწავლას საგანირყოფილ.

გ) **სიახლეა** ასევე ის, რომ მოდალური ზმნებისა და წინადადების ზმნიზედების კლასებს ერთმანეთთან შედარების საფუძველზე განვიხილვთ და მათი ეკვივალენტობის საკითხთან დაკავშირებით, კრიტიკულ დვანალოზეთ და ვუპირისპირდებით გერმანელ მეცნიერის ლისის (2009, 2011) კონცეპციებს.

დ) თანამედროვე ქართულ ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში **ინოვაციას** წარმოადგენს ასევე ელექტრონულ კორპუსით განპირობებულ კვლევის მეთოდოლოგია და ემპირიულ მასალზე წვდომა კორპუსის მიების, მართვის და ანალოზის სისტემის - Cosmas II-ის გამოყენებით.

**დისერტაციის პრაქტიკული დირებულება.** კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს გერმანისტიკის და თარგმანმცოდნეობის სპეციალობაზე თორიულ გრამატიკის, დსკურსის ანალოზის ან სხვა სპეცკურსის შესწავლას. ჩატარებულ კვლევა საინტერესო იქნება ენათმეცნიერების, ლექსიკოგრაფების და გერმანულ ენით დაინტერესებულ სხვადასხვა დრგის სპეციალისტებისათვისაც.

**ნაშრომის აღწერა.** სადსერტაციონაშრომი მოიცავს 187 ნაბეჭდ გვერდს, შედგება შესავლს, 3 თავის, დასკვნითი დებულებების და ბიბლოგრაფიისაგან.

კვლევის ზემოაღნიშნულ ამოცანებიდან გამომდინარე

სადსერტაციონაშრომის -  
„ეპისტემური მოდალობისა და ევიდენციალობის  
საკითხისათვის თანამედროვე გერმანულმა სმედიის ენაში“ -  
**სტრუქტურა** შემდეგნაირად განისაზღვრა :

შესავალი

თავი 1. მოდალობა როგორც სემანტიკურ-პრაგმატული  
ფენომენი. ეპისტემობისა და ევიდენციალობის  
არსი და რაობა

თავი 2. წინადადების ზმნიზედები როგორც ეპისტემური/  
ევიდენციალური მოდალური ზმნების სუბსტიტუციის  
საშუალებები

თავი 3. ეპისტემური/ევიდენციალური მოდალური ზმნებისა და მოდალური ზმნიზებების კორპუსით განპირობებული კვლევა

დასკვნა

**ნაშრომის შესავალ ნაწილში** მიმოხილულია თემისათვის არსებითი სამეცნიერო ლტერატურა. განსაზღვრულია ნაშრომის მიზნები და ამოცანები, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგია და საანალიზო მასალა. დასაბუთებულია სადოქტორო ნაშრომის თემის აქტუალობა. მოცემულია თითოეული თავის მოკლე ანოტაცია.

პირველ თავში - „**მოდალობა როგორც სემანტიკურ-პრაგმატული ფენომენი. ეპისტემურობისა და ევიდენციალობის არსი და რაობა**“ - ზოგად მიმოხილულია მოდალობის დეფინიციის პრობლემატიკა და გერმანულ ენის მოდალობის გამომხატველ საშუალებები.

აქვე წარმოდგენილია მოდალური ზმნების და კვირვებისა და ანალიზის შედეგად მიკვლევების მიერ შემოთავაზებული ერთ-, ორ- და სამგანზომილებიანი მოდალობის კონცეპციები. დასაბუთებულია დიხოტომიური კონცეპციის უპირატესობა და ნარჩენებთან შედარებით. მოცემულია ენათმეცნიერულ ლტერატურაში არსებული ცირკუმსტანციული და ეპისტემური მოდალობების, როგორც დიხოტომიური მოდელები ოპოზიციური მეწყვილეების, ზოგადი განმარტებები და განმასხვავებელი ნიშნები.

პირველ ქვეთავში ნაჩვენებია სპეციალურ ლტერატურაში არსებული წინააღმდეგობრივი მოსაზრებები მოდალური ზმნების პოლიფუნქციურობის თაობაზე და ილუსტრირებული მაგალითების ფონზე მოკლედ მიმოხილულია მოდალური ზმნების ყველ შესაძლო ცირკუმსტანციულ გაგება.

მეორე ქვეთავში ყურადღებას ვამახვილებთ ეპისტემური მოდალობის სხვადასხვა ასპექტზე, მისი დეფინიციიდან



გამოვრიცხავთ სუბიექტურობას, პროპოზიციისადმი შემფასებლურ მიდგომას, დედუქციას, ობიექტურ-ეპისტემურ მოდალობას. განვსაზღვრავთ ეპისტემურობის გამომხატველ მოდალურ ზმნებს და მათში ორის გამოვრიცხავთ *sollen*-ს და *wollen*-ს. განვიხილავთ თითოეულ ეპისტემური მოდალური ზმნის სპეციფიკურ მახასიათებლებს და სპეციალურ ლტერატურაში არსებულ

მეტნაკლებად არაერთგვაროვან მოსაზრებებს, ეპისტემური მოდალური ზმნებით გამოხატულ ვარაუდის ინტენსივობის შესახებ.

აქვე წარმოვადგენთ დევალდის (1999) თეორიას, ეპისტემური მოდალური ზმნების დიქტურ ნიშნებად განსაზღვრის თაობაზე და კრიტიკულ დგანვიხილვთ ზმნის კილს პარადიგმაში მოდალური ზმნების ინტეგრაციის მიხედვით მცდელობას; ილუსტრირებულ მაგალითების ფონზე ვაჯამებთ ეპისტემურ მოდალურ ზმნებზე გავრცელებულ მორფოსინტაქსური ტიპის შეზღუდვებს და განვიმარტავთ ამ შეზღუდვების საფუძვლებს.

მესამე ქვეთავში განხილულა ევიდენციალობის ფუნქციური მახასიათებლები, წარმოდგენილა ევიდენციალური მარკერების ტიპები და გერმანულ ენის ევიდენციალური მოდალური ზმნები. ირიბი თქმის საშუალებებთან მათი მსგავსება - განსხვავების წარმოსაჩენად, მოკლედ მიმოხილულა კონიუნქტივ I-ის და II-ის ფუნქციები. ახსნილა ევიდენციალურ მარკერებთან კომუნიკაციური იმპლიკატურის და ბენდიქსის (1966) ტესტის მოქმედების მექანიზმი, რის საფუძველზეც არგუმენტირებულ დუარყოფილა ლისის (2009, 2011) მოსაზრება მოდალური ზმნების ორმაგი დიქსისის თაობაზე (doppelte Deixis).

სადსერტაციო ნაშრომის მეორე თავის - „წინადადების მნიშვნელობა როგორც ეპისტემური/ევიდენციალური მოდალური ზმნების სუბსტიტუციის საშუალებები“ - პირველ ქვეთავში მიმოვიხილვთ ტერმინთა პრობლემატიკას, ენათმეცნიერულ ლტერატურაში და გრამატიკულ ტრადიციაში არსებულ ზმნიზედების სუბკლასიფიკაციის განსხვავებულ კრიტერიუმებს. წინადადების ზმნიზედების სრულ ინვენტარის წარმოსადგენად ვხელმძღვანელობთ წინადადების ზმნიზედების კლასის სინტაქსური დეფინიციით.

მეორე ქვეთავში წარმოვადგენთ წინადადების

ზმნიზედების სინტაქსურ მახასიათებლებს ვითარების  
ზმნიზედებთან კონტრასტულ შედარების ფონზე. სინტაქსურ  
თავისებურებებს ვხსნით ლნგის (1970) კონცეპციის  
შესაბამისად, რომელიც წინადადების ზმნიზედებს განიხილს  
წინადადების ოპერატორებად; მიმოვიხილვთ წინადადების  
ზმნიზედების სხვადასხვა სემანტიკურ სუბკლასიფიკაციას,  
რომელთა შორისაც უპირატესობას ვანიჭებთ ჰელბიგის (1984)  
კლასიფიკაციას, რადგან ის

განასხვავებს ეპისტემურ და ევიდენციალურ წინადადების ზმნიზედებს. აქვე გამოყოფთ ეპისტემური და ევიდენციალური მოდალური ზმნებისა და წინადადებების ზმნიზედების საერთო მახასიათებლებს. წინადადების ზმნიზედების მონოსემიურობის წარმოჩენის მიზნით წარმოვადგენთ სხვადასხვა მკვლევრების მიერ ცირკუმსტანციულ მოდალური ზმნების წინადადების ზმნიზედებით ჩანაცვლების მცდელობებს. კრიტიკულად განვიხილვთ დიტრიხის (1992) და ლისის (2009, 2011) მოსაზრებებს ეპისტემურ/ევიდენციალურ მოდალურ ზმნებსა და წინადადების ზმნიზედებს შორის არსებულ სხვაობაზე. ამავე ქვეთავში ვმსჯელობთ ასერციულ წინადადების ზმნიზედებზე და მათ ეპისტემურ შეფერილობას კომუნიკაციური იმპლიკატური თვხსნით.

**სადოქტორო ნაშრომის მესამე თავში - „ეპისტემური/ევიდენციალური მოდალური ზმნებისა და წინადადების ზმნიზედების კორპუსით განპირობებული კვლევა“** - ემპირიულ მასალას საფუძველზე აღვწერთ და ვაანალიზებთ საკვლევ ენობრივი საშუალებების ტიპურ გამოყენებას; ცალცალკე პუნქტში ვიკვლევთ თორმეტივე ენობრივ საშუალებას სემანტიკური, სინტაქსური და პრაგმატულ თვალაზრისით; ვწყვეტთ მათ ეპისტემური ან ევიდენციალური კატეგორიისადმი მიკუთვნების საკითხს; განვსაზღვრავთ წინადადებაში მათსემანტიკურ სკოპუსს, ფოკუსს; აღვწერთ მათ ენობრივ გარემოცვას, ტიპურ სინტაქსურ სტრუქტურებს და ტიპურ კოლუკაციებს, სემანტიკურ და პრაგმატულ კონტექსტს, სხვა სიტყვებთან სემანტიკურ თავსებადობას, მყარ შესიტყვებებს, ფორულ მიმართებებს; ვადგენთ მათ გამოყენების სიხშირეს; წარმოვადგენთ საკვლევ ენობრივი საშუალებების ერთმანეთთან კომბინირების შემთხვევებს.

მოდალურ ზმნებთან ვაანალიზებთ კონიუნქტივ II-ის ფორმის გავლენას მათსემანტიკაზე, აღვწერთ მათ ვარაუდის

ინტენსივობას; ვადგენთ ეპისტემური და ევიდენციალური  
გაგების ხელსშემწყობ ფაქტორებს; ევიდენციალურ  
საშუალებებთან განვსაზღვრავთ ევიდენციის ტიპებს;  
ვანალიზებთ ევიდენციალური და ირიბი თქმის  
საშუალებების ერთმანეთზე გავლენას; რეპორტულ  
მარკერებთან ვიკვლევთ რეფერირებულპირთან მიმართებას;  
კონტექსტუალურად ვანალიზებთ კომუნიკაციური  
იმპლკატურის როლს; აღვწერთ საკვლევო საშუალებების  
ძირითად

მნიშვნელობებს და კომუნიკაციის პროცესში კონტექსტით  
ან კომუნიკაციური იმპლკატურით შეძენილ  
მნიშვნელობებს; აქვე მოკლედ მიმოვიხილვთ და ვადარებთ  
გრამატიკებსა და სახელმძღვანელოებში არსებულ მათ  
მნიშვნელობებს და სინონიმებს და გამოვყოფთ მათ შორის  
ყველზე მისაღებ განმარტებას.

**დასკვნით დებულებებში** შეჯამებულია კვლევის შედეგები.

# 1. მოდალობა როგორც სემანტიკურ-პრაგმატული ფენომენი.

## ეპისტემურობისა და ევიდენციალობის არსი და რაობა

### 1.1. მოდალობის კატეგორიის კვლევა მოდალურ მზნებთან

მოდლობა უნივერსალური ენობრივი კატეგორიაა, რომელც სხვადასხვა ენაში ენობრივი საშუალებების ფართო სპექტრით გამოიხატება. მისი რეალობა შეიძლება მოხდეს მორფოლოგიურად, გრამატიკულად ან ლექსიკურად; ასევე შესაძლებელია, მოდალობა სხვადასხვა სინტაქსური კონსტრუქციებით ან ინტონაციური საშუალებებით გამოვლენდეს.

გერმანულ ენის მოდალობის გამომხატველ საშუალებების ჩამონათვალსაკმაოდ ვრცელია. მაგალითად ვილჰელმ ტაინი/დუდენის რედაქცია (2016: 510) ფუნქციონალური თვალსაზრისით მოდალობის სფეროს მიაკუთვნებს თბრობით, კავშირებით და ბრძანებით კილოს, მოდალურ და მოდალობის ზმნებს, წინადადების ტიპებს: თბრობითი, კითხვითი, ძახილს და სხვ., ისევე როგორც გარკვეულ სახის ზმნიზედებსა და ნაწილკებს.

ციფონუნი et al. (1997: 437) მათ გვერდით დამატებით გვთავაზობს ვნებით გვარის კატეგორიას, მოდალურ ინფინიტივს (haben/sein + Infinitiv) და პირობით დმოკიდებულ წინადადებას.

აბრაჰამი (2009a: 252) განასხვავებს **ლექსიკურ** და **გრამატიკულ** მოდალობას. ლექსიკურში ის აერთიანებს მოდალურ ზმნებს, მოდალურ ზმნიზედებს, მოდალურ ნაწილკებს და ზოგიერთ მატვემდებარებელ და მათებელ კავშირს, ხოლო გრამატიკულში - ზმნის კილოს კატეგორიას და წინადადების ტიპებს (თბრობითი, კითხვითი, ძახილს).

განსხვავებულა სურათი სხვა ენებში. ერთი ენისათვის ტიპური მოდალური საშუალებები, შესაძლოა

სრულად უცხო იყოს მეორე ენისათვის (მაგალითად გერმანულ ენისათვის ტიპური შეფერილობითი ნაწილკები არგანია ინგლისურენას).

რადგან მოდალობის გამომხატველ საშუალებები ყველ ენისათვის სპეციფიკური და განსხვავებულია, არსებობს მოსაზრება ენათმეცნიერულ ლტერატურაში, რომ მოდალობის დეფინიციაც ყველ ენისათვის ინდივიდუალური უნდა იყოს:  
“There may as



many definitions of modality as there are languages“ (სვენდენი 1991: 273

ციტირებული მილნი 2001: 16).

მილნი (2001: 18), ამის საპირისპიროდ, ენათმეცნიერთა მიზნად მოდალობის უნივერსალურ განმარტებას მიიჩნევენ და თვლს, რომ მოდალობის გამომხატველ საშუალებების სხვადასხვა კლასს მოდალურ სისტემაში სპეციფიკური მოდალური ფუნქცია აკისრია, რომლებიც შეძლებისდაგვარად ერთგვაროვანი კრიტერიუმების საშუალებით უნდა განისაზღვროს.

ზოგადად, ენათმეცნიერულ ტერატურაში აღინიშნება, რომ მოდალობის უნივერსალური დეფინიცია, ან მოდალობის გლობალური თეორია არ არსებობს და არსებული დეფინიციები არასრულყოფილია. მაგალითად, მილნი (2001) მიიჩნევენ მათ არა და მაკმაყოფილებლად: “Es gibt in der Sprachwissenschaft kaum einen Bereich, in dem man so viel Gedanken entfaltet und dabei so wenig Übereinstimmung erzielt hat. Die bisher vorgelegenen Definitionen sind in mehrfacher Hinsicht unbefriedigend“ მილნი (2001:16).

იოლწლეგერი (1984), თავის მხრივ, სამ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას: 1. მოდალობის დეფინიციები ვერ ფარავს მოდალობის გამომხატველ ყველ ენობრივ საშუალებას (ჩვენი აზრით, ამის მიზეზია ის, რომ მოდალობას ხშირად განმარტავენ მოდალობის გამომხატველ საშუალებების კონკრეტულდ ერთ კლასზე დაკვირვების შედეგად, და ამგვარი განმარტება, მოდალობის გამომხატველ ენობრივი საშუალებების სხვა კლასს არ ერგება); 2. მოდალობას სხვაგვარად იყენებენ, ვიდრე განმარტავენ; 3. მკვლევრები მოდალობის დეფინიციას ხშირად გვერდს უვლან და იყენებენ მას ყოველგვარი განმარტების გარეშე: “Zum einen ist deutlich geworden, wie heterogen die verschiedenen Phänomene sind, zum anderen zeigt sich, dass keiner der vorgeschlagenen Modalitätsbegriffe in der Lage ist, alle als modal bezeichneten Ausdrücke zu erfassen. Dies wird oft nur dadurch verdeckt, dass modal mehrdeutig oder anders verwendet wird, als es definiert wurde, falls es nicht einfach ohne Erläuterung gebraucht wird“ (იოლწლეგერი 1984: 242).

აღნიშნულს ემატება ისიც, რომ მოდალობა არ არის მხოლოდ

ენათმეცნიერების კვლევის ობიექტი. მას სხვა დისციპლინებიც იკვლევენ: ენათმეცნიერებამდე ძალთან ადრე ფილოსოფია და ლოგიკა, შემდეგ, კი სემიოტიკა. აღნიშნულ დისციპლინების საერთო გამოცდილებამ მოდალობის დეფინიცია კიდევ უფრო გაართულა.

თავად ტერმინი **მოდალობა**, და ის ტერმინები, რომლებითაც ენათმეცნიერებაში მოდალობის სხვადასხვა ტიპებს აღნიშნავენ, ლოგიკას მიეკუთვნება. მოდალობის საკითხს ლოგიკაში სპეციალურად განიხილვს **მოდალური ლოგიკა (Modallogik)**. მის ცენტრში დგას **შესაძლებლობისა და აუცილებლობის ცნება** და **შესაძლო სამყაროების იდეა**.

მოდალურ ლოგიკაში ფინელ ფილოსოფოსის, გეორგ ვრიგტის (1951) **მოდალობის კონცეფციას** წამყვანი ადგილ უჭირავს. მის ლოგიკურ სისტემაში მოდალობის ცნების ქვეშ ერთიანდება **ალეთური მოდალობა**, ანუ ჭეშმარიტების მოდალობა, სადაც ოთხი საფეხური გამოიყოფა: აუცილებელი, შესაძლებელი, შემთხვევითი და შეუძლებელი; ასევე, **ეპისტემური მოდალობა**, ანუ ცოდნის მოდალობა, რომელიც სამი საფეხურითაა წარმოდგენილი: ვერიფიცირებულ (ცნობილი როგორც ნამდვილი), ფალსიფიცირებულ (ცნობილი როგორც ყალბი) და გაურკვეველი, გადაუწყვეტელი (არც ნამდვილი და არც ყალბი);<sup>1</sup> **დეონტური მოდალობა**, ანუ ვალდებულების მოდალობა ოთხი საფეხურით: სავალდებულო, ნებადართული, ნეიტრალური და აკრძალული, და **ეგზისტენციალური მოდალობა** სამი საფეხურით: უნივერსალური, არსებულ და ცარიელი. ამასთან ვრიგტი (1951) აღნიშნავს, რომ ეს არ არის სრული ჩამონათვალი და შესაძლებელია მოდალობის სხვა სახეობებიც გამოიყოს. ის დამატებით მიუთითებს **დინამიურ მოდალობაზე**, რომლის ქვეკატეგორიებად განსაზღვრავს **აბილიტურ** და **დისპოზიციურ** მოდალობებს, მაგრამ მათ დეტალურად არ წარმოადგენს. ვრიგტის თეორიაში ალეთური მოდალობა ქმნის დნარჩენთა საფუძველს. მასზე „შენდება“ მოდალობის სხვა დნარჩენი ტიპები.

ღნგვისტიკაში არის მცდელობა ვრიგტის მოდალობის ეს სახეობები პირდაპირ

„მოარგონ“ ენობრივ საშუალებებს, კერძოდ, მოდალური ზმნების კლასიფიკაციის მიზნით მიმართავენ აღნიშნულ ლოგიკურ მოდელს (მაგალითად ნელსი (1986)). სხვა მოსაზრებები ეჭვქვეშ აყენებს ამ მცდელობას. დივალდი (1999) მიიჩნევს, რომ ლინგვისტიკაში ვრიგტის მოდელს საჭიროებს ძირეულ ადაპტაციას: “In der Linguistik wird von Wrights Einteilung in Arten der Modalität u.a. zur Subklassifikation der Modalverben verwendet,

---

<sup>1</sup> მოდალურ ლოგიკაში **ეპისტემური** განიმარტება სხვაგვარად ვიდრე ლინგვისტიკაში.

was, da sie für diesen Zweck nicht konzipiert war, eine umfassende Adaptation der von Wrightschen Einteilung erforderlich macht“ (დევალდი 1999: 73).

ასევე, ჰუნდტი (2003) თვლის, რომ ენათმეცნიერთა და ლოგიკოსთა ინტერესები ერთმანეთისგან განსხვავებულია. მისი აზრით, ლინგვისტური მოდალობა ემყარება ენობრივ სპეციფიკას და, შესაბამისად, განსხვავებულ სისტემას ქმნის: “Das Erkenntnisinteresse des Sprachwissenschaftlers unterscheidet sich von dem des Logikers darin, dass dieser nach den grundlegenden logischen Systemen fragt. Jener fragt dagegen nach dem modalen System, das z.B. durch die Modalisierungsmittel der deutschen Sprache abgedeckt ist“ (ჰუნდტი 2003: 349).

შესაბამისად, მკვლევრებთან ვრიგტის მოდელებში მიღებული მოდიფიკაცია განიცადა. ამის შედეგად მოდალობის დიქტომიური (ორგანზომილებიანი) კონცეფცია ჩამოყალიბდა, რომელსაც ენათმეცნიერულ ლტერატურაში სხვადასხვა ტერმინებით აღნიშნავენ: **ობიექტური/სუბიექტური** (შულცი/გრისბახი 1972, ჰელიგი/ზუმა 1986),

**დეონტური/ეპისტემური** (ლიონზი ([1974] 1983); **ცირკუმსტანციული/ეპისტემური** (კრაცერი 1978, რაისი 2001), **ლექსიკური/გრამატიკული** (ტარვაინენი 1976), **სუბიექტზე მიმართული/მოსაუბრებზე მიმართული** (ენგელ 2004), **არაინფერენციული/ინფერენციული** (კალბერტი 1971), **არადეიქტური/დეიქტური** (დევალდი 1999), **არაეპისტემური/ეპისტემური** (ოლშლეგერი 1989) და სხვ. (სადისერტაციონაშრომში მოდალობის ფენომენის კვლევისას შემდგომში გამოვიყენებთ ტერმინთა ოპოზიციურ წყვილს - **ცირკუმსტანციული/ეპისტემური**).

ზემოთ ჩამოთვლილი დიქტომიური ცნებები მოდალურ ზმნებზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა და მკვლევრების მიერ, ხშირად საკმაოდ განსხვავებულად არის განმარტებული. **ცირკუმსტანციულ მოდალობაში** მოიაზრებენ წინადადების სუბიექტსა და ინფინიტივური დამატებით გამოხატულ ქმედებას შორის მიმართებას როგორც შესაძლებელს, აუცილებელს, ნებადართულს, აკრძალულს ან

სასურველს და, შესაბამისად, ცირკუმსტანციულ მოდალობას  
სხვადასხვა ქვეკატეგორიებად ჰყოფენ. მაგალთადაა ბრაჰამი  
(1991) განასხვავებს ორქვეკატეგორიას

- დეონტურს და ვოლიტურს, დავალი (1999) საშს - დეონტურს, დისპოზიციურს  
და ვოლიტურს, ჰუნდტი (2003: 358) ოთხს - დეონტურს, დისპოზიციურს,  
ვოლიტურს და ალეთურს.

**ეპისტემურ მოდალობაში** მკვლევრები მოიაზრებენ მოსაზრების მიმართებას პროპოზიციასთან (სუბიექტთან და პრედიკატთან). ეპისტემური მოდალობა განიმარტება, როგორც: “Stellungnahme des Sprechers“ (აიხენბერგი 1994: 102), “sprecherbasierte Faktizitätsbewertung“ (დივალდი 1999: 14), “die Art, in welcher sich der Sprecher zu dem bezeichneten Vorgang verhält, vor allem seine Einschätzung der Realität dieses Vorgangs“ (ჰელბიგი/ზუმა 1986: 131), “subjective meaning“, “based in the speaker’s subjective belief state/attitude toward the proposition“ (ტრაუგოტი 1989: 35), “Stellungnahme des Sprechers zur Geltung des durch eine Äußerung ausgedrückten Sachverhaltes in der aktuellen Welt“ (ციფონუნი et al. 1997: 437). მკვლევრები ეპისტემური მოდალობისათვის განმსაზღვრელდ მიიჩნევენ, ერთის მხრივ, ნამდვილობის თვალაზრისით პროპოზიციის შეფასებას, ხოლო, მეორეს მხრივ, ასევე პროპოზიციისადმი მოსაზრების სუბიექტურ (შემფასებლურ) დამოკიდებულებას. ეპისტემურ მოდალობას, ცირკუმსტანციულსაგან განსხვავებით, ქვეკატეგორიებად არ ჰყოფენ.<sup>2</sup>

მილნი (2001: 39) აღნიშნავს, რომ დიქტომიური დაყოფა, რომელსაც გვთავაზობენ მკვლევრები, გარკვეულწილად დეფექტურია, რადგან ერთსა და იმავე ფორმათა ინვენტარზე მოდალობის ორი ქვეკატეგორიის განსხვავებისას, გაუგებარი რჩება რა შინაგანი კავშირი და საერთო ნიშანია მათ შორის. დიქტომიური დაყოფა გასაგებს ხდის მხოლოდ რა არის მათ შორის განმასხვავებელი. მილნის მიხედვით ეპისტემურ და ცირკუმსტანციულ მოდალობებს შორის არსებულ მიმართება ფუნქციურა ხსნას მოკლებულ რჩება.

ორივე კატეგორიას შორის შინაგან კავშირს ეძებს კალბერტი (1971). ის გვთავაზობს ეპისტემური და ცირკუმსტანციულ მოდალური გამონათქვამების საფუძვლად არსებულ აბსტრაქტულ სემანტიკურ სტრუქტურას და მას მოდალური წყაროსა და მიზნის მიმართებად წარმოადგენს. ასევე ელხი/რეზინი (1972) და ბრიუნერი/რედერი

<sup>2</sup> თუმცა ავტორები აღნიშნავენ, რომ ეპისტემური მოდალობის სფეროში სხვადასხვა ტიპის ფუნქციებია გაერთიანებული: მაგალითად, დივალდი (1999: 225) სხვათა სიტყვის გადმოცემის ფუნქციას (მოდალურ ზმნებთან - *sollen* და *wollen*) ეპისტემურ მოდალობაში მოიაზრებს, ისევე როგორც ჰუნდტი (2003: 346). პალმერი (2001) ზემოაღნიშნულ ფუნქციას ევიდენციალურ მოდალობად განიხილვს და ეპისტემურის გვერდით თანაბარ რანგზე გვთავაზობს.



(1983) განმარტავენ მოდალური ზმნების ორივე გამოყენებას ერთგვაროვანი კრიტერიუმების საფუძველზე.

ცირკუმსტანციულ და ეპისტემურ მოდალებს შორის მიმართებას საინტერესოდ ხსნის ასევე დივალდი (1999). ის მოდალის ორივე ტიპს შორის მსგავსებას ადგენს რაციონალური მნიშვნელობის შაბლონით (gemeinsame semantische Basisstruktur (razionale Bedeutungsschablone) (დივალდი 1999: 27), რომელშიც სამი ელემენტი - მოდალის წყარო, გზა და მიზანია განმსაზღვრელი. არადიქტურ გამოყენებისას მოდალური მიმართების მიზანი წინადადების სუბიექტია, ხოლო დიქტური გამოყენებისას პროპოზიცია.

ენათმეცნიერულ ლტერატურაში არსებობს მოდალის ვიწრო, **ერთგანზომილებიანი კონცეფცია**, რომლის მიხედვით, მხოლოდ ეპისტემური მოდალური ზმნებია მოდალური, ხოლო მათი ცირკუმსტანციულ მეწყვილეები არ გამოხატავენ მოდალბას. ვიწრო გაგებისას მოდალბას განმარტავენ, როგორც მოსაუბრის მიდგომას, რომელიც რაღაც დამატებითს გამოხატავს (ზანდჭიოფერ-ზიქსელი (1988)); ის მოდალური ზმნის საშუალებით ემატება პროპოზიციას. დამატებითი ასევე სუბიექტური შეფასებაც იგულისხმება: “Subjektive Stellungnahme des Sprechers zu einem in P dargestellten Gegenstand“ (ზანდჭიოფერ-ზიქსელი 1988: 14). ამგვარი დეფინიციები მოდალის ცნების მკვეთრი და რადიკალური დავიწროებაა. ის ყურადღების მიღმა ტოვებს ეპისტემურ და ცირკუმსტანციულ მოდალურ ზმნებს შორის მიმართებას და არ აზუსტებს მათ შორის შინაგან კავშირს.

მოდალის ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი განმარტების გვერდით, არსებობს ასევე მოდალის სამგანზომილებიანი კონცეფცია. ერთ-ერთი ეკუთვნის პალმერს (1979). ის განასხვავებს **ეპისტემურ, დეონტურ და დინამიკურ** მოდალებს.

აღნიშნულ მოდა ლობის კონცეფციებს შორის, სადოქტორო  
ნაშრომში უპირატესობას ვანიჭებთ მოდა ლობის დიქტომიურ  
დაყოფას. მოდა ლობის ამგვარი დაყოფა, არა მარტო  
სემანტიკური თვალაზრისით არის განპირობებული, არამედ  
ფუნქციურ-სემიოტიკური ასპექტითაც არის გამყარებული.

სპეციალურ ლტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, გააჩნია თუ არა მოდალურ ზმნას კონტექსტიდან დამოუკიდებლად სხვადასხვა მნიშვნელობები, თუ მისი პოლიფუნქციურობა ერთი სემანტიკური ფუძიდან მოდის და მხოლოდ კონტექსტის საშუალებით ხდება ამა თუ იმ მნიშვნელობის გააქტიურება.

ბეხი (1949) მიიჩნევს, რომ მოდალურ ზმნებს სხვადასხვა მთავარი მნიშვნელობა (Hauptbedeutung) გააჩნია, რომლებიც, თავის მხრივ, უამრავ მეორად, ანუ, დამატებით მნიშვნელობებად (Nebenbedeutung) იყოფა.

კრაცერის (1978) კონცეფცია კომუნიკაციური ფონის შესახებ (Redehintergrunde, conversational backgrounds) წარმოადგენს იმ მოსაზრების საფუძველს, რომ ყოველ მოდალურ ზმნას ერთი მთავარი მნიშვნელობა, ერთი სემანტიკური ფუძე აქვს. მხოლოდ სხვადასხვა კონტექსტულ ფაქტორს მივყავართ სხვადასხვა გაგებამდე. მოდალური ზმნების მნიშვნელობების ძირითად ვარიანტებადის ცირკუმსტანციურს და ეპისტემურს განიხილვს, ხოლო დონტურს და ბულეტურს ცირკუმსტანციურის დამატებით ვარიანტებად ამასთან, კრაცერის თეორიაში ცირკუმსტანციურ და ეპისტემურ მოდალობებს შორის დიდი სხვაობა არ არის, რადგან ისინი ერთი მთავარი მნიშვნელობის ვარიანტებია.

იოლშლეგერი (1989) თითოეულ მოდალურ ზმნას ორ მთავარ მნიშვნელობას განუსაზღვრავს: პირველია არაეპისტემური მნიშვნელობა, რომელსაც ის უწოდებს ძირეულს, ბაზისურს (grundlegend) და მეორეა ეპისტემური მნიშვნელობა, რომელსაც ობიექტურ-ეპისტემურად და სუბიექტურ-ეპისტემურად ჰყოფს.

დივალდი (1999: 68) კრაცერის მზგავსად მიიჩნევს, რომ მოდალურ ზმნებს საფუძვლად უდევს საერთო სემანტიკური სტრუქტურა (eine einheitliche, gemeinsame semantische Grundstruktur). ამასთან, ის თითოეულ მოდალურ ზმნას ორ მნიშვნელობას განუსაზღვრავს - დიქტურს და არადიქტურს, ხოლო

სემანტიკურ სტრუქტურას ორივე მნიშვნელობასთან სხვადასხვაგვარად წარმოადგენს. დევალის (1999) მიხედვით ორივე მნიშვნელობას შორის სემიოტიკურ-ფუნქციური ზღვარი გადის, კერძოდ არა დეიქტური მოდალური ზმნები ლექსიკური ნიშნებია, ხოლო დეიქტური - გრამატიკული.

ქოლთსი (1983: 10) ინგლისურ მოდალურ ზმნებთან ორი მნიშვნელობის არსებობას სემანტიკური თვალსაზრისით ასაბუთებს. ის სამკირობაზე ამახვილებს ყურადღებას:

ორივე მნიშვნელობა განსხვავებული ენობრივი კონტექსტებში გვხვდება, ორივე მნიშვნელობის სინტაქსური ტრანსფორმაცია სხვადასხვაგვარად ხორციელდება და არის კონტექსტები, სადაც ან ერთი მნიშვნელობა უნდა გააქტიურდეს, ან მეორე.

აღნიშნულ პირობებს გერმანულ მოდალური ზმნებიც აკმაყოფილებს: 1. ეპისტემური მოდალური ზმნის მახასიათებელი ენობრივი კონტექსტია სრულმნიშვნელოვანი ზმნის ინფინიტივ პერფექტის ფორმასთან მისი კომბინირება, ცირკუმსტანციული მოდალური ზმნის კირთულშედეგნილგრამატიკულფორმებთან მისი გამოყენება (დაწვრილებით იხ. 1.2.2. პუნქტი). 2. მათი სინტაქსური ტრანსფორმაცია განსხვავებულია: მაგ. ეპისტემური *müssen*-ის პერიფრაზია - *für wahrscheinlich halten*, ცირკუმსტანციულს - *genötigt sein*. 3. დაბოლოს, არსებობს ორმნიშვნელოვანი კონტექსტები: *Er muss zuhause sein* რომელიც შესაძლებელია გავიგოთ როგორც ეპისტემურად (*Er ist wahrscheinlich zuhause*), ისე ცირკუმსტანციულად (*Er ist genötigt zu hause zu sein*).

შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ თითოეულ მოდალურ ზმნას ორი ძირითადი მნიშვნელობა გააჩნია. *müssen*-ს, *können*-ს, *dürfen*-ს და *mögen*-ს ცირკუმსტანციული და ეპისტემური, ხოლო *sollen*-ს და *wollen*-ს ცირკუმსტანციული და ევიდენციალური.

### 1.1.1. ცირკუმსტანციული მოდალობის ტიპები

მოდალური ზმნების ეპისტემური და ევიდენციალური მნიშვნელობების კვლევისათვის, მნიშვნელოვანია ასევე ცირკუმსტანციული მნიშვნელობების განხილვა. ქვემოთ, ილუსტრირებულ მაგალითების ფონზე, წარმოდგენილი იქნება ცირკუმსტანციული მოდალური ზმნების სხვადასხვა მოდალური შინაარსები.

ცირკუმსტანციული მოდალობა აერთიანებს **დეონტურ,**

**დისპოზიციურ, აბილიტურ, ვოლიტურ, ტელეოლოგიურ და ალეთურ მოდალობებს.**  
მოდალობის ეს ტიპები ახასიათებს პოტენციურ მოვლენას  
კონკრეტულ მიზნებთან, წესებთან და ნორმებთან მიმართებაში,  
როგორც მოთხოვნის, აკრძალულს, ნებადართულს, როგორც  
განზრახულს, სასურველს ან არასასურველს, ან არსებულ  
ვითარების გათვალისწინებით, როგორც პრინციპულ და  
შესაძლებელს ან აუცილებელს.

**დეონტური** მოდალობა (deontische Modalität) ვიწრო გაგებით (და არა ფართო გაგებით, რომელიც ცირკუმსტანციულს სინონიმია და სხვადასხვა მოდალობის ტიპების ზოგად აღმნიშვნელია) აღნიშნავს აუცილებლობას და შესაძლებლობას, რომელიც კანონი ან მორალური ნორმა განსაზღვრავს. ის გამოხატავს მოთხოვნას, აკრძალვას ან ნების დათვას (ბერძნ. deon „მოვალეობა“). ვიწრო დეფინიციით, დეონტური მოდალობა მოიცავს მხოლოდ მორალურ პრინციპებს, ფართო გაგებით, კი, ნორმატიულ წესებს (მაგალთად კანონი, თამაშის წესი, ინსტრუქცია). ამიტომ, დეონტურ მოდალობას ხშირად **ნორმატიულსაც** უწოდებენ (ციფონუნი et al. 1997: 1889). მოდალურ ზმნებს - *dürfen*-ს და *sollen*-ს აქვთ უმთავრესად დეონტური გაგება, მაგრამ სხვა მოდალური ზმნებიც, მაგალთად *müssen* და *können*, შეიძლება დეონტურად გამოვიყენოთ:

1. Du **sollst** nicht töten. (ციფონუნი et al. 1997: 1891)
2. Aus diesem Feld **darfst** du mich nicht rausschmeißen. (კოლომო 2011: 63)
3. Jetzt **muss** du noch mal würfeln. (კოლომო 2011: 63)

დეონტურ მოდალობას გამოხატავს ასევე ზმნა *wollen*, თუკი წინადადების სუბიექტი უსულო საგანია, ხოლო სრულწინიშვნილოვანი ზმნა ინფინიტივ პასივშია. მაგალთად:

4. Geselligkeit **will** ebenso gepflegt werden wie freundschaftliche Kontakte. (Cosmas. Rhein-Zeitung, 02.08.2008)

დეონტურ მოდალობასთან მჭიდრო კავშირშია **ტელეოლოგიური მოდალობა** (Teleologische Modalität) (ციფონუნი et al. 1997: 1889). ისიც შესაძლებლობას და აუცილებლობას გულისხმობს და გამოხატავს, რა საშუალებებია საჭირო ან დასაშვები, გარკვეულ მიზნის მისაღწევად (ბერძნ. telos „მიზანი“). მოდალობის ეს ტიპი გვხვდება უმთავრესად მითითებებსა და ინსტრუქციებში, მაგალთად კულნარიულ

ს ა ხ ე ლ მ ძ ვ ა ნ ე ლ ო შ ი :

5. Sie **können** den Teig aber auch über Nacht im Kühlschrank lassen. (Cosmas. Kleine Zeitung, 05.12.1997)

6. Die Pfanne **muss** heiß sein. (Cosmas. Hamburger Morgenpost, 20.02.2015)

**ვოლიტურ მოდალობას** (volitive, buletisch, boulomatische, kupitive)

მ ი ე კ უ თ ვ ნ ე ბ ა მ ო დ ა ლ ო შ ი გ ა გ ე ბ ა , რ ო მ ე ლ ც ი ნ დ ვ ი დ ე ბ თ ა ნ  
დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ს უ რ ვ ი ლ ე ბ ს დ



განზრახვებს გამობატავს. ვოლტურ მოდალობას ზოგიერთი ავტორი დამოუკიდებელ მოდალობად არ განიხილვს, არამედ დისპოზიციურს მიაკუთვნებს (პალერი 1979: 3) ან დონტურ მოდალობად განიხილვს (ბეხი 1949: 37). დისპოზიციური მოდალობა უნარებს და შინაგან შესაძლებლობებს გამობატავს და მასთან ვოლტურის სიახლოვე იმაში მდგომარეობს, რომ სურვილებიც და მიზნებიც გარკვეულწილად სუბიექტის უნარებს და შინაგან შესაძლებლობებს უკავშირდება. დონტურთან სიახლოვე კი იმაში გამოიხატება, რომ სურვილები და მიზნები სუბიექტის მიერ საკუთარი თავისადმი დარექტივად შეიძლება იქნეს აღქმული.

ვოლტური მოდალობის გამომხატველ პროტოტიპულ მოდალური ზმნებია *wollen, mögen* და ზმნური ფორმა *möchten*. ასევე განზრახვის გამომხატველ ზმნები (*wollen, beabsichtigen, anstreben* და სხვ.) მიეკუთვნება ამ კატეგორიას:

7. „Ich **möchte** mich an wunderbare Jahre mit den Bayern erinnern“, sagte Lahm. (Cosmas. Hannoversche Allgemeine, 16.01.2015)
8. Jeder **will** sich gesund ernähren, das ist klar. (Cosmas. Zeit Wissen, 19.08.2014)
9. Er **mag** heute sein Geld als Hoffotograf verdienen. (Cosmas. Süddeutsche Zeitung, 18.04.2013)

სურვილ შესაძლოა გამოიხატოს *dürfen, müssen* და *können* ზმნებითაც:

10. Die Opfer **dürfen** niemals vergessen werden. (Cosmas. Rhein-Zeitung, 29.01.2014)
11. Dieses Lied **muss** ich haben. (კოლომო 2011: 64)
12. Dieses Lied **können** wir meinetwegen gerne spielen. (კოლომო 2011: 64)

ასევე მოდალური ზმნა *sollen* გამობატავს უსულო სუბიექტებთან განზრახვას, მიზანს:

13. Sein Projekt mit Skulpturen für den Köhlerpfad **soll** fortgesetzt werden. (Cosmas. Rhein-Zeitung, 16.02.2013)

ციფონ უნი et al. (1997: 1883) განასხვავებს ინდივიდუალურ სურვილებს (ინტრასუბიექტური-ვოლტური) და ე.წ. ავტორიტარულ პირის სურვილებს (ექსტრასუბიექტური-

ვოლტური) და განსაკუთრებით უკანასკნელს ადრებს  
დეონტურ მოდალობას. ინტრასუბიექტურთან მოდალობის წყარო  
თავად წინადადების სუბიექტია. ექსტრასუბიექტურ-  
ვოლტური მოდალობის შემთხვევაში სურვილ სხვა  
წყაროდან

მოდის. ექსტრას უბიექტურ-ვოლოტური მოდალობის

მანიფესტირებას ახდენს მე-14-ე წინადადება:

14. Er **soll** dieses Lied spielen. (კოლომო 2011: 64)

ინფერენციის შემთხვევაში მოსაუბრე პირდაპირ ან ორიბ ევიდენციებს/ინფორმაციებს, რომელიც უშუალოდ არ მიაწოდებდა მომხდარზე, იყენებს დასკვნის გასაკეთებლად მოსაუბრე წარმოადგენს საქმის ვითარებას, როგორც ნამდვილს. საილუსტრაციოდ წარმოადგენილია 69-ე მაგალითი:

69. Jemand **muss** zuhause sein.

აღნიშნულ წინადადებაში ინფერენციული გაგება იმ შემთხვევაში გვექნება, თუკი მოსაუბრე ხედავს, რომ სახლი შუქი ანთია (პირდაპირი ვიზუალური ევიდენცია) ან ამის შესახებ ვინმესგან შეიტყო (ირიბი ევიდენცია) და ასკვნა, რომ სახლი ვინმე უნდა იყოს. მოსაუბრის დასკვნის საფუძველ - ანთებული შუქია. ინფერენციულ გაგებას

*müssen* ზმნის გარდა სხვა მოდალური ზმნის ფორმებიც (*können, mag, dürfte*) გამოხატავენ. თუმცა, არ უნდა დავასკვნათ, რომ ინფერენციული შინაარსი მოდალური ზმნების სემანტიკის ნაწილია. თავად მოდალური ზმნები ინფორმაციის წყაროს არ ასახელებენ. მხოლოდ ფართო კონტექსტმა შეიძლება გახადოს ნათელი, თუ რა ტიპის ევილენცია აქვს მთქმელს მხედველობაში.

ირიბი ევილენციალობის მეორე ჯგუფი, რეპორტულ საშუალებები, მიაწინებს აქტუალური კომუნიკაციური სიტუაციის მიღმა არსებულ სხვა კომუნიკაციურ აქტზე, საიდანაც მოხდა ინფორმაციის გადმოტანა. მოსაუბრე პირი არ აკეთებს რაიმე ტიპის დასკვნებს, შესაბამისად მას აქვს ნიშანი [-subjektiv].

გერმანულენას გააჩნია ორი ევილენციალური ზმნა - *wollen* და *sollen*. ორივე მათგანი რეპორტულ საშუალებას წარმოადგენს, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოსაუბრე პირი სხვა პირისგან ფლობს ინფორმაციას.

კვლევები ევილენციალურ *wollen*-ზე გაცილებით მცირეა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს აღნიშნული ფუნქციით მისი იშვიათი გამოყენება. ზოგადად აღინიშნება, რომ მისი გამოყენებისას მოსაუბრე მიაწინებს პროპოზიციის სუბიექტზე, როგორც ინფორმაციის წყაროზე (დივალდი 1999: 227, მორტელმანსი/ვანდერბიენი 2011: 75, ვილმტაინი/დუდენის რედაქცია 2016: 576). ანუ, *wollen* ზმნასთან ინფორმაცია ყოველთვის კომუნიკაციური გზითარის მიღებული. ვიზუალურ ან სხვა ტიპის ევილენციებს მისი სემანტიკა არ ითვალისწინებს.

რადგან რეფერირებულ პირი წინადადების სუბიექტშია ლოკალურებულ, დივალდი (1999: 227) მას მარკირებულ ფორმად განიხილვს [+intern]. ის იმავდროულად აღნიშნავს, რომ ამ ნიშნით დიექტური *wollen* მის ცირკუმსტანციულ მეწყვილეს ემსგავსება. ცირკუმსტანციულ *wollen*-თანაც წინადადების

სუბიექტია მოდალოზების წყარო, ის არის ინსტანცია, რომელმაც მოდის დრექტივა და მასაც აქვს ნიშანი [+intern].<sup>11</sup>

დევალდი (1999: 225) *wollen*-ს მიაკუთვნებს ირიბი თქმის გამომხატველ საშუალებებს (Quotative). მისი გამოყენებისას ამჟამინდელი მოსაუბრე პირი მიანიშნებს

---

<sup>11</sup>გარკვეული დარატრადიციული დევალდის ასეთინტერპრეტაცია - სუბიექტის სურვილს აღწერა, როგორც საკუთარი თავიდან მიღებული დრექტივა, ბრძანება.

იმის თაობაზე, რომ არა თავადის (დეიქტური ორიგო), არამედ სხვა პირი (ციტირებულ ორიგო) განსაზღვრავს საქმის ვითარების ნამდვილობას. ამ შემთხვევაში, დევალი (1999: 182, 225) საუბრობს ორიგოს ტრანსფერზე (Origoverschiebung bzw. Versetzungsdeixis), რაც გულისხმობს იმას, რომ მოსაუბრე პირი მიაწინებს ციტირებულ პირზე, როგორც ციტატის ორიგოზე. აღნიშნულ მოდელური ზმნა მოიხმობს მეორე კომუნიკაციურ სიტუაციას და ხდება ორიგოს - კომუნიკაციის ორიენტაციის ცენტრის - ტრანსფერი მისი ყველ სემანტიკური ველთ - პერსონალური, ლოკალური, ტემპორალური, მოდელური, ევიდენციალური, სოციალური და ა.შ. მოსაუბრის პერსპექტივას ჩაანაცვლებს რეფერირებულ პირის პერსპექტივა. რეალური დეიქსისის განის განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ კონტექსტი წარმოასხვითა. ამ თვალსაზრისით დევალი *wollen*-ს კონიუნქტივ I-ის ფუნქციასთან აიგივებს.

მონტელმანსი/ვანდერბიენი (2011) *wollen* ზმნას განიხილვენ რეპორტულ საშუალებად, რომელიც არ იწვევს ორიგოს ტრანსფერს. ამავდროულად, სინტაქსურ სტრუქტურებზე დაკვირვება აღნიშნულავტორებს ამლევს იმ ვარაუდის საფუძველს, რომ *wollen* გარკვეულწილად კონიუნქტივ I-საც ემსგავსება. შედეგად, მონტელმანსი/ვანდერბიენი (2011: 85) *wollen*-ს ჰიბრიდულ ხასიათს ევიდენციალურ (რეპორტულ) ზმნად განიხილვენ.

მოსაუბრე პირი *wollen* ზმნის გამოყენებისას მიაწინებს სხვა პირის მტკიცებაზე და არა ვარაუდზე. დევალი (1999) აღნიშნავს, რომ რეფერირებულ პირი პროპოზიციას წარმოადგენს, როგორც ნამდვილ ფაქტს და ანიჭებს მნიშვნელობას [-nichtfaktisch] (დევალი 1999: 225), მეორეს მხრივ, კომთქმელო განსაზღვრავს რეფერირებულ პირის მტკიცებას, როგორც ნამდვილს [-nichtfaktisch]. თუმცა ამ ორი მიმართების კომბინაციის გამო, დევალი მიიჩნევს, რომ პროპოზიციამში იძენს მნიშვნელობას [+/-nichtfaktisch]. რადგან მოსაუბრე

პირი თავად არ აფასებს პროპოზიციას, როგორც ნამდვილს, რადგან მას არ აქვს პირდაპირი წვდომა პროპოზიციით წარმოდგენილ საქმის ვითარებასთან და ნაცვლად ამისა მიაჩნებს სხვისი მტკიცების ფაქტზე, მთლიანობაში ეს ყველფერი წარმოშობს პროპოზიციისთვის მნიშვნელობას [+/- nichtfaktisch] (დივალდი 1999: 225).

ევიდენციალური *sollen* ზმნა ბოლო დროის კვლევების ობიექტად იქცა. ევიდენციალურ ფუნქციაში მის ანალოზს ეძღვნება დივალდის (1999: 225-231),



დევალიძის /სმინროვას (2011, 2013), ლეტნესის (1997, 2002, 2008, 2011), ფატერი (2001) შრომები. ძირითად დარღვევებში საკითხზე, რომ *sollen* ზმნა სხვა, პრეპოზიციის სუბიექტის განსახვავებულ პირის ნათქვამს გულისხმობს. ანუ, *sollen*-იც მარკერია, რომელიც კომუნიკაციურ სიტუაციას მოიაზრებს ინფორმაციის მოპოვების გზად.

რადგან რეფერირებულ პირი წინადადების სუბიექტის მიღმაა ლოკალიზებული, დევალიძე (1999: 230) *sollen*-ს არამარკირებულ შემთხვევადად განიხილავს და ანიჭებს მნიშვნელობას [-intern]. ევიდენციალური *sollen*-იც ემსგავსება მის ცირკუმსტანციულ მეწყვილს. ცირკუმსტანციულ ვარიანტშიც ანონიმური, არდასახელებული მოდალური წყარო არის დრექტივის გამცემი (*Er soll die Hausaufgaben machen*). ევიდენციალურ ფუნქციაშიც *sollen* ზმნით მოსაუბრე პირი გამოხატავს, რომ ანონიმური პირმა პროპოზიცია შეაფასა, როგორც ნამდვილი.

დევალიძე 1999 წლის ნაშრომში *sollen*-საც ირიბი ნათქვამის გამომხატველსა შუალეზად განიხილავდა (Quotative), რომლის ცმთქმელორიგოს როლს რეფერირებულ პირს უთმობს. *sollen* ზმნის გამოყენებით ხორციელდება ორიგოს ტრანსფერი და შესაბამისად, კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანი ორიენტაციის ცენტრების გადატანა რეფერირებულ პირზე (მისი ტერმინია: ციტირებულ პირი) (დევალიძე 1999: 225). ამ თვალსაზრისით, დევალიძე *sollen* ზმნას კონიუნქტივ I-დან არ მიჯნავს.

მოგვიანებით, დევალიძე *sollen*-ისადმი დამოკიდებულება შეცვალა. სმირნოვა /დევალიძე (2011: 94, 2013: 450) მას მოიხსენიებენ, როგორც რეპორტულსა შუალეზას. აღნიშნავენ, რომ მისი მნიშვნელობით ის კონკრეტულ საკომუნიკაციო აქტზე და კონკრეტულ პირზე არ რეფერირებს. ნათქვამის ავტორს ის ყურადღების მიღმა ტოვებს. თუკი არ არის კონკრეტული რეფერირებულ პირი, მაშინ არც ორიგოს

ტრანსფერი განხორციელდება. ფოკუსშია მხოლოდ და მხოლოდ შინაარსი, რომლის გადმოტანაც მოხდა ერთი ან რამდენიმე წინა კომუნიკაციური სიტუაციიდან. *sollen*-თან მთქმელს დეიქტური კოორდინატები შენარჩუნებული რჩება. შესაბამისად, ის პასუხისმგებელია გამონათქვამზე და თავისუფლდება ვალდებულებისაგან, ორიგინალს მაქსიმალურად მიახლოებულად გადმოსცეს ინფორმაცია. შესაბამისად,

ს მ ი რ ნ ო ვ ა / დ ი ვ ა ლ დ ი (2011, 2013) *sollen*-ს მ ი ა კ უ თ ვ ნ ე ბ ე ნ ე ვ ი დ ე ნ ც ი ა ლ უ რ , კ ე რ მ ო დ კ ი , რ ე პ ო რ ტ უ ლ ს ა შ უ ა ლ ბ ე ბ ს , *sollen* ზ მ ნ ი ს შ ი ნ ა ა რ ს კ ი , შ ე მ დ ე გ ნ ა ი რ ა დ ა ლ წ ე რ ე ნ :

70. Er **soll** seine Hausaufgaben erledigt haben.

Ich [= der aktuelle Sprecher] beziehe meine Aussage, dass er seine Hausaufgaben erledigt hat, aus dem Resultat einer oder mehreren anderen Äußerungssituationen. (ს მ ი რ ნ ო ვ ა / დ ი ვ ა ლ დ ი 2013: 454)

*sollen* ზ მ ნ ე ბ თ ა ნ რ ე ფ ე რ ი რ ე ბ უ ლ პ ი რ ი ა რ ა ვ ი თ ა რ შ ე მ თ ვ ე ვ ა შ ი ა რ შ ე ი ძ ლ ბ ა ი ყ ო ს მ თ ქ მ ე ლ ს ი დ ე ნ ტ უ რ ი (რ ა დ გ ა ნ ა რ შ ე ი ძ ლ ბ ა მ თ ქ მ ე ლ ა ა მ ტ კ ი ც ო ს , რ ო მ ს ხ ვ ა კ ო მ უ ნ ი კ ა ც ი უ რ ს ი ტ უ ა ც ი ა შ ი მ ა ნ რ ა ი მ ე წ ა რ მ ო თ ქ ვ ა დ ა ი მ ა ვ დ რ ო უ ლ დ გ ა ი გ ო ნ ა , ი ს ა მ ქ ა მ ი ნ დ ე ლ ნ ა თ ქ ვ ა მ ი ს ე ვ ი დ ე ნ ც ი ა დ მ ი ს მ ვ ე ლ ნ ა თ ქ ვ ა მ ს ვ ე რ გ ა მ ო ი ყ ე ნ ე ბ ს (ს მ ი რ ნ ო ვ ა / დ ი ვ ა ლ დ ი : 2013: 455), როგორც 71-ე მაგალითში, რომლის პერიფრაზიც ასეთი იქნებოდა: *Ich sagte ihm, dass man/jemand gesagt hat, dass er gut gearbeitet hat.*

71. Ich sagte ihm, dass er gut gearbeitet haben **soll**.

თუ მ ც ა , დ ლ ე ს დ ლ ე ო ბ ი თ , *sollen*-თ ა ნ მ ი მ ა რ თ ე ბ ა შ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ბ ა ც ი კ ვ ე თ ე ბ ა . ლ ე ტ ნ ე ს მ ა (2008: 34) შეაჯამა 71 გამოკითხული პირის მოსაზრება წინადადებასთან - *Klaus sagt, dass der Motorradfahrer zu schnell gefahren sein soll.*

- დაკავშირებით. აქედან უმეტესობა (47 პირი) იმ მოსაზრებისაა, რომ კლუსი საკუთარ ნათქვამს გადმოსცემს (ანუ გამოიყენება კონიუნქტივ I-ის იდენტური ფუნქციით, როგორც ირიბი თქმის გამომხატველი საშუალება). 25 კითვლს, რომ კლუსი სხვის ნათქვამს გადმოსცემს (რასაც გრამატიკა ერთდერთ სწორ ვარიანტად მიიჩნევს). ანუ, თუკი გვაქვს მაქვემდებარებელი მატრიცული წინადადება, რომელიც შესავალს უკეთებს დაქვემდებარებულს, *sollen* ორმნიშვნელოვნად გამოიყენება.

აღნიშნულ მოსაზრებაზე პასუხად, ს მ ი რ ნ ო ვ ა / დ ი ვ ა ლ დ ი (2013) ახორციელებენ კორპუსით განპირობებულ კვლევას და პოულობენ მხოლოდ ორ მაგალითს, რომლებიც ორგვარი

ინტერპრეტაციის

შესაძლებლობას

უშვებენ.

შესაბამისად,

სმირნოვამ/დვალდამ (2013: 459) რეპორტულ *sollen*-ის ირიბი ნათქვამის გამომხატველსაშუალებად ინტერპრეტირება არ მიიჩნეის გამართლებულად.

აღსანიშნავია, რომ კვლევებში ტერმინებს *quotativ* და *reportiv/reportativ*, ერთს მხრივ, სინონიმებად განიხილვენ და ორივეს ევიდენციის სუბ-კატეგორიებად განსაზღვრვენ. ასე, მაგალითად, გლუკი/რიოდლო (2016) *Quotativ*-ის განმარტებისას

ფრჩხილი ადნიშნავენ (auch Reportativ) და განმარტებად გვთავაზობს: “Evidenzielle Kategorie für die sprachliche Kennzeichnung eines Sachverhaltes (Proposition) als nur vom Hörensagen bekannt, wodurch der Sprecher seiner Verantwortlichkeit für die Wahrheit der ausgedrückten Proposition enthoben wird und nicht zur Rechenschaft gezogen werden kann“ (2016: 551). მეორეს მხრივ, საენათმეცნიერო ლტერატურაში ორივე ტერმინს ერთმანეთისაგან მიჯნავენ, კერძოდ რეპორტულს მიიჩნევენ, როგორც ევიდენციალობის ქვეკატეგორიას, ხოლო ირიბი თქმის გამომხატველსაშუალებებს კი არ განიხილვენ ევიდენციალურ კატეგორიებად.

ადნიშნულ ტერმინების ერთმანეთისაგან მკვეთრი გამიჯვნის ავტორებია დივალდი და სმირნოვა (შდრ. დივალდი/სმირნოვა 2013, 2011). ძირითად განმასხვავებელ კრიტერიუმი ორიგოს ტრანსფერია. ირიბი თქმის საშუალებები ორიგოს ტრანსფერს გულისხმობს. ასეთი საშუალებებია, მაგალითად, მატრიცულ წინადადებებში პროტოტიპული სასაუბრო აქტის აღმნიშვნელი ზმნები (მაგ. *sagen*), რომლებსაც სხვა პირი შემოჰყავთნათქვამის ავტორად მოსაუბრის დეიქტური პოზიცია ციტირებულ/რეფერირებულ პირის პოზიციით ჩანაცვლება. რეპორტული მნიშვნელობები კი არ გულისხმობს ორიგოს ტრანსფერს. ის მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციულ წყაროზე მიანიშნებას წარმოადგენს. ის არაპირდაპირი ევიდენციალობის ერთ-ერთი სახეა, რომელიც კომუნიკაციური გზით ინფორმაციის მიღების ფაქტს უსვამს ხაზს.

ირიბი თქმის ძირითადი საშუალება გერმანულ ენაში კონიუნქტივ I-ია. მას ევიდენციალური მოდალური ზმნების *wollen* და *sollen*-ის მსგავსი ფუნქცია აქვს, მაგრამ არა იდენტური. კონიუნქტივ I-თან არ არის განსაზღვრული ვინ არის რეფერირებულ პირი. დივალდი (1999: 230) ადრებს კონიუნქტივ I-ის ფუნქციას *sollen*-ს და *wollen*-ს და აღნიშნავს, რომ *sollen*-თან რეფერირებულ პირი წინადადების სუბიექტის

მიღმაა ლოკალიზებული და აქვს მნიშვნელობა [-intern], ხოლო *wollen*-თან რეფერირებული პირი, წინადადების სუბიექტია და აქვს მნიშვნელობა [+intern], კონიუნქტივ I-ს კი არ გააჩნია არც ერთი ზემოაღნიშნული მნიშვნელობა ([+intern] ან [-intern]). შესაბამისად, შესაძლებელია მთქმელს წარსულში ნათქვამს გადმოსცემდეს ანუ მთქმელი საკუთარ ნათქვამს იმეორებდეს, როგორც მაგალითად:

72. Ich sagte ihm, dass er gut gearbeitet **habe**.

ასევე, შესაძლებელია, წინადადების სუბიექტით დენოტირებულ პირი იყოს ნათქვამის ავტორი (მაგალითად *Sie sagte, sie sei in Berlin*). ანუ, კონიუნქტივ I-ს შედარებით ფართო მოხმარება აქვს იმ თვალსაზრისით, რომ გამოიყენება, როგორც მოსაუბრის, ასევე წინადადების სუბიექტის, ან კიდევ სხვა პირის ნათქვამის გადმოსაცემად თუმცა, კონტექსტიდან ყოველთვის უნდა მოხდეს იმის განსაზღვრა, თუ ვის ნათქვამს ეხება საქმე. ანუ, კონიუნქტივ I გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარკვეულია ვინ იგულისხმება ციტირებულ პირში. ციტირებულ პირის იდენტიფიცირება შესაძლებელია კონტექსტის საშუალებით და დინდეს, ან ჩართულ მატრიცულ წინადადებაში კონკრეტულ დასახელებს.

კონიუნქტივ I-ის შემთხვევაში საქმე გვაქვს ორიგოს ტრანსფერთან (*Origoverschiebung bzw. Versetzungsdeixis*), რაც გულისხმობს იმას, რომ მთქმელი მიანიშნებს რეფერირებულ პირზე, როგორც ნათქვამის ავტორზე და ორიგოზე. ნათქვამი ძალაში მიახლოებულია ორიგინალს. ზოგიერთ კვლევებში აღინიშნება, რომ კონიუნქტივ I ჰარმონიულად ერწყმის პირდაპირ ციტატებს (შდრ. მორტელჩანსი 2009, ფლოგენი 2012).

კონიუნქტივ I-თან რეფერირებულ პირი წარმოადგენს საქმის ვითარებას როგორც ნამდვილს. მოსაუბრე პირი ციტირებულ პირსა და ციტატას შორის მიმართებას ასევე გვიხატავს, როგორც ნამდვილს, ფაქტობრივს. ის ამტკიცებს, რომ რეფერირებულმა პირმა ნამდვილად წარმოთქვა ის, რასაც გადმოსცემს მოსაუბრე.

რადგან კონიუნქტივ I-ის ფორმები წინადადებაში დამოუკიდებლად აღნიშნავს ირიბ თქმას, შესავალი წინადადება, რომლისც მოსაუბრე მიანიშნებს, რომ სხვაა ნათქვამის თავდაპირველ ავტორი, აუცილებელი არ არის.

ამგვარად, ძირითად სხვაობებს ევიდენციალურ *sollen*, *wollen* და კონიუნქტივ I შორის წარმოადგენს

რეფერირებულ/ციტირებულ პირის იდენტიფიცირება და მთქმელს დიქტური პოზიციის ციტირებულ პირისადმი დათმობა.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ კონიუნქტივ II-იც გვხვდება ირიბი ნათქვამის გადმოცემის ფუნქციით. თუმცა იეგერი (1971: 130) აღნიშნავს, რომ კონიუნქტივ II შესაძლოა ჯერ კიდევ თავდაპირველ ნათქვამში (ორიგინალში) იყო წარმოდგენილი და



გადმოვიდა ირიბ ნათქვამში (იეგერი 1971: 130), ანუ კონიუნქტივ II არაფერს ამბობს იმის თაობაზე, რეფერირებულმა პირმა პროპოზიციის ნამდვილობა როგორ შეაფასა.

კონიუნქტივ II საჭიროებს შესავალწინადადებას, რათა გასაგები გახდეს, რომ სხვისი ნათქვამის გადმოცემა ხდება. თუ ასეთი წინადადება არ გვაქვს, მხოლოდ ფართო კონტექსტს შეუძლია ნათელი გახადოს, ირიბ ნათქვამთან გვაქვს საქმე თუ არა. ანუ, ირიბი ნათქვამის მარკირება არ არის კონიუნქტივ II-ის ცენტრალური ფუნქცია.

მხოლოდ კონიუნქტივ I ახდენს ერთნიშვნელოვნად და შესავალ წინადადების გარეშე ორიგოს ტრანსფერს. ანუ, ის არის ფლექსიურ კილოს შორის სხვათა სიტყვის აღმნიშვნელი ერთადერთი საშუალება (დივალდი 1999: 184).

მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განვიხილოთ მოდალური ზმნის ფორმა - *dürfte*. დივალდი (1999: 233) აღნიშნავს, რომ ის ძირითადად არგუმენტაციული ხასიათის წერილობით ტექტებში გვხვდება და მისი საშუალებით მოსაუბრე (ამ შემთხვევაში მწერალი) სხვების აზრებსა და შეფასებებს გადმოსცემს. ამ თვალსაზრისით, ის ევიდენციალურ საშუალებებს უახლოვდება.

რეპორტული *sollen* და *wollen* - ისაგან *dürfte* განსხვავდება იმით, რომ ის იძლევა სიგნალს - რეფერირებულმა პირმა პროპოზიცია ერთნიშვნელოვნად ვერ შეაფასა როგორც ნამდვილ, მან პროპოზიცია შეაფასა, როგორც სავარაუდო. *dürfte* გადმოსცემს რეფერირებულ პირის მერყევ შეფასებას, ის გადმოსცემს სხვის ვარაუდს.

დივალდი (1999: 233) აქვე აღნიშნავს, რომ *dürfte* არა მხოლოდ სხვის მერყევ შეფასებას გადმოსცემს, არამედ ხშირად აქტუალური მოსაუბრე პირის მიერ მის გაზიარებასაც გულისხმობს. ასეთ შემთხვევებში სხვისი და საკუთარი შეფასებების აღრევა ხდება.

ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ, რომ

ევიდენცია ლური *wollen* და *sollen* გადმოსცემს მოსაუბრის სკეპტიკურ და მოკიდებულებას პროპოზიციის ნამდვილობისადმი, განსაკუთრებულად კი ეს *wollen*-ზმნასთან აღინიშნება. მაგალთა დივალდი (1999: 228) აღნიშნავს, რომ *wollen*-სთან შემოაქვს წინადადებაში ეჭვის კომპონენტები: “Gerade beim Quotativen *wollen* ist das Element des Zweifels des aktuellen Sprechers an der Richtigkeit der zitierten Faktizitätsbehauptung meist stark ausgeprägt.“ ასევე, “Die zweifelnde Komponente bei *wollen* [...] ist jedoch im heutigen Deutsch in fast allen Belegen spürbar“

(დივალი 1999: 229). ვიოლმ ტაინი/დუდენის რედაქცია (2016: 576) უფრო მსუბუქად მიანიშნებს: “Der Subjektaktant durch Aussagen oder andere Ausdrucksmittel glauben machen will, dass der angesprochene Sachverhalt zugriff.“

მკვლევართა ნაწილი (იოლშლეგერი (1989: 235), დივალი (1999: 228, 229), კოლომო (2011: 69)) აღნიშნავს, რომ ეჭვის და სკეპტიციზმის კომპონენტები მართლად მახასიათებელია ევიდენციალური მოდალური ზმნებისათვის, მაგრამ არ არის მათი სემანტიკის ნაწილი. ეჭვის ტემურ კომპონენტს კომუნიკაციური იმპლიკატურა იწვევს.

კომუნიკაციური იმპლიკატურა გრაისის (1975) მიხედვით, არის მსმენელს ვარაუდი, იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმამოსაუბრე პირმა გამონათქვამში, თემის გარეშე. ასეთი ვარაუდი იმ შემთხვევაშია საჭირო, თუკი გამონათქვამი სხვაგვარად უმნიშვნელოა (ან აზრი არ აქვს, ან ახალი ინფორმაციას არ იძლევა და ა.შ.). მსმენელი ვარაუდობს, რომ მოსაუბრე პირი კომუნიკაციის მაქსიმუმს ითვალისწინებს, კოპერატიულად მოქმედებს და კომუნიკაციური თვალაზრისით მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის მსმენელს. თუკი ნათქვამში ინფორმაციის მნიშვნელოვნება არ იკვეთება, მაშინ მსმენელი ასკვნის, რომ ის ნათქვამის მიღმა იგულისხმება.

კომუნიკაციური იმპლიკატურის პრინციპის ილუსტრირებისათვის დივალი

(1999: 40) მოჰყავს შემდეგი მაგალითი:

73. **Seit** du da bist, geht es alles schief. (1999: 40)

ორივე მოვლენის ტემპორალური კავშირი ენობრივად გამოიხატება საკავშირებელ სიტყვით *seit*. ეს წინადადება უმთავრეს შემთხვევაში არა ტემპორალურად არამედ კაუზალურად დიქტირება, როგორც:

74. **Weil** du da bist, geht alles schief. (დივალი 1999: 40)

ეს აღქმა გამოწვეულია კომუნიკაციური იმპლიკატურით

და ეფუძნება მსმენელს ვარაუდს, რომ მოვლენებს შორის დასახელებული დროითი დამოკიდებულება უმნიშვნელოა, თუ მათ შორის რაიმე სხვა დამოკიდებულება არ არსებობს (რომელიც ამ შემთხვევაში არ დასახელდა). ეს კაუზალური მნიშვნელობა, რომელიც იმპლკატურამ წარმოშვა, საპირისპირო ნათქვამით შეიძლება წაიშალოს, გაქარწყლდეს, როგორც მაგალითად:

75. **Seit** du da bist, geht alles schief, aber das liegt nicht an dir. (დივალი 1999: 40)

კომუნიკაციური იმპლკატურით ევიდენციალურ მარკერებთან წარმოიშვება დამატებითი მნიშვნელობა. როდესაც მოსაუბრე პირი იყენებს ევიდენციალურ მარკერს, ჩვეულებრივ, აქედან მსმენელ ასკვნის, რომ მოსაუბრე პირი არ არის დაწმუნებული პროპოზიციის სინამდვილესთან შესაბამისობაში. მსმენელს ამგვარ დასკვნას, განაპირობებს გრაისის (1975) კომუნიკაციის 2 პრინციპი/მაქსიმი: ხარისხის და რაოდენობის. რაოდენობის პრინციპი მთქმელს ავალდებულებს მისი წვლელ კომუნიკაციაში იყოს მაქსიმალურად ინფორმაციული, მაგრამ არა საჭიროზე მეტად. ხარისხის პრინციპი მთქმელს ვალდებულებს ხდეს, ართქვას ის, რისი მტკიცებების საფუძველც არგააჩნია (Do not say that for which you lack adequate evidence (გრაისი 1975: 45).

განვიხილოთ კონკრეტულ კომუნიკაციური აქტი. შეკითხვაზე - *Was Anna in der Vorlesung?* - ყველზე რაციონალური პასუხი ასერციაა ან ნეგაცია: *Anna war/ war nicht in der Vorlesung* (რაციუდრის მაქსიმალურ ინფორმაციას და შესაბამისობაშია რაოდენობის პრინციპთან). ხოლო პასუხი - *Anna soll in der Vorlesung gewesen sein.* - არღვევს რაოდენობის პრინციპს, რადგან მაქსიმალურზე (საჭიროზე) მეტს ამლევს მსმენელს. მსმენელი იძულებულია, დაიჯეროს, რომ მოსაუბრემ დაარღვია რაოდენობის პრინციპი, იმიტომ რომ ხარისხის პრინციპი არ დაერღვია: არ დაიწყო იმის მტკიცება, რისი საფუძველც არ ჰქონდა. მსმენელს ეს რწმენა, რომ მოსაუბრე პირი ითვალსწინებს და ერთმანეთს უთანხმებს კომუნიკაციის ზოგად პრინციპებს, იწვევს მის ვარაუდს: მოსაუბრე პირი უფრო ინფორმაციულ ნათქვამს მიიჩნევს მცდრად ან არ აქვს საკმარისი საფუძველი ვარაუდოს მისი სინამდვილესთან შესაბამისობა.

მსგავსი შემთხვევების ანალოზისას, ენათმეცნიერებაში მიმართავენ ბენდქსის (1966) ტესტს - "Ranking Test with 'But' ". კერძოდ მას იყენებენ ზმნების სემანტიკური კომპონენტების დასადგენად. მისი საშუალებით შესაძლებელია, სიტყვის

მნიშვნელობის აუცილებელ კომპონენტები განვასხვაოთ იმ კომპონენტებისაგან, რომელსაც მსმენელ ასოციაციით ან დასკვნით აკავშირებს ნათქვამთან.

ზემოთ ილუსტრირებულ წინადადება, შესაძლებელია განვავრცოთ მაპირისპირებელ კავშირით *aber*. კავშირი *aber* უარყოფს ნათქვამის მხოლოდ იმ

კომპონენტს, რომელიც მასთან ჩვეულებრივ მოსალოდნელა, მაგრამ არარის სიტყვის სემანტიკის მყარ ნაწილ:

76. Anna **soll** in der Vorlesung gewesen sein, aber ich weiß, dass das nicht stimmt: Sie war im Kino.

თუ პირველ შემადგენელ წინადადებაში ადრესატი ვარაუდობს, რომ მოსაუბრეს სჯერა, ან ნაკლებად სჯერა იმის, რასაც ამბობენ: მეორე შემადგენელ წინადადება აქარწყლებს მის ვარაუდს, რადგან ადრესანტს თურმე სცოდნია, რომ ეს სიმართლე არ არის. ანუ, აღმოჩნდა, რომ ადრესანტი მხოლოდ სხვის ნათქვამს იმეორებს და არანაირ ვარაუდს არ გამოთქვამს; ანუ, ტესტიდან ჩანს, რომ პირველ შემადგენელ წინადადებაში ტიპურ დასკვნასთან გვაქვს საქმე და ეპისტემურობა არ არის *sollen* ზმნის სემანტიკური კომპონენტი. იგივე მაგალითში *sollen*-ს თუ ჩავანაცვლებთ ეპისტემური *müssen*-ით, წინადადებას აღარ ექნება მისაღები შინაარსი, რადგან შემადგენელ წინადადებების სემანტიკა უპირისპირდება ერთმანეთს.

77. \*Anna **muss** in der Vorlesung gewesen sein, aber ich weiß, dass sie im Kino war.

მოდალური ზმნები *wollen* და *sollen* წმინდა დევიდენციალური ბუნებისაა, თუმცა მათ ხშირად აქვთ ეპისტემური გაგება, რაც არ არის ამ ზმნების სემანტიკის ნაწილი, არამედ მეორადი, კომუნიკაციის პროცესში შემენილი ფუნქციაა, რომლის გამოჯვანაცუნდა მოხდეს სემანტიკიდან.

გამონათქვამის მარკირება, როგორც სხვისი ნათქვამისა, წინასწარ არ ნიშნავს ამჟამინდელ მოსაუბრის ეჭვს პროპოზიციის ნამდვილობასთან მიმართებაში. ევიდენციალური მოდალური ზმნები ამ ფუნქციაში მიაწინებენ მხოლოდ იმის შესახებ, რომ ინფორმაციას ის სხვა პირიდან ფლობს. კონკრეტულ სიტუაციაში შესაძლებელია კომუნიკაციური იმპლიკატურის მეშვეობით მოდალური ზმნებით გამოხატულ შინაარსში ამოკითხული ან ნაგულისხმები იყოს ამჟამინდელი

მოსაუბრე პირის ეჭვი.

ეპისტემურ მარკერებთანაც ხარისხის პრინციპი აიძულებს მსმენელს იფიქროს, რომ მთქმელს ვარაუდისათვის საკმარისი საფუძვლები გააჩნია. ზემოთ მოყვანილ კომუნიკაციურ კონტექსტში პასუხი - *Anna muss in der Vorlesung gewesen sein.* - მსმენელს მიერ გაგებულ იქნება, რომ მთქმელს კონკრეტულ ევიდენციები აქვს მხედველობაში. თუმცა შესაძლებელია მთქმელს ევიდენციების გარეშეც ვარაუდობდეს, რაც კარგად



წარმოჩინდება, თუკი გავავრცობთ წინადადებას შემდეგნაირად:  
*Anna muss in der Vorlesung gewesen sein, aber ich habe sie eigentlich nicht gesehen.*

ამგვარად, საკმაოდ რთულა მოდალურ ზმნებთან ეპისტემურ მოდალობასა და ევიდენციალობას შორის ზღვარის გავლება. მოდალური ზმნების ძირითად და კონოტაციურ მნიშვნელობებში ეპისტემური და ევიდენციალური შინაარსი ერთმანეთს ებმის და კვეთს.

ლუისი (2009) ამტკიცებს, რომ გერმანულ მოდალური ზმნები ეპისტემურიც არის და ევიდენციალურიც. ის საუბრობს ორმაგ დეიქსისზე (*doppelte Deixis*). ისინი, ერთის მხრივ, მოსაუბრე პირის მიერ პროპოზიციის ნამდვილობის შეფასებას გამოხატავენ (ეპისტემური) და, მეორეს მხრივ, ინფორმაციის წყაროზეც მიანიშნებენ (ევიდენციალური). როგორც ჩანს, ლუისი (2009) არ განასხვავებს ერთმანეთს განძირითად და კომუნიკაციის პროცესში შეძენილ მნიშვნელობებს, როდესაც მსჯელობს, რომ *sollen* და *wollen* მოსაუბრის შეფასებას გამოხატავს, *wollen* მიანიშნებს ვარაუდის დაბალ ხარისხზე, *sollen* კი ვარაუდის საშუალო ხარისხზე (ლუისი 2009: 10). ინფორმაციის წყარო *wollen* ზმნის შემთხვევაში წინადადების სუბიექტით დენოტირებულ პირია, ხოლო *sollen* ზმნის შემთხვევაში კომუნიკაციური სიტუაციის მიღმა არსებულ პირი. მისი მტკიცებით, ინფორმაციის წყაროზე მიანიშნებს ასევე *müssen* ზმნა. ისიც წარმოადგენს დაყოფას ორინსტანციას შორის - შემფასებელსა და ინფორმაციის წყაროს შორის. შემფასებელ, როგორც ყველამოდალურ ზმნასთან, მოსაუბრე პირია, ხოლო წყარო ამჯერად საკუთარი ცნობიერებაა (*Eigenbewusstsein*). ანუ, ეს დაყოფა მიმდინარეობს ერთსა და იმავე პირის შიგნით, თითქოს მოსაუბრე გარედან უცქერს საკუთართავს. მას ესმის და ის უშვებს მისივე ინფორმაციის მცდარობის ალბათობას (ლუისი 2009: 9).

ლუისი (2009) მიიჩნევს, რომ მოდალურ ზმნებთან პირის

გრამატიკული კატეგორია სისტემურად არის მოცემული: ინფორმაციის წყარო *müssen* ზმნასთან პირველი პირია (ich), *wollen* ზმნასთან მეორე პირი (du), *sollen* ზმნასთან მესამე პირი (er/sie).

სამივე მოდალურ ზმნას (*wollen, sollen, müssen*) ლისი უპირისპირებს *können*-ს,

რომელთაგანაც შეუძლებელია ინფორმაციის წყაროს შეცნობა.

ლ ის ი (2009) კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ა ფ ა რ თ ო ე ბ ს „ ო რ მ ა გ ი დ ე ი ქ ს ი ს ი ს “ მ ქ ო ნ ე მ ო დ ა ლ უ რ ი ზ მ ნ ე ბ ი ს რ ი ც ხ ვ ს მ ო დ ა ლ უ რ ზ მ ნ ა – *werden*-ით<sup>12</sup>. მ ა ს თ ა ნ ა ც ო ნ ფ ო რ მ ა ც ი ი ს წ ყ ა რ ო თ ა ვ ა დ მ ო ს ა უ ბ რ ე პ ი რ ი ა , რო გ ო რ ც ზ მ ნ ა ს თ ა ნ *müssen*. ა ნ უ , ო რ ი ვ ე მ ო დ ა ლ უ რ ზ მ ნ ა ს თ ა ნ (*müssen, werden*) ო ნ ფ ო რ მ ა ც ი ი ს წ ყ ა რ ო მ ო ს ა უ ბ რ ე პ ი რ ი ა . ა მ მ ს გ ა ვ ს ე ბ ი ს ს ა პ ი რ ი ს პ ი რ ო დ , ი მ ა ვ ე დ რ ო ს , თ ვ ა ლ შ ი ს ა ც ე მ ი ა ო რ ი ვ ე მ ო დ ა ლ უ რ ზ მ ნ ა ს თ ა ნ მ ო ს ა უ ბ რ ი ს ვ ა რ ა უ დ ი ს ს ხ ვ ა დ ს ხ ვ ა ო ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ა . *müssen* ზ მ ნ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს ა ს მ ო ს ა უ ბ რ ე უ ფ რ ო მ ყ ა რ ა დ ა რ ი ს და რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ვ ა რ ა უ დ ი ს ს ი ს წ ო რ ე შ ი , *werden* ზ მ ნ ი ს და მ ა ჯ ე რ ე ბ ლ ო ბ ი ს ხ ა რ ი ს ხ ი კ ი ა შ კ ა რ ა დ უ ფ რ ო და ბ ა ლ ა . ლ ის ი (2009) ა ს კ ვ ნ ი ს , რ ო მ ვ ა რ ა უ დ ი ს ო ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ი ს ც ვ ა ლ ბ ა დ ო ბ ა ა რ ა რ ი ს და მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი მ ა ზ ე , თ უ ვ ი ს გ ა ნ ფ ლ ო ბ ს მ ო ს ა უ ბ რ ე პ ი რ ი ო ნ ფ ო რ მ ა ც ი ა ს . რ ა დ გ ა ნ ე ვ ი დ ე ნ ც ი ი ს წ ყ ა რ ო მ ო ს ა უ ბ რ ე პ ი რ ი ა , ი მ თ ა ვ ი თ ვ ე ა რ უ ნ და გ ვ ქ ო ნ დ ე ს მ ო ლ ო დ ი ნ ი , რ ო მ ვ ა რ ა უ დ ი ს ო ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ა ც უ ფ რ ო ძ ლ ე რ ი ი ქ ნ ე ბ ა . ლ ის ი (2009) მ ი ი ზ ნ ე ვ ს , რ ო მ ვ ა რ ა უ დ ი ს ო ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ა ს ი ს ტ ე მ უ რ ა დ ა რ ი ს მ ო დ ა ლ უ რ ზ მ ნ ე ბ თ ა ნ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ( ლ ის ი 2009: 12).

ლ ის ი ს (2009) მ ო ს ა ზ რ ე ბ ი თ , ო რ მ ა გ ი დ ე ი ქ ს ი ს ი ს წ ყ ა ლ ო ბ ი თ მ ო დ ა ლ უ რ ზ მ ნ ე ბ ს ა ნ ა ლ ო გ ი ა რ გ ა ა ზ ნ ი ა გ ე რ მ ა ნ უ ლ ე ნ ი ს მ ო დ ა ლ ო ბ ი ს გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ს შ ო რ ი ს და მ ი ს ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ა დ , რო გ ო რ ა და ც ე ს ხ შ ი რ ა დ ხ დ ე ბ ა ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ლ ტ ე რ ა ტ უ რ ა შ ი , ა რ უ ნ და მ ი ვ ი ზ ნ ი ო თ ე პ ი ს ტ ე მ უ რ ი წ ი ნ ა და დ ე ბ ი ს ზ მ ნ ი ზ ე დ ე ბ ი - *vielleicht, wahrscheinlich, möglicherweise*, ე ვ ი დ ე ნ ც ი ა ლ უ რ ი წ ი ნ ა და დ ე ბ ი ს ზ მ ნ ი ზ ე დ ე ბ ი - *offensichtlich, angeblich, scheinbar*, ა ნ კ ი დ ე ვ მ ო დ ა ლ უ რ ი ზ მ ნ უ რ ი შ ე მ ა ვ ს ე ბ ლ ე ბ ი (*es ist sehr wahrscheinlich*). ა დ ნ ი შ ნ უ ლ ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი პ ო ლ ს ე მ ი უ რ ი ა - ა ნ ე პ ი ს ტ ე მ უ რ ი , ა ნ ე ვ ი დ ე ნ ც ი ა ლ უ რ ი : ა ნ მ ხ ო ლ ო დ ა დ რ ე ს ა ნ ტ ი ს შ ე ფ ა ს ე ბ ა ს გ ა მ ო ხ ა ტ ა ვ ს , ა ნ მ ხ ო ლ ო დ ო ნ ფ ო რ მ ა ც ი ი ს წ ყ ა რ ო ზ ე მ ი ნ ი შ ნ ე ბ ა ს . და რ ა ც მ თ ა ვ ა რ ი ა , მ ა თ ს ე მ ა ნ ტ ი კ ა შ ი გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ პ ი რ ი ს კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი , რო გ ო რ ც ე ს მ ო დ ა ლ უ რ ზ მ ნ ე ბ თ ა ნ გ ვ ა ქ ვ ს , ა რ ა რ ი ს კ ო დ ი რ ე ბ უ ლ ( ლ ის ი 2009: 13).

ლ ის ს (2009) შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ა , მ ხ ო ლ ო დ ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ  
91

დავეთხმით, იმ თვალაზრით, რომ ევიდენციალური მოდლური ზმნები, ამავე დროს, ეპისტემური გაგებისაც არის. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა დაზუსტდეს, რომ ეპისტემურობა *wollen* და *sollen* ზმნების სემური კომპონენტი არ არის, არამედ კომუნიკაციის პროცესში შექმნილ მნიშვნელობაა. ევიდენციალური ზმნიზე დებიც შეიძენენ ანალოგიურად ეპისტემურ

---

<sup>12</sup> ლისი (2009) *werden* ზმნას მოდლურ ზმნად განიხილვს და არა დამხმარე ზმნად.

კომპონენტს კომუნიკაციის პროცესში. ანუ, ეს მხოლოდ მოდალური ზმნებისათვის მახასიათებელი არ არის, არამედ კომუნიკაციური პროცესის თანმდევი მოვლენაა. მეორეს მხრივ, *müssen* და *werden* ზმნები, მოდალურ ზმნებს შორის ხასიათდება ყველზე მაღალ ვარაუდის ინტენსივობით, რაც ბუნებრივია ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსაუბრე პირს ამისათვის კარგი საფუძველი აქვს, კერძოდ, ევიდენცია. თუმცა ეს არნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ ევიდენციალური კომპონენტი ეპისტემური ზმნების სემანტიკის განუყოფელი ნაწილია.

აღსანიშნავია ასევე, რომ გერმანულენას გააჩნია ორი რეპორტული წინადადების ზმნიზე და *angeblich* და *vorgentlich*, რომლებთანაც, ისევე როგორც *wollen*-თან და *sollen*-თან, მოცემულია ინფორმაციის წყარო - *vorgentlich*-თან ის წინადადების სუბიექტი თქონილი პირია (ჰელბიგი/ჰელბიგი 1993: 272), ხოლო *angeblich*-თან კომუნიკაციური სიტუაციის მიღმა არსებული პირი (ჰელბიგი/ჰელბიგი 1993: 77). ამ თვალსაზრისითაც არ გამოირჩევა ეპისტემური და ევიდენციალური მოდალური ზმნები ეპისტემური და ევიდენციალური წინადადების ზმნიზე დებისაგან.

#### 1.4. დასკვნა

მოდალური ზმნების ანალიზის შედეგად ენათმეცნიერულ ლტერატურაში ჩამოყალიბებულ ერთ, ორ- ან სამგანზომილებიან მოდალურ კონცეფციებს შორის ყველზე ადეკვატური მოდალობის დიქტომიური დაყოფაა. ის ძირითად გამყოფ ხაზს ავლებს ცირკუმსტანციულ და ეპისტემურ მოდალობებს შორის და, ამავდროს, ორიენტირებულა იპოვოს მათ შორის არსებული შინაგანი კავშირი და საერთო სემანტიკური სტრუქტურა. ორგვარ დაყოფას, ერთის მხრივ, სემანტიკური კრიტერიუმი განაპირობებს, რაც იმით ვლენდება, რომ მოდალური ზმნების ორივე გაგებას

სხვადასხვა ენობრივი კონტექსტი ახასიათებს და ორივეს  
სინტაქსური ტრანსფორმაცია სხვადასხვაგვარი  
პერიფრაზით არის შესაძლებელი. მეორეს მხრივ,  
დექლემიური და ყოფა ფუნქციურ-სემიოტიკურ ზღვარს  
ავლბს მოდლობის ორივე ტიპს შორის და, ერთ მხარეს,  
ეპისტემურ (დექტურ) ნიშნებს, ხოლო, მეორე მხარეს,  
ცირკუმსტანციულ(ლექსიკური) ნიშნებს განაღგებს.

ეპისტემური/ევიდენციალური მოდალური ზმნები უფრო მეტად გრამატიკალოზებულა ცირკუმსტანციულთა შედარებით, რაც იმაში ჩანს, რომ მათი გამოყენების ფორმები ეპისტემური/ევიდენციალური შინაარის გამომცემისას გაცილებით შეზღუდულია.

ცირკუმსტანციულ მოდალური ზმნა ჰგავს ჩვეულებრივი ტიპის სრულნიშვნელოვან ზმნას, რომელსაც გააჩნია ლექსიკური მნიშვნელობა და წინადადების შინაარსის ფუნქციის ანუ პროპოზიციის ნაწილია. ის სემანტიკურად მიემართება წინადადების სუბიექტს და გამოხატავს სუბიექტის მდგომარეობას. ის ორვალენტიანი ოპერატორია, რომლის არგუმენტები სუბიექტი და ინფინიტივური დამატებაა. ცირკუმსტანციულ მოდალურ ზმნებს გააჩნია ვიწრო სკოპუსი.

ეპისტემური მოდალობის დისტინქციურ ნიშანს მთქმელს ვარაუდო წარმოადგენს. მთქმელი აფასებს პროპოზიციას ნამდვილობის თვალაზრისით, მაგრამ ვერ ახდენს მის ასერციას ან ნეგაციას. ამ განმარტების შესაბამისად ეპისტემური მოდალობის გამომხატველ ზმნებია *müssen* და *können* (როგორც ინდიკატივში, ასევე კონიუნქტივ II-ში), *dürfen* და *sollen* (მხოლოდ კონიუნქტივ II-ში) და *mögen* (მხოლოდ ინდიკატივში). *sollen* (ინდიკატივში) და *wollen* ასეთსაშუალებებად არ მოიაზრება.

ეპისტემური ზმნა არ არის პროპოზიციის შინაარსის ნაწილი. მას არ გააჩნია წინადადების სუბიექტთან სემანტიკური მიმართება. მას აქვს ფართო, პროპოზიციული სკოპუსი. ის ერთვალენტიანი ოპერატორია, რომლის არგუმენტი მთლიანად წინადადებაა.

ობიექტურ-ეპისტემურ მოდალობა არ წარმოადგენს ეპისტემურ კატეგორიას. ობიექტურ-ეპისტემური მოდალური ზმნები არ გამოხატავენ ვარაუდს. მათთან მოსაუბრიდან დამოუკიდებელი გარე ფაქტორები განაპირობებენ პროპოზიციის ნამდვილობის შესაძლებლობას.

ეპისტემური მოდალური ზმნები დეიქტური ნიშნებია, რომლებიც მარკირებულ (ორიგოქსკლუზიურ) მნიშვნელობას გამოხატავენ: [+/-nichtfaktisch], რაც გულისხმობს: ან ნამდვილ ან არა ნამდვილ.

ეპისტემურ მოდალობას ენათესავება ევიდენციალობის კატეგორია. ის ნათქვამში ინფორმაციის წყაროს ენობრივ მარკირებას გულისხმობს.



ევიდენციალური მარკერები განასხვავებენ ევიდენციის ტიპებს: პირდაპირს - როდესაც მთქმელს პირდაპირი წვდომა აქვს ინფორმაციაზე, და ირიბს, როდესაც მთქმელს არაპირდაპირი წვდომა აქვს ინფორმაციაზე. ირიბი ევიდენციის ტიპი იმლუვა შემდგომი დიფერენცირების საშუალებას: მთქმელს აღნიშნავს, რომ ევიდენციის საფუძველზე საკუთარი დასკვნა გააკეთა (ინფერენციული ევიდენციალობის ტიპი, მარკირებულ სემანტიკური ნიშნით [+subjektiv]), ან აღნიშნავს, რომ ინფორმაცია მოიპოვა კომუნიკაციური გზით (სხვა პირისაგან შეიტყო) (რეპორტული ევიდენციალობის ტიპი, არამარკირებულ ფორმით [-subjektiv]).

გერმანულ მოდალურ ზმნებს შორის *wollen* და *sollen* წარმოადგენს ევიდენციალურ საშუალებებს, კერძოდ რეპორტულს, რომელსა სემური კომპონენტია სხვა კომუნიკაციურ აქტზე მინიშნება, საიდანაც მთქმელს ფლობს ინფორმაცია.

ეპისტემური მოდალური ზმნები კომუნიკაციურ-პრაგმატულ დონეზე, შესაძლებელია იყვნენ როგორც ეპისტემური ისე ევიდენციალური. კომუნიკაციური იმპლიკატურა, კერძოდ კომუნიკაციის ორი მაქსიმის - ხარისხის და რაოდენობის პრინციპის ურთიერთმთქმელების მექანიზმი, ისევე როგორ ბენდიქსის (1966) ტესტი *Ranking Test with But* ადასტურებს, რომ სემანტიკურ დონეზე მათორი მნიშვნელობა არგააჩნიათ.

## 2. წინადადების ზმნიზედები როგორც ეპისტემური/ევიდენციალური

### მოდალური ზმნების სუბსტიტუციის საშუალებები

#### 2.1. წინადადების ზმნიზედების კვლევის ტრადიციები

წინამდებარე თავი ეძღვნება ეპისტემური მოდალობისა და ევიდენციალობის გამომხატველ ზმნიზედების (*vielleicht, möglicherweise, sicherlich, zweifelsohne* და სხვ.) პრობლმატიკის კვლევას.

წარმოდგენილ ლექსემებში ვიოლჰტაინის/დუდენის რედაქციის (2016: 867) მიხედვით **კომენტარის ზმნიზედებია (Kommentaradverb)**, რომლებიც ზმნიზედების კლასის სხვა წევრებისაგან ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით საგრძნობლად განსხვავდებიან. აქვე აღნიშნულია, რომ კომენტარის ზმნიზედი გარკვეულწილად შეფერილობით ნაწილკებს (**Abtönungspartikeln**) ემსგავსებიან, რადგან მათ მსგავსად საქმის ვითარების შეფასებას და მოსაზრის კომენტარს გადმოსცემენ (ვიოლჰტაინი 2009: 586). აქედან გამომდინარე, ეწოდებათ **მათკომენტარის ზმნიზედები**. ერომსი (2000: 2006) აღნიშნულ ლექსემებს **წინადადების ზმნიზედებს (Satzadverb)** უწოდებს. ამგვარად, წინ წამოწეულია მათი სემანტიკური ფუნქცია, განსაზღვრონ და შეგავლენა მოახდინონ მთლიანად წინადადების შინაარსზე. ჰელბიგი (1984: 91) წარმოდგენილ ზმნიზედებს უწოდებს **მოდალურ სიტყვებს (Modalwörter)**, რადგან ისინი სემანტიკური თვალსაზრისით კონკრეტულ მოდალობის გამომხატველ არიან. ადმონის (1970: 201) მიხედვით, ეს ზმნიზედი **ჩართული სიტყვებია (Schaltwörter, Parenthetika)**. ამ შემთხვევაში, ყურადღება გამახვილებულია მათ სინტაქსურ ფუნქციაზე, რადგან ისინი მხოლოდ სტრუქტურულად არიან ინტეგრირებულნი წინადადებაში, სინამდვილეში კი, წინადადების ფარგლებს გარეთ დგანან, როგორც ამას ვკითხულობთ ჰელბიგთან/ჰელბიგთან (1993: 14): “Sie sind Schaltwörter, weil

sie syntaktisch nur äußerlich in den Satz eingeschaltet sind, in Wahrheit aber – ohne Satzgliedfunktion – außerhalb des eigentlichen Satzinhalts stehen.“

მკვლევართა უმეტესობა ზემოაღნიშნულ ტერმინებიდან უპირატესობას ანიჭებს **წინადადების მმნიშვნელს** (Satzadverb) (შდრ. ერომსი 2000, ჰეტლუნდი 1992, ჰენჩელ/ვეიდტი 2013, ციფონუნი et al. 1997, გლუჟი/რიოდელი 2016). ჩვენც აღნიშნულ ტერმინს გამოვიყენებთ.

წინადადების ზმნიზედები ფორმა უცვლელსიტყვათა დიკლასს მიეკუთვნება, რომელთა ძირითადი მახასიათებელი ბრუნვისა და უღლების უნარობაში მდგომარეობს.

ვიოლჰელმ ტაინის/დუდენის რედაქციის (2016) მიხედვით, ფორმა უცვლელ სიტყვებთან, ზოგადად არსებობს ის პრობლემა, რომ ისინი ყოველთვის მტკიცედ განსაზღვრულ და დეფინირებულ კლასს ვერ ქმნიან: “Stets gibt es Einzelgänger (Ausnahmen) und Grenzgänger, die sich zwischen zwei Klassen befinden, sich also einer eindeutigen Klassifizierung entziehen. [...] Heute geht man eher vom Konzept der Prototypen aus [...]. Jede Wortklasse hat prototypische Vertreter, daneben auch weniger prototypische bis hin zu Ausnahmen, die es als solche zu beschreiben und, soweit möglich, zu integrieren gilt, ohne dass deshalb die Gültigkeit der Wortklassenkriterien infrage gestellt würde“ (2016: 579).

ფორმა უცვლელ სიტყვათა კლასებად დაყოფის მიზნით ერთდროულად იყენებენ მორფოლოგიურ, სინტაქსურ და/ან სემანტიკურ კრიტერიუმებს.

მორფოლოგიური კრიტერიუმების საშუალებით, ფორმა უცვლელ სიტყვებს განასხვავებენ ფორმაცვალებადიდან. შემდგომი კლასიფიკაციისათვის არსებითი თავად ფორმა უცვლელ სიტყვების ფუნქციაა. ამას გარდა სინტაქსური კრიტერიუმებიც მნიშვნელოვანია: ფორმა უცვლელ სიტყვების კოზიცია წინადადებაში, მათი სინტაქსური შესაძლებლობები, ბრუნვის მართვის (Kasus regieren) უნარი. კლასიფიკაციისას ასევე გადამწყვეტია, აქვთ თუ არა მათ უნარი, დააკავშირონ ერთმანეთთან წინადადებები, და არიან თუ არა ისინი სავალდებულო წევრები წინადადების დასრულებულ აზრის გადმოსაცემად.

ზემოაღნიშნულ კრიტერიუმების შესაბამისად, ფორმა უცვლელ სიტყვებს ვიოლჰელმ ტაინის/დუდენის რედაქცია (2016: 580) ოთხ დიდი კლასად ჰყოფს: ზმნიზედბად (Adverbien), ნაწილკებად (Partikeln), წინდებულბად (Präpositionen) და მაკავშირებელ სიტყვებად (Junktionen). მათ შორის ზმნიზედები ერთ-ერთ ჰეტეროგენულ და რთულ დეფინირებად სიტყვათა

კლასი წარმოადგენს: “Selbst die Unterscheidung in mehr oder weniger prototypischen Adverbien ist nicht einfach. ‘Der Prototyp hält sich verborgen.’ (Eisenberg 2002a: 61)” (ვილმუტაინი/დუნის რედაქცია 2016: 581).

ზმნიზედების საერთო მახასიათებელ წარმოადგენს ის, რომ ისინი უღლებადი ზმნის წინა ველში დანა და ეს სინტაქსური კრიტერიუმი გამოყოფს აღნიშნულ კლასს ფორმა უცვლელ სიტყვების სხვა კლასებიდან.

ზმნიზედების კლასი, თავის მხრივ, ქვეკლასებად იყოფა და მათი სუბკლასიფიკაციისათვის სხვადასხვა გრამატიკა სხვადასხვა კრიტერიუმს ადგენს.

ვიოლმე ტაინი/დუდენის რედაქცია (2016: 584) ზმნიზედებს სამ ქვეკლასად ჰყოფს: *Situierungsadverbien*, *Konjunktionaladverbien* და *Kommentaradverbien*. ქვეკლასებად დაყოფისას, პირველ რიგში, გადამწყვეტია მათი სემანტიკა და ფუნქცია, ასევე გათვალისწინებულია ფუნქციონირების არეალ (სკოპუსი), წარმოების წესი და სინტაქსური საკითხები.

ზმნიზედების სუბკლასიფიკაციის განსხვავებულ წესს იყენებს მანჰაიმის გერმანულ ენის ინსტიტუტის გრამატიკულ საინფორმაციო სისტემა *grammis*. ის ზმნიზედების სუბკლასიფიკაციის მიზნით მიმართავს სინტაქსური ფუნქციის დონეს; ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია იმ გამონათქვამთა კომპლექსურობა, რომლებზეც ოპერირებენ ზმნიზედები. შესაბამისად, წარმოადგენილია ზმნიზედების ორი ტიპი: ა) ზმნის ჯგუფის ზმნიზედები (*Verbgruppen-Adverbien*), რომლებიც მოქმედებენ წინა და დეზაზე იერარქიულ და ბლ მდომ ენობრივ ერთეულზე და ბ) წინა და დების ზმნიზედები (*Satzadverbien*, *Modalpartikel*, *Modalwort*, *Modaladverb*), რომლებიც ოპერირებენ წინა და დეზაზე. ამ უკანასკნელს მანჰაიმის გერმანულ ენის ინსტიტუტის გრამატიკულმა საინფორმაციო სისტემამ *Grammis*-მა მიაკუთვნა ზმნიზედები სხვადასხვა სემანტიკური ქვეკლასებიდან (*temporal*, *kausal*, *konditional*, *konsekutiv*, *konzessiv*, *adversativ* და *restriktiv*) და მათ გვერდით გამოჰყო **მოდალური წინადადების მმნიზედები** (*modale Satzadverbien*) (*leider*, *vielleicht*, *keineswegs*).

ციფონ უნი et al. (1997: 1122) წინა და დების

ზმნიზედის/გარემოების იდენტიფიცირებისათვის და ზმნის  
ჯგუფის ზმნიზედბიდან/გარემობიდან  
განსხვავებისათვის მარტივ ტესტს გვთავაზობს :

“Ein Ausdruck k ist dann ein Satzadverb(iale), wenn folgende Paraphrase eines Satzes s, der k enthält, möglich ist: Es ist / war...k der Fall, dass s'. Wobei s' aus s entsteht, indem k ausgelassen wird und das Vollverb in s' ins Präsens gesetzt wird.“

აქვე გვთავაზობს მაგალიტებს :

80. **Vielleicht** kommt ein Sturm.

**Vielleicht** ist es der Fall, dass ein Sturm kommt.

81. Es hat **gestern** geregnet.


Es war **gestern** der Fall, dass es regnet.

82. Maier ist **beim Bergsteigen tödlich** verunglückt.

\*Es war **tödlich** der Fall, dass Maier beim Bergsteigen verunglückt.

Es war **beim Bergsteigen** der Fall, dass Maier tödlich verunglückt. (1997: 1122)

ჰეტლანდი (1992), რომლის ნაშრომი *Satzadverbien im Fokus* ზმნიზედების კვლევებს შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და მოცულობით შრომას წარმოადგენს, ზმნიზედების მორფო-სინტაქსურ კლასიფიკაციას მიმართავს. ფორმა უცვლელ სიტყვებს ჰყოფს, ერთს მხრივ, კავშირებად და წინდებულებად, მეორეს მხრივ, ზმნიზედებად, შემდგომი კრიტერიუმის საფუძველზე - Funktion als Fügteil. ზმნიზედების კლასის ქვეკატეგორიებად დასაყოფად კი ორ კრიტერიუმს იყენებს: 1. დამოუკიდებელ გამოყენება და ხურულ შეკითხვების პასუხება და 2. ფინიტური ზმნის წინა ველში გამოჩენა. ამ ორი კრიტერიუმით წინადადების ზმნიზედები განსხვავდება ზმნიზედების დანარჩენი ჯგუფებისაგან. ქვემოთ წარმოადგენილია ჰეტლანდის (1992: 16) დაგრაფა:





ja



Satzadverbien

როგორც აღვნიშნეთ, ორივე აღიარებული გრამატიკა (ვიოლშტაინი/დუდენის რედაქცია (2016), ციფონუნი et al. (1997)) და ჰეტლანდი (1992) ზემოაღნიშნულ ლექსემებს მიაკუთვნებს ზმნიზედების კლასს. გერმანულ ენათმეცნიერებაში განსხვავებული მიდგომაც არსებობს აღნიშნულ ლექსემების ზმნიზედების კლასთან მიკუთვნების საკითხისადმი. მაგალითად ჰელბიგი (1984: 91) და ჰელბიგი/ჰელბიგი (1993: 17) მათ უწოდებენ მოდალური სიტყვებს და მათ დამოუკიდებელ სიტყვათა კლასად გამყოფენ. ამის საფუძველს მათ აძლევს, სინტაქსური და სემანტიკური თვალსაზრისით ზმნიზედების კლასის სხვა წევრებისაგან მათი განსხვავებული ხასიათი.

ჰელბიგი (1984: 89) მოდალური სიტყვების (Mödalwörter) ზმნიზედების ტრადიციული ჯგუფიდან ცალკე სიტყვათა კლასად გამოყოფის დასასაბუთებლად 3 სინტაქსურ კრიტერიუმს გვთავაზობს:

1. მოდალური სიტყვების ტრანსფორმირების შესაძლებლობა დამოუკიდებელმა ქვემდებარებელწინადადებად<sup>13</sup>.
2. დახურული კითხვის პასუხად მათი გამოყენების შესაძლებლობა.
3. უარყოფითი ნაწილკ *nicht*-თან მიმართებაში მათი განსხვავებული დისტრიბუცია.

როგორც ვხედავთ, საკმაოდ განსხვავებულია სპეციალურ ლტერატურაში არსებული ტერმინოლოგია, ზმნიზედების სუბკლასიფიკაციის კრიტერიუმები და ქვეკლასების რაოდენობა. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ პრობლემურია წინადადების ზმნიზედების ინვენტარის დადგენა, უფრო კონკრეტულად კი მათი გამიჯვნა ზედართავისა ხელუბიდან.

მანჰაიმის გერმანულ ენის ინსტიტუტის გრამატიკულ საინფორმაციო სისტემა *grammis* მიუთითებს, რომ ზოგიერთი ლექსემა, რომელიც მორფოლოგიურად ზედართავსა ხელს განეკუთვნება, განიხილება, როგორც წინადადების გარემოება: “Eine Reihe von Einheiten,

die ihrer Morphologie nach als Adjektive zu klassifizieren sind, haben primär die Funktion von Satzadverbialia und wirken wie die obigen Adverbien geltungseinschränkend. Sie treten nur

---

<sup>13</sup> ჰეტლანდის (1992: 20) მიხედვით, პირველი კრიტერიუმის სინტაქსურ კრიტერიუმად განხილვა მთლად მართებული არ არის, რადგან, პერიფრაზირება სემანტიკურ ეკვივალენტზეა დაფუძნებული. ის აიხსნება წინადადების ზმნიზებებსა და მნიშვნელობით მონათესავე ზედართავებს და ზმნებს შორის ლექსიკონში სემანტიკურად მსგავსი ნიშნების არსებობით.

selten als attributive Adjektive auf: *wahrscheinlich, vermutlich, offensichtlich, bekanntlich, offenkundig, tatsächlich.*“ ანალოგიურ მიდგომას წარმოადგენს ვიოლმ ტაინი/დუდენის რედაქცია (2016: 599) და ციფონ უნი et al. (1997: 46).

აღნიშნულ ფუნქციაში ზემოხსენებულ ზედართავი სახელები ანალოგიური დისტრიბუციით და სინტაქსურად იდენტური ქცევით ხასიათდებიან, ანუ მოქმედებენ როგორც წინადადების ზმნიწედები. ასევე, მათ წინადადების ზმნიწედთან საერთო აქვთ სემანტიკური მახასიათებლებიც. შესაბამისად, სადსერტაციო ნაშრომში მათ მივაკუთვნებთ წინადადების ზმნიწედების კლასს. ამ მიზნით, ვეყრდნობით დუფნერს (2010: 18) და მივმართავთ წინადადების ზმნიწედების კლასის სინტაქსურ დეფინიციას. ვხელმძღვანელობთ არა ლექსიკური (Lexeme, Lexikonwörter, lexikalische Wörter), არამედ სინტაქსური სიტყვებით (Textwörter, syntaktische Wörter) და შემდეგი სინტაქსური და ფუნქციური კრიტერიუმების საფუძველზე განვმარტავთ წინადადების ზმნიწედებს, როგორც სინტაქსურ სიტყვებს, რომლებიც ფუნქციონირების არეალში მოაქცევენ მთელ პროპოზიციას, თავად არ ეკუთვნიან წინადადების პროპოზიციულ ნაწილს, არამედ გამოხატავენ მთქმელს შეფასებას, კომენტარს; წარმოადგენენ არა სინტაგმებს (მაგ. mit großer Wahrscheinlichkeit), არამედ ცალკეულ ენობრივ ერთეულებს (Einzelwort); არ აქვთ ფლექსია და დამოუკიდებლად გვხვდებიან უღლებადი ზმნის წინაველი.

### 2.1.1. წინადადების ზმნიწედების სინტაქსური თავისებურებები

თანამედროვე ენათმეცნიერულ ლტერატურაში წინადადების ზმნიწედებს კონტრასტულად ადარებენ ვითარების ზმნიწედებს (Modaladverbien). ძირითად დასაუბრობენ მათ განსხვავებულ სკოპუსზე და დისტრიბუციულ თავისებურებებზე.

მაგალთა დ. ერომსი (2000) წინადადების და ვითარების  
ზმნიზე დას/გარემოებას შორის არსებულ სხვაობის  
თვალაჩინების მიზნით, შემდეგ მაგალთებს გვთავაზობს :

83. Er hat den Kuchen **schnell** aufgegessen.

Er hat den Kuchen **leider** aufgegessen.

Sie hat das Buch **sorgfältig** gelesen.

Sie hat das Buch **möglicherweise** gelesen. (2000: 222)

ერომსი წინადადების შემდგნაირ პერიფრაზს  
გვთავაზობს :

84. Er hat den Kuchen **leider** verschlungen.

Es **ist bedauerlich**, dass er den Kuchen aufgegessen hat.

Sie hat das Buch **möglicherweise** durchstudiert.


Es **kann sein**, dass sie das Buch gelesen hat. (ერომსი 2000: 222)

შინაარსობრივი სხვაობა იმთავითვე თვალახინია. პერიფრაზი გვიჩვენებს, რომ *schnell* და *sorgfältig* ზმნურ შემასმენელს უკავშირდება, *leider* და *möglicherweise* კი მთელ წინადადებას.

რა თქმა უნდა, მოდიფიცირებულ წინადადებების მნიშვნელობა არ არის თავდაპირველ წინადადებების მნიშვნელობის იდენტური. უბრალოდ, პერიფრაზი ნათლად წარმოაჩენს (წინადადების) ზმნიზედს/გარემოების მიმართების სფეროს. ვითარების გარემოება იმ ზმნასთან ერთად ქმნის კომპლექსურ პრედიკატს, რომელსაც ექვემდებარება. მისი ჩანაცვლება შესაძლებელია ასევე წინდებულანი ფრაზით. მისი მიმართების პუნქტი უდავოდ ზმნური შემასმენელია.

წინადადების ზმნიზედს/გარემოების მიმართების ობიექტი წინადადებაა. მისი პერიფრაზირება შესაძლებელია წინადადების ფორმით და ის ტრანსფორმირდება მაქვემდებარებელ მატრიცულ წინადადებად ან ჩართულ წინადადებად (ჰელბიგი/ჰელბიგი 1893: 18)

აღნიშნულს თვალახინობისათვის ერომსი (2000: 223) წარმოგვიდგენს სქემებს. პირველ სქემაში ზმნიზედს *schnell* იმართება ზმნისგან, მეორე სქემაში ზმნიზედს *leider* იმართება წინადადებისგან:<sup>14</sup>



ერომსი მიიჩნევს (2000: 224), რომ წინადადების ზმნიზედს მოქმედების არეალ ყველზე ადეკვატურად აისახება, როდესაც ის წინადადების წინა ველში ჩნდება. მის

---

<sup>14</sup> ერომსს სქემაში შემოაქვს დამატებითი კვანძი (S) წინადადების სახით. დამოკიდებულებათა სქემაში წინადადების შემოტანით შესაძლებელ გახდა წინადადების ტიპების წარმოდგენა (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილს და სხვ. (ერომსი 2006: 1019).

მარჯვნივ მდგომი წინადადების ნაწილ სრულდ ექცევა წინადადების ზმნიზედის სკოპუსში.

ერომსი (2000: 224) მიიჩნევს, რომ თუკი წინადადების ზმნიზედ შუა ველში ჩნდება, მაშინ ის პაუზებით გამოეყოფა დანარჩენ წინადადებას, წერილობით ენაში კი, მძიმეებით. ამით კარგად ჩანს წინადადების ზმნიზედების სტატუსი, როგორც შემცირებული წინადადებებისა, რომლებსაც შემფასებლური ან კომენტარული ხასიათი აქვთ:

85. Das ist, **vermutlich**, eine Lösung.

Das ist, **wie ich vermute**, eine Lösung.

**Ich vermute**, dass das eine Lösung ist. (ერომსი 2000: 224)

წინადადების ზმნიზედების დამოუკიდებელ სტატუსზე მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ შეიძლება მათი გამოყენება დახურულ კითხვის პასუხად, მოდალური ზმნიზედები კი დიაკითხვის პასუხად გამოდგება (ერომსი 2000: 224, ჰელბიგი 1984: 90, 108, ჰელბიგი 1992: 17):

86. Kommt er? **Vermutlich**.

Kommt er? **\*Pünktlich** (ჰელბიგი 1984:

90) Wie kommt er? **Pünktlich**

Wann kommt er? **\*Vermutlich**. (ჰელბიგი 1984: 108)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინადადების ზმნიზედების ერთი ჯგუფი, მხოლოდ დამადასტურებელ ან უარყოფელ ნაწილკთან ერთად გვხვდება დახურულ კითხვის პასუხად:

87. Kommt er? Ja, **angeblich**.

Kommt er? **Leider** nein. (ჰელბიგი 1992: 18)

წინადადების ზმნიზედების ის ნაწილი, რომელიც დამოუკიდებლად პასუხობს დახურულ კითხვას, ზმნის უკანა ველში გადატანის შემთხვევაში, მარკირებულ შემთხვევადად განიხილება, წინადადების ზმნიზედების ის ნაწილი კი, რომელიც დამოუკიდებლად არ გვხვდება დახურულ კითხვის პასუხად, ნორმად განიხილება:



88. ?Den Kuchen isst er auf, **wahrscheinlich**.

Den Kuchen isst er **wahrscheinlich** auf.

Den Kuchen hat er aufgegessen, **leider**. (၅ ၵၢၼ ၵ ၵ 2000: 225)

წინადადების ზმნიზე და არ შეიძლება იყოს კითხვის ობიექტი.

ჰელბიგი (1984) ყურადღებას ამახვილებს წინადადების ზმნიზე დას შემდგომ მახასიათებლებზე, რომელზე უარყოფით ნაწილზე *nicht*-თან მიმართებაში განსხვავებულ დისტრიბუციას წარმოადგენს. ჰელბიგის (1984: 90) მიხედვით, *nicht* ვითარების ზმნიზე დას წინ, ხოლო წინადადების ზმნიზე დას შემდეგ დას:

89. Er kommt **vermutlich** nicht. (1984: 90)

Er kommt nicht **pünktlich**. (1984: 91)

როგორც ჩანს, წინადადებაში წინადადების ზმნიზე დას უარყოფა შეუძლებელია, რასაც ვერ ვიტყვით მის პერიფრაზზე:

90. \*Er kommt nicht **vermutlich**.

**Ich vermute nicht**, dass er kommt. (ჰელბიგი 1984: 111)

წინადადების ზმნიზე დას შემდეგ მახასიათებლებზე ჰელბიგი (1984) მიიჩნევს ნაცვალახელთმისი ჩანაცვლების შეუძლებლობას. იგივეს ვერ ვიტყვით ვითარების ზმნიზე დასზე:

91. Er kommt **schnell**. - Er kommt **so**.

Er kommt **vermutlich**. - \*Er kommt **so**.

წინადადების ზმნიზე დას გადანაცვლება ზმნის წინაველი სრულად შესაძლებელია, ისევე როგორც ვითარების ზმნიზე დასა:

92. **Vermutlich** hat er sich verspätet.

ჰელბიგი (1984) სხვა ისეთ არსებულ სხვაობებზეც მიაჩნებს, რომელსაც ხშირად არ ეთანხმებიან საენათმეცნიერო ლტერატურაში: მაგალითად, ჰელბიგის (1984: 108) მიხედვით, წინადადების ზმნიზე დას განსხვავებულ დისტრიბუციას ვითარების ზმნიზე დასთან შედარებით, გამოიხატება ორშემთხვევაში:

1) ის არ გვხვდება ისეთ ძახილს წინადადებაში, რომელზეც გამოხატავს მთქმელს ნატვრას:

93. Käme er doch **schnell**/**\*vermutlich**/**\*leider**! (ჰე ლ ბ ი გ ი 1984: 108)

2) წინადადებების ზმნიზე და არ გვხვდება დამოკიდებულ წინადადებებში (ან ინფინიტივის კონსტრუქციებში), მაშინ როცა ვითარების ზმნიზე და ამ გარემოცვაში სრულად დასაშვებია :

94. Wir werden ihm vor, **unpünktlich**, **\*vermutlich** zu kommen. (ჰე ლ ბ ი გ ი 1984: 109)

ჰეტლანდი (1999: 21) თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ ასეთი მაგალოთები და გამონაკლსები არსებობს.

ლანგვის ტური ოპერაციები, რომლებიც ზემოთ გამოვიყენეთ, სხვადასხვაგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. ერთის მხრივ, პერმუტაციის მეოთხე დასტურებს, რომ წინადადების ზმნიზე და წინადადების წევრის ტოლფასია, რადგან შესაძლებელია მისი გადაადგილება ზმნის წინა ველში. თუმცა, მისი ამგვარი ინტერპრეტაცია სამართლიანი არ იქნება, თუ ვიმსჯელებთ სუბსტიტუციის მეოთხით, რადგან ვერ მოხერხდა წინადადების ზმნიზედების ჩანაცვლება ნაცვალსახელოთ.

სინტაქსური ტრანსფორმაციის მეოთხე გვიდასტურებს, რომ წინადადების ზმნიზედები წინადადების ტოლფასია, რადგან ისინი რედუცირებულ წინადადებას წარმოადგენენ და ტრანსფორმირდებიან წინადადებად. თუმცა ამ მოსაზრების საპირისპიროდაც გვაქვს მტკიცებულება, კერძოდ ის, რომ არ შეიძლება მათი უარყოფა.

წინადადების ზმნიზედების სინტაქსურ თავისებურებებზე პასუხს იძლევა ლანგის (1970) კონცეპცია. მას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ წინადადების მნიშვნელობა პროპოზიციული და არაპროპოზიციული ნაწილსაგან შედგება. პროპოზიციული ნაწილი წარმოადგენს კონკრეტულ საქმის ვითარებას, არაპროპოზიციული ნაწილი კი საქმის ვითარებისადმი მიდგმას. წინადადების ზმნიზედს გამოხატავს მიდგომას და ეკუთვნის არაპროპოზიციულ ნაწილს. შესაბამისად, წინადადების ზმნიზედის ჩანაცვლება არ ხერხდება ნაცვალსახელოთ, ის არ პასუხობს ღია კითხვას, რადგან მისი ინტერპრეტირება არ შეიძლება იგივე სემანტიკურ დონეზე, რომელზეც თავად პროპოზიცია. ის არაფერს ამტკიცებს, მხოლოდ გვიჩვენებს მთქმელს მიმართებას ნათქვამისადმი; შესაბამისად, ვერ ხერხდება მათი უარყოფა

(მათი პერიფრაზის უარყოფა შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ისიც მთქმელს მიღწომას გამოხატავს. ამის მიზეზია ის, რომ პერიფრაზი პროპოზიციულ შინაარს წარმოადგენს და მტკიცებაა. ის გამოხატავს მიღწომას, რომელზეც საუბარია წინადადებაში. ამ თვალაზრისით წინადადების ზმნიზედად მისი პერიფრაზი ერთმანეთს არ უდრის). მას გააჩნია პროპოზიციული სკოპუსი და შესაბამისად, სემანტიკურ ფუნქციას მთელ წინადადებაზე ავრცელებს, ხოლო პრაგმატულკომუნიკაციური თვალაზრისით, ის წარმოადგენს კომენტარს (ამით განსხვავდება წინადადების ზმნიზედები იმ დროის ან

ადგილს ზმნიზედასაგან, რომელიც თუმცა მთელ წინადადებას მიემართება, იმავე დროს წარმოადგენს პროპოზიციის შინაარსობრივ ნაწილს).

### 2.1.2. წინადადების ზმნიზედების სემანტიკური კლასიფიკაცია

ზემოთ წარმოდგენილი იქნა, თუ როგორ განასხვავებს მკვლევრებმა წინადადების ზმნიზედები სხვადასხვა კრიტერიუმების საშუალებით ზმნიზედების ჰეტეროგენულ კლასიდან. კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, განვიხილავთ მხოლოდ იმ წინადადების ზმნიზედებს, რომლებსაც ეპისტემური და ევიდენციალური შინაარსი გააჩნიათ და, შესაბამისად, ეპისტემური და ევიდენციალური მოდალური ზმნების სუბსტიტუციის საშუალებად მოიაზრებიან.

ზემოთქმულთან გამომდინარე, აუცილებელია წინადადების ზმნიზედების სემანტიკურ დონეზე განხილვა.

კომენტარის ზმნიზედების კლასი ვიოლმეტაინმა /დუდენის რედაქციამ (2016: 598)

სემანტიკური კრიტერიუმის საფუძველზე ორ ჯგუფად დაჰყო:

ა) **შემფასებლური კომენტარის ზმნიზედები (evaluierende Kommentaradverbien)**, რომლებიც ასერციულ და შემფასებლური ხასიათის არიან. მაგალითად, *leider*, *bedauerlicherweise* და ა.შ. აღნიშნულ ლექსემები პროპოზიციით გადმოცემულ მოქმედების /მდგომარეობის ნამდვილობას გამოხატავენ.

ბ) **ეპისტემური ზმნიზედები (epistemische Adverbien (vielleicht, kaum, zweifelsohne))**, რომლებიც პროპოზიციის ნამდვილობას ვერ ადგენენ: “Diese geben den Grad der Wahrscheinlichkeit an, mit der das bezeichnete Geschehen nach Ansicht des Sprechers bzw. der Sprecherin eintritt oder eingetreten ist, und betreffen damit den Wahrheitsgehalt des Satzes: *Vielleicht sind sie ja zu spät gekommen* (ob es so gewesen ist oder nicht, kann nur vermutet werden). Die Skala der Wahrscheinlichkeit reicht von überaus gewiss bis wenig gewiss“ (ვიოლმეტაინი/დუდენის რედაქცია 2016: 598). ეპისტემური ზმნიზედები

პირველ ჯგუფიდან განსხვავებით დადებითი, უარყოფითი ან  
სხვა ტიპის შეფასებისგან თავისუფალია, მაგრამ  
ნამდვილობის თვალაზრისითღიაა.

მანჰაიმის გერმანულენის ინსტიტუტის გრამატიკულ  
საინფორმაციოსისტემა

*grammis* მოდალურ წინადადების ზმნიზედებს/გარემოებებს  
ასევე ორსემანტიკურ

ჯგუფად წარმოადგენს: “Diese Adverbien drücken eine Einschränkung der Geltung einer Aussage aus: *vielleicht scheint morgen die Sonne*, oder eine Bewertung: *leider regnet es*. Wenn sie die Gültigkeit behaupten, sprechen wir von ‘assertiven Satzadverbialia‘. [...] Als ‘modal abschwächende Satzadverbialia‘ gelten Ausdrücke, die [...] darauf schließen lassen, dass der eingebettete Satz möglicherweise wahr ist.“

ზემოხსენებულ წყაროებთან ეპისტემური და ევინდენციალური წინადადების ზმნიზედები ერთ ჯგუფშია გაერთიანებულ. მათგან განსხვავებით ჰელბიგმა (1984), წინადადების ზმნიზედების შედარებით სრულყოფილ სემანტიკური განსაზღვრება შემოგვთავაზა, და ეპისტემური და ევინდენციალური წინადადების ზმნიზედები ცალკე ჯგუფებად წარმოადგინა. ზმნიზედების სუბკლასიფიკაციისას ჰელბიგმა (1984: 127) გამოკვეთა წინადადების ზმნიზედების ექვსი კლასი,<sup>15</sup> რომლებიც ერთმანეთსაგან ნიშანთა კომბინაციით განასხვავა:

MW 1: [-factiv] [+Sprecher] [-Subjekt] [-emot]

vermutlich, hoffentlich, wahrscheinlich, möglicherweise, vielleicht, mutmaßlich, womöglich, wohl, anscheinend, kaum, schwerlich, scheinbar...

MW 2: [+factiv] [+Sprecher] [-Subjekt] [-emot]

sicher(lich), offensichtlich, selbstverständlich, gewiss, zweifelslos, zweifelsohne, natürlich, bestimmt, tatsächlich, wirklich, fraglos, wahrhaftig, augenscheinlich, allerdings, freilich, selbstredend, offenbar, offenkundig, unbedingt...

MW 3: [+factiv] [+Sprecher] [-Subjekt] [+emot]

bedauerlicherweise, begrüßenswerterweise, enttäuschenderweise, dankenswerterweise...

MW 4: [+factiv] [+Subjekt] [von] [±Sprecher] [-emot]

dummerweise, klugerweise, leichtsinnigerweise, vorsichtigerweise, neugierigerweise, freundlicherweise...

MW 5: [+factiv] [+Subjekt] [für] [±Sprecher] [-emot]

günstigerweise, schädlicherweise, nützlicherweise, beschämenderweise, vergeblicherweise, nutzloserweise...

MW 6: [-factiv] [+Subjekt] [Ag] [±Sprecher] [-emot]

angeblich, vorgeblich...



ჰელიგთან სიმბოლური ნიშნები განიმარტება  
შემდგნაირად:

---

<sup>15</sup>ჰელიგის ტერმინია მოდალური სიტყვები (Modalwörter, შემოკლებით MW).

[+factiv] - აღნიშნული ნიშანი გამოხატავს, რომ მოქმედება ნამდვილად განხორციელდა.<sup>16</sup> ნიშანი [+faktiv] ჰელბიგთან ახასიათებს ზმნიზედებს, რომლებიც პროპოზიციის ნამდვილობას გამოხატავენ. შესაბამისად ამ ნიშნის მქონე ზმნიზედები მხოლოდ ევიდენციალური მოდალური ზმნების ეკვივალენტურ ნიშანს ფლობენ. ისინი არ შეიძლება იყოს ეპისტემური მოდალური ზმნების ეკვივალენტები, რადგან არცერთი ეპისტემური მოდალური ზმნა არ გამოხატავს ნამდვილობას. ჰელბიგთან მოდალური სიტყვების მეორე ჯგუფი აღნიშნულია ამ ნიშნით და ამის მიუხედავად, მათ სპეციალურ ლტერატურაში ხშირად იყენებენ ეპისტემური მოდალური ზმნების სუბსტიტუციის საშუალებად.

[-factiv] - აღნიშნული ნიშანი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, მოქმედება განხორციელდა თუ არა. ის გამოხატავს ნამდვილობის თვალსაზრისით ღიაობას. როდესაც მოსაუბრე პირი იყენებს ამ ჯგუფის ზმნიზედებს, ის ვერ განსაზღვრავს პროპოზიციის სინამდვილესთან შესაბამისობას.<sup>17</sup> ამ ნიშნის მქონე ზმნიზედები ჩვენი პირდაპირი ინტერესის საგანია, რადგან ეპისტემური მოდალური ზმნების იდენტურ სემანტიკურ ნიშანს ფლობენ.<sup>18</sup>

[+Sprecher] - შეფასება წარმოაჩენს წინადადების მოქმედს, იგივე ილუკუციის სუბიექტს. მოდალური ზმნების შემთხვევაში, ის დივალდმა (1999: 99) აღნიშნა ნიშნით [+Origo], და ის ყველ ეპისტემური მოდალური ზმნის მახასიათებელია.

[+Subjekt] - შეფასებაში იკვეთება წინადადების სუბიექტი, იგივე პროპოზიციის სუბიექტი. აღნიშნული ნიშანი დივალდმა (1999: 227) ჩაწერა [+intern] და ის მხოლოდ ერთ რეპორტულ მოდალურ ზმნას - *wollen*-ს ახასიათებს.

<sup>16</sup> ჰელბიგთან ნამდვილობა მარკირებული ფორმაა და აღნიშნულია + ნიშნით. ჩვენ, დივალდის (1999: 177) მსგავსად მივიჩნევთ, რომ ნამდვილობა

არამარკირებულ ფორმაა. შესაბამისად, იაკობსონის ([1939] 1974) **მარკირების თეორიას** თანახმად მის აღსანიშნად უნდა აირჩეს უარყოფითი ნიშანი [-nichtfaktisch], რაც ფორმალურად უდრის ფაქტობრივს.

<sup>17</sup> ის რაც ჰელბიგმა აღნიშნა ნიშნით [-fiktiv] ეპისტემური მოდლური ზმნების შემთხვევაში, დვალდს (1999) მიხედვით, ჩვენ აღვნიშნეთ ნიშნით [+/-nichtfaktisch], რაც ნიშნავს, რომ ცალკეულ ლექსემა ავლენს ტენდენციას [+] ან [-] ნიშნისაკენ.

<sup>18</sup> ჰელბიგი (1984: 127) [-fiktiv]- ნიშნით ახასიათებს ევიდენციალურ ზმნიზედებს (ჰელბიგის მეთქვესე ჯგუფი). ჩვენ, ჰელბიგის საპირისპიროდ, მივიჩნევთ, რომ ევიდენციალური ზმნიზედები გამოხატავენ ნამდვილობას.

[+emot] - ჩანს ნათქვამთან მოსაუბრის ემოციური დამოკიდებულება. ეს ნიშანი ზოგადად არ არის მნიშვნელოვანი ეპისტემური და ევიდენციალური მოდალური ზმნებისათვის. ამ ჯგუფის ზმნიზედები ვერ ჩაანაცვლებენ ეპისტემურ და ევიდენციალურ მოდალურ ზმნებს და, შესაბამისად, ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მათარგანვიხილვთ.

ჰელბიგის სემანტიკური ჯგუფებიდან გამოიკვეთა ჩვენთვის საინტერესო სამი ჯგუფი: პირველი (ეპისტემური), მეორე (ასერციული) და მეექვსე (ევიდენციალური). ამ ჯგუფის წინადადების ზმნიზედები იგივე სემანტიკური ნიშნებით ხასიათდება, როგორც ეპისტემური და ევიდენციალური მოდალური ზმნები. გამონაკლსს წარმოადგენს მხოლოდ მეორე ჯგუფი, რომელც პროპოზიციის ასერციას ახდენს. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც უახლოვდებიან ეპისტემურ მოდალურ ზმნებს (ასერციულ ზმნიზედებს უფრო კონკრეტულად განვიხილვთ 2.2.3 უნქტში).

ეპისტემური და ევიდენციალური მოდალური ზმნების პერიფრაზირება ეპისტემური და ევიდენციალური წინადადების ზმნიზედებით შესაძლებელია და ახსნადა მხოლოდ მსგავსი სემანტიკური ნიშნებით, რომლებიც ორივე საშუალებას გააჩნია, ისევე როგორც კომუნიკაციის პროცესში შეძენილ მნიშვნელობებით (ასერციულ ზმნიზედების შემთხვევაში).

### **2.1.3. წინადადების გმნიზედები როგორც მონოსემიური ენობრივი**

#### **საშუალებები**

ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ერთს უღოვნებაა იმის თაობაზე, რომ წინადადების ზმნიზედები მონოსემიური საშუალებებია და მათთვის უცხოა მოდალური ზმნებისათვის

და მახასიათებელი პოლსემიურობა .

წინადადების ზმნიზედების მონოსემიურობის წარმოსაჩენად ხშირად მიმართავენ სუბსტიტუციის მეთოდს . მაგალითად, დტრიხი (1992: 67) ცირკუმსტანციულ მოდალურ ზმნებს ეპისტემური ზმნიზედებით ჩაანაცვლებს . რადგან დტრიხის ცდა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა , წარმოვადგენთ მის მაგალითებს და მოვახდენთ მათა ნაღზს .

დებიზმა (1992: 67) წინადადებაში ცირკუმსტანციულ *müssen* ზმნა ჩაანაცვლებს ეპისტემური წინადადების ზმნიზედებით:

95. Diesmal **muss** er Karneval in Köln verbringen. (Präferenziell) <sup>19</sup>

‘Diesmal verbringt er Karneval (wunschgemäß) **bestimmt** in Köln. (1992: 67)

აღნიშნულ შემთხვევაში, მოდალური ზმნა *müssen* გამობატავს ვოლტურ მოდალობას, ის მიუთითებს წინადადების სუბიექტთან დაკავშირებულ სურვილებსა და განზრახვაზე. როგორც დვინახეთ, სინტაქსური ტრანსფორმაციის შედეგად შეიცვალა წინადადების შინაარსი. აქ აღარ არის ვოლტური მოდალობა. დებიზმა (1992), მართლაც, განავრცო წინადადება ზმნიზედით *wunschgemäß*, რომ შეენარჩუნებინათ თავდაპირველი შინაარსი - ვოლტური კომპონენტი. ამ განვრცობას არ მოჰყვა სასურველი შედეგი. საბოლოოდ მაინც მოსაუბრის ვარაუდა წარმოდგენილ. ის ვარაუდა აგებს იმ ცოდნაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია წინადადების რეფერენტსა და მის სურვილებზე/განზრახვებზე. მივიღეთ წინადადება, რომელიც გულსხმობს ორიგოს და საქმის ვითარებას მისი პოზიციიდან წარმოგვიდგენს.

ანალოგიური სურათი გვაქვს მოდალობის სხვა ტიპების შემთხვევაშიც:

96. Unser Hund **muss** einfach hin und wieder Mäuse jagen. (Fatalistisch)

‘Unser Hund jagt (seinem Temperament entsprechend) **bestimmt** hin und wieder Mäuse. (1992: 67)

96-ე მაგალითში აბილტური მოდალობა გამობატულო. თავველებზე ნადრობა თანდაყოლილი იმუღბაა, რომელსაც ძალთ ექვემდებარება. აღნიშნულ შემთხვევაშიც, როგორც ყველადნარჩენთან, საჭირო გახდა წინადადების დმატება/განვრცობა (*seinem Temperament entsprechend*), რათა არ დაკარგულიყო აბილტური შინაარსი. მაგრამ წინადადების ზმნიზედამ დმატებით მოიტანა მიმართება ილოკუციის სუბიექტთან, ორიგოსთან და პროპოზიციის მისი პოზიციიდან

შეასა.

97-ე წინადადება დეონტური მოდალობის მანიფესტირებას  
ახდენს:

97. Wegen zu schnellen Fahrens hat Erna letzte Woche 120 Mark bezahlen **müssen**. (Deontisch)  
‘Wegen zu schnellen Fahrens hat Erna letzte Woche (den Mahngebührenbestimmungen  
entsprechend) **sicher** 120 Mark bezahlt. (1992: 67)

---

<sup>19</sup> დეონტური მოდალობის ტიპებს აღნიშნავს ტერმინებით - Präferenziell, Fatalistisch, Dispositionel და სხვ. ჩვენ გამოვიყენებთ 1.1. პარაგრაფში წარმოდგენილ ტერმინებს - ვოლტური, აბილტური, ტელოლოგიური და ა.შ.

დღტრიხი (1992) აღნიშნავს, რომ ამ წინადადებას შორის დროსთან მიმართებაში თვალწისაცემი სხვაობა იკვეთება. თუ 97-ე წინადადება დროითი თვალაზრისით მთლიანად წარსულში მიმდინარეობს, 97'-ე მისი მნიშვნელობის ერთნაწილში საუბრის დროს უკავშირდება (დღტრიხი 1992: 68). ამ განსხვავებას წარმოშობის ფაქტი, რომ ეპისტემური ვარაუდი ყოველთვის საუბრის დროს წარმოქმნება. ეპისტემური ზმნიხედები ახდენენ საუბრის დროის მარკირებას.

98-ე მაგალითი ტელელოგიურ მოდალობას წარმოაჩენს:

98. Der Bruch **muss** geschient werden. (Dispositionell)

‘(Im Unterschiede zu der Quetschung) wird der Bruch **sicher** geschient. (1992: 67)

98-ე მაგალითი გამოხატავს რა არის საჭირო მოტეხილობის სამკურნალოდ ის მიუთითებს აუცილებლობაზე, რომელსაც კანონი და ნორმა კი არ განსაზღვრავს ან ინდივიდის სურვილებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ კონკრეტულ მიზანს ემსახურება, კერძოდ მოტეხილობის მორჩენას. ტრანსფორმირებულ წინადადება ვერ გამოხატავს ტელელოგიურ მოდალობას. პერიფრაზშიც ორიგო წარმოჩინდება. მოდიფიცირებულ წინადადებას და მატებითი პერიფრაზები, რომელსაც დღტრიხი (1992) გვთავაზობს, უკეთესად წარმოაჩენს მოსაუბრე პირთან მიმართებას:

99. ‘Wie ich seine Wünsche kenne, verbringt er Karneval diesmal in Köln.

‘Wie ich das Temperament unseres Hundes kenne, jagt er hin und wieder Mäuse.

‘Wie ich die Tarife bei Verkehrsübertretungen kenne, hat Erna letzte Woche wegen zu schnellen Fahrens 120 Mark bezahlt.

‘Nach dem, was ich über die Heilung von Brüchen weiß, wird der geschient. (1992: 68)

როგორც აღმოჩნდა, ეპისტემური წინადადება ზმნიხედებით ცირკუმსტანციულ მოდალობის სხვადასხვა ტიპების გამოხატვა საერთოდ შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ მიახლოებითი შინაარსის მიღწევა. ყველ



მოდფიცირებულ წინადადება შეიცავს ეპისტემურ მომენტს.

საინტერესოა ასევე, თუ გამოხატავს ეპისტემური წინადადების ზმნიზება ალთურ და ობიექტურ-ეპისტემურ მოდალობას, და, თუ გამოდგება ის ალთური და ობიექტურ-ეპისტემური მოდალური ზმნიზების სუბსტიტუციის საშუალებად.

ალთური და ობიექტურ-ეპისტემური მოდალობის გამოხატვისას მოდალურ ზმნიზებს გააჩნია პროპოზიციული სკოპუსი, ანუ მათ ფუნქციონირების არეალში ის რულად.

ექვევანა წინადადების პროპოზიციულ ნაწილს. გარკვეულწილად ფართო სკოპუსი არის ის საერთო მახასიათებელი, რომელიც აერთიანებს ალთურ, ობიექტურ-ეპისტემურ და ეპისტემურ/ევიდენციულ მოდალურ გამომხატველსაშუალებებს.

ალთური მოდალობა, როგორც 1.1.1. პუნქტში აღვნიშნეთ, ლოგიკურ აუცილებლობას ასახავს. ალთური მოდალობის შემთხვევაში პროპოზიცია, შეუძლებელია, რომ მცდარი იყოს. ალთური მოდალობა ნამდვილობას წარმოადგენს აუცილებლობად.

1.2.1. პუნქტში წარმოდგენილი ლიონზის ([1997]1983: 396) მაგალითი *Georg muss unverheiratet sein* ალთურ აუცილებლობას გამოხატავს, რომელიც მათემატიკურ ევიდენციას ეფუძნება. მათემატიკური გამოთვლით გეორგი აუცილებლად უქორწინებელი უნდა იყოს. *muss* ამ შემთხვევაში არ გამოხატავს ეპისტემურ ვარაუდს, არამედ აბსოლუტური ნამდვილობის მანიფესტირებას ახდენს.

ლიონზის ([1977] 1983) მიხედვით, 24-ე მაგალითი ალთურ აუცილებლობას გამოხატავს, თუკი 90 ადამიანიდან, რომელთა შორისაც არის გეორგი და რომელთაგანაც 30 და უქორწინებელია, გამოვარკვეეთ გეორგის გარდა ყველადნარჩენის ოჯახური მდგომარეობა და 29 და უქორწინებელი გამოვაკლნეთ.

24. Georg *muss* unverheiratet sein. ([1977] 1983: 398).

მათემატიკური გამოთვლით გეორგი აუცილებლად უქორწინებელი უნდა იყოს. *muss* ამ შემთხვევაში არ გამოხატავს ეპისტემურ ვარაუდს, არამედ აბსოლუტური ნამდვილობის მანიფესტირებას ახდენს.

24-ე წინადადებაში მოდალურ ზმნას თუ ჩავანაცვლებთ წინადადების ზმნიზედით *sicher*, დიკარგება ის შინაარსი, რომელიც მას თავდაპირველად გააჩნდა. ამგვარ შემთხვევაში ვერ ვიტყვით *Georg ist sicher unverheiratet*, რადგან ეს წინადადება ობიექტურ აუცილებლობას კი არა, მოსაუბრის მოსაზრებას

გამოხატავს .

ეპისტემური ზმნიწედები რომ ვერ გამოხატავს ალთურ აუცილებლობას უკეთესად გამოიკვეთება, თუკი მოვიყვანთ ისეთ მაგალთს, რომელშიც ლოგიკურ აუცილებლობას ცნება განსაზღვრავს :

100. Der Junggeselle **muss** unverheiratet sein.

‘Der Junggeselle ist **sicher** unverheiratet.

აღნიშნულ მაგალთადაც, კარგად ჩანს, რომ წინადადების სინტაქსური ტრანსფორმაცია, რომელიც ალთურ აუცილებლობას გამოხატავს, არ ხერხდება ეპისტემური წინადადების ზმნიზედს გამოყენებით. მეორე წინადადება წინააღმდეგობას შეიცავს საკუთარ თავში. ალთური აუცილებლობა სიტყვის მნიშვნელობაშია ჩადებული, ცნების შემადგენელი ნაწილა და ეკუთვნის კონკრეტულენაზე მოსაუბრე ადამიანის ზოგადცოდნას. ხოლო 100'-ე მაგალთში ეს ზოგადცოდნა წარმოადგენილია როგორც მოსაუბრის სპეციფიკური ხედვა.

იგივე სურათა ობიექტურ-ეპისტემური მოდალობის შემთხვევაში. 1.2.1. კუნქტში წარმოადგენილი ლიონზის ([1977] 1983: 397) მაგალთა *Georg mag unverheiratet sein* ობიექტურ-ეპისტემური მნიშვნელობისაა. ის წარმოადგენს პორპოზიციის ნამდვილობის შესაძლებლობას, როგორც ობიექტურ ფაქტს. ობიექტურ-ეპისტემურ მოდალობას ვერ გამოხატავს წინადადება *Vielleicht ist Georg unverheiratet*, რადგან ის მთქმელს ვარაუდს გადმოსცემს.

დიტრიხი (1992) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წინადადების ზმნიზედს ართავები *vielleicht, wahrscheinlich, sicher, bestimmt, gewiss* და ა.შ. ყოველთვის სუბიექტურ-ეპისტემურ შინაარსს გამოხატავენ: “Es wird gesagt, die Adverbien bestimmt, gewiss, sicher, vielleicht usw. kennzeichnen nicht eigentlich eine Notwendigkeit/Möglichkeit, sondern eher den Sprechakt, die Art der sprachlichen Handlung, die mit dem jeweiligen un/gewiss-p-Satz vollzogen wird; sie seien also so etwas wie performative Adverben“ (დიტრიხი: 1992: 70).

მსგავს მოსაზრებას ვხვდებით დავალონ (1999). ის გვთავაზობს მაგალთს:

101. Bei dringendem Tatverdacht **können** die Personen festgenommen und ihre Stimmen mit den Tondokumenten abgeglichen werden. (1999: 85)

ამ შემთხვევაში დავალონი (1999) *können*-ს განიხილავს, როგორც ობიექტურ-ეპისტემური მოდალობის გამომხატველ ზმნას. შემდეგ, დავალონი ზმნას ანაცვლებს წინადადების ზმნიზედს *vielleicht* და გვთავაზობს ასეთ კონსტრუქციას:

102. **Vielleicht** werden die Personen bei dringendem Tatverdacht festgenommen und ihre Stimmen mit den Tondokumenten abgeglichen. (1999: 85)

ეს ცვლელა იწვევს ობიექტურ-ეპისტემური გაგების  
ჩანაცვლებას ეპისტემური გაგებით (იქვე:1999: 85).  
წინადადების პერიფრაზირის 103-ე და არა 104-ე მაგალითი:

103. **Ich halte es für möglich**, dass die Personen bei dringendem Tatverdacht festgenommen und ihre Stimmen mit den Tondokumenten abgeglichen werden.

104. **\*Es besteht die Möglichkeit**, dass die Personen bei dringendem Tatverdacht festgenommen und ihre Stimmen mit den Tondokumenten abgeglichen werden. (1999: 85)

როგორც დავინახეთ, ეპისტემური ზმნიზე დები ერთმნიშვნელოვნად ეპისტემურია. ისინი მოსაუბრის ვარაუდს გამოხატავენ და არა რეალურ შესაძლებლობას, ლოგიკურ აუცილებლობას და სხვ.. მათი მნიშვნელობა ერთმნიშვნელოვანია და შეზღუდულია მოსაუბრის თვალთახედაზე. მათთან არ გვაქვს მოდალური ზმნეებისათვის დამახასიათებელი პოლსემიურობა: “MV [Modalverben] sind die einzigen gwd. modalen Ausdrucksmittel, die polyfunktional sind.[...] modale Adjektive, Adverbien, etc. sind

+ epistemisch oder – epistemisch.“ - აღნიშნავს რაისი (2001: 288). აბრაჰამიცი (2009: 252) სვამს შეკითხვას: “Wieso sind alle Modaladverbien epistemischer Natur? ([...] Gibt es deontische Modaladverbien?)“.

ის ფაქტი, რომ წინადადების ზმნიზე დები ერთმნიშვნელოვნად ეპისტემური შინაარსისაა, შეგვიძლია გამოვიყენოთ მოდალური ზმნეების შინაარსის დადენისას მათი სუბსტიტუციის საშუალებებად.

## 2.2. ეპისტემური/ევიდენციალური წინადადების გმნიზებებისა და

### მოდალური გმნების ზოგადი შედარებითი ანალიზი

სპეციალურ ლტერატურაში, რომელიც მოდალობის კვლევას ეძღვნება, ეპისტემური მოდალური ზმნეების შინაარსის აღწერის მიზნით, მკვლევრები ხშირად მიმართავენ წინადადების სინტაქსური ტრანსფორმაციის მეთოდს - პერიფრაზს, და მოდიფიცირებულ წინადადებაში, ეპისტემურ და ევიდენციალურ მოდალურ ზმნებს ჩაანაცვლებენ ეპისტემური და ევიდენციალური ზმნიზე დებით.

ასეთ მაგალოებს მრავლდ ვხვდებით ენათმეცნიერულ ლტერატურაში. მაგალთა და სინტაქსური ტრანსფორმაციის მეთადას ეპისტემური ზმნიზედების გამოყენებით მიმართა ვს დვალი (1999):

105. Ich **kann** mich getäuscht haben.

**Vielleicht/möglicherweise** habe ich mich getäuscht. (1999: 215)

Dann **muss** ihm langsam sein Kollege Heiner Müller unheimlich geworden sein. **Wahrscheinlich/sicher/bestimmt** ist ihm dann langsam sein Kollege Heiner Müller unheimlich geworden. (1999: 216)

Nach Worms Schätzungen **dürfte** inzwischen rund die Hälfte aller Arbeitslosen 45 Jahre und älter sein.

Nach Worms Schätzungen ist inzwischen **vermutlich** rund die Hälfte aller Arbeitslosen 45 Jahre und älter. (1999: 233)

Die Leute **mögen** das so empfinden, richtig ist es dennoch nicht.

Zugegeben, die Leute empfinden das **vielleicht** so, richtig ist es dennoch nicht. (1999: 236)

დოვალი (1999) კვლევა აღნიშნული საშუალებების შედარებით ანალოზს არ ისახავს მიზნად მასთან პერიფრაზი ემსახურება მოდალური ზმნების ეპისტემური (მისი ტერმინია დეიქტური) გაგების წარმოჩენას: “Diese Ersatzbarkeit der Modalverben durch Modalwörter [ist] gleichzeitig ein Nachweis dafür, dass der entsprechende Satz mit Modalverb in der Tat eine deitkische Lesart hat, da die Modalwörter auf eine solche festgelegt sind“ (დოვალი 1999: 215).

დტრიხი (1992) მიმართავს სინტაქსური მოდულიკაციას ორივე საშუალებას შორის მსგავსება-განსხვავებების დადების მიზნით:

106. Hier **muss** es mal Wasser gegeben haben.

Hier hat es **sicher** mal Wasser gegeben. (დტრიხი 1992: 67)

ასევე ლისი (2009) ადრებს ეპისტემურ/ევიდენციალურ წინადადების ზმნიზებლსა და ეპისტემურ/ევიდენციალურ მოდალურ ზმნებს ერთმანეთს და კრიტიკულად სვამს მათი ეკვივალენტობის საკითხს:

107. Er **muss** die Klausur bestanden haben.

Er hat die Klausur **sicherlich** bestanden. (2009: 8)

Er **will** die Klausur bestanden haben.

Er hat die Klausur **angeblich** bestanden. (2009: 8)

Er **soll** in den Unfall verwickelt gewesen sein.

Er war **angeblich** in den Unfall verwickelt. (2009: 12)

ზოგადად წინადადების წაკითხვის სხვადასხვა შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, პერიფრაზი



თვალახინოს ხდის წინადადების გაგებას. მოდლური  
ზმნების კოლფუნქციურობა წარმოადგენს მათი ხშირი  
მოდფიკაციის მიზეზს.

მოდალური ზმნების შინაარსის აღწერისას, რა თქმა უნდა, აუცილებელია ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებიც მონოსემიურია, ერთნიშვნელოვანია.

სწორედ ასეთ საშუალებას წარმოადგენს წინადადების ზმნიზედა. მას არა აქვს მოდალური ზმნისთვის დამახასიათებელი ცირკუმსტანციული გაგება.

რადგან მკვლევრები ეპისტემური/ევიდენციალური მოდალური ზმნების სუბსტიტუციურ საშუალებად ეპისტემური/ევიდენციალურ წინადადების ზმნიზედებს იყენებენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ჩანაცვლება არ იწვევს ძირეულ ინფორმაციულ ცვლელებას. თუმცა, ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთის სრულ სემანტიკური ეკვივალენტია.

წინამდებარე ქვეთავში მიზნადვისახავთ და დადინოთ, არის თუ არა ეს ორი საშუალება ერთმანეთის სრულ სემანტიკური ეკვივალენტი და ხომ არ მოჰყვება ინფორმაციული ცვლელება მათტრანსფორმაციას.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან მსგავსებას, რომელც ეპისტემური/ევიდენციალურ მოდალურ ზმნებს და ეპისტემური/ევიდენციალურ წინადადების ზმნიზედებს გააჩნია, წარმოადგენს მათი ფუნქციონირების არეალ, ე.წ. **სკოპუსი**. ორივე საშუალებისათვის დამახასიათებელია ფართო, პროპოზიციული სკოპუსი. ორივე საშუალება ერთგულენტიანი ოპერატორია, რომელც მთელს პროპოზიციას დაირთავს არგუმენტად. როდესაც მოსაუბრე პირი მოდალურ ზმნას იყენებს ეპისტემური/ევიდენციალური მნიშვნელობით, მოდალური ზმნა კარგავს მის ლექსიკურ მნიშვნელობას, წყვეტს წინადადების სუბიექტთან სემანტიკურ მიმართებას, ფართოვდება მისი მოქმედების არეალს ვრცელდება მთელ პროპოზიციასზე. საილუსტრაციოდ წარმოადგენილია დივალდის (1999) მაგალითი:

108. Ich **kann** mich getäuscht haben.

KANN [ich, (mich getäuscht haben)]

KANN *p.* (1999: 3).

ანა ლოგიურად, ეპისტემურ/ევიდენციალურ წინადადების  
ზმნიზე დასაცგააჩნია ფართო პროპოზიციულ სკოპუსი, ანუ  
მის ფუნქციონირების არეალში სრულ დექცევა პროპოზიცია.

109. **Vielleicht** habe ich mich getäuscht.

VIELLEICHT [ich (habe mich getäuscht)]

VIELLEICHT *p.*

ეპისტემური/ევიდენციალური მოდალური ზმნა/წინადადებაის ზმნიზე და არ წარმოადგენს პროპოზიციის შინაარსის ნაწილს, არამედ არაპროპოზიციულ შინაარსის ნაწილს. ორივე საშუალებას ევალება წინადადებაში ფუნქციური სემანტიკის გადმოცემა, ისინი მოდალობის სემანტიკური კატეგორიის გამომხატველ ოპერატორებია. ისინი ვერ შედიან სემანტიკურ კავშირში წინადადებაის იმ წევრებთან, რომლებსაც სინტაქსურად უკავშირდებიან.

რაც მთავარია, ეპისტემური მოდალური ზმნები და წინადადებაის ზმნიზე და პროპოზიციას აფასებენ ნამდვილობის თვალსაზრისით და ანიჭებენ მას სტატუსს „უცნობი“. ანუ გამოხატავენ მთქმელს მერყევ შეფასებას, ვარაუდს. ევიდენციალური მოდალური ზმნები და წინადადებაის ზმნიზე და კი მიანიშნებენ ინფრომაციის წყაროზე და პროპოზიციის ასერციას ახდენენ. 2.1.2 კუნქტში წარმოდგენილ სემანტიკური ნიშნების ანალოზმა და დასტურა, რომ ორივე საშუალება მსგავსი სემანტიკური ნიშნებით ხასიათდება, გარდა იმ ჯგუფისა, რომელსაც ჰელბიგი (1984: 127) აღწერს სემანტიკური ნიშნებით [+factiv], [+Sprecher], [-Subjekt], [-emot] (*sicher(lich), gewiss, zweifelslos, zweifelsohne, natürlich, bestimmt, tatsächlich, wirklich*). ციფონ უნი et al. (1997: 1127) კი მათ **წმინდად ასერციულ გარემოებას** (*rein assertive Satzadverbialia*) უწოდებს.

აღნიშნულ ასერციულ წინადადებაის ზმნიზე და გამოხატავენ ნამდვილობას და, ამის მიუხედავად, მათ იყენებენ ეპისტემური მოდალური ზმნების სუბსტიტუციის საშუალებად:

110. Dann **muss** ihm langsam sein Kollege Heiner Müller unheimlich geworden sein.

Wahrscheinlich/**sicher/bestimmt** ist ihm dann langsam sein Kollege Heiner Müller unheimlich geworden. (დივალი 1999: 216)

აღნიშნულ წინადადებაში ეპისტემური მოდალური ზმნა პროპოზიციას ნამდვილობის თვალსაზრისით

ერთნიშვნელოვნად ვერ აფასებს. მისი ჩანაცვლება *wahrscheinlich*-ით გამართლებულია, რადგან ისიც ფლობს ნიშანს [-/+nichtfaktisch]. *sicher/bestimmt* კი ერთნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ნამდვილობას და ფლობენ ნიშანს [-nichtfaktisch].

ამ უკანასკნელზე იგივეს ვკითხულობთ ერომსთან (2006: 1020), რომ *tatsächlich, bestimmt, wirklich* ნამდვილობას გამოხატავს: “Das Wort *tatsächlich*, wie auch die in diese

Untergruppe gehörigen Wörter *wirklich* und *bestimmt* beziehen sich auf den Wahrheitswert des Satzes. In positiven Sätzen versichert der Sprecher/die Sprecherin damit, dass der Satz wahr ist, in negativen Sätzen, dass er (ohne den Negator) falsch ist. Im Sinne der Konversationspostulate (P. Grice 1975) wäre dies ein Verstoß gegen das Ökonomiegebot, denn die Wahrheit eines Satzes wird ja mit seinem Aussprechen durch den Sprecher bereits eindeutig festgelegt. Doch sind solche Versicherungssignale nicht gerade selten;“ იგივეს აღნიშნავს ციფონუნი et al. (1997: 1127).

აღნიშნული წინადადების ზმნიზედებით გამობატულ ნამდვილობას ვითენშტაინი დამახეველდ მიიჩნევს: “ ‘Man sagt, wenn ich sage, dass ich einen Sessel dort sehe, so sage ich mehr als ich sicher weiss.’ Und nun heißt es meistens: ‘Aber eines weiß ich doch sicher.’ Wenn man aber nun sagen will, was das ist, so kommt man in eine gewissen Verlegenheit“ (ციტირებული დტრიხი 1992: 64).

დტრიხი (1992: 64) აანალოზებს ვითენშტაინის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ წინადადება რომელც შეიცავს წინადადების ზმნიზედს - *sicher*, წინადადებით გადმოცემულ საქმის ვითარების ნამდვილობას კიდევ უფროსარწმუნოს უნდა ხდეს, ანუ, მის ნამდვილობას უფრო მტკიცედ უნდა გვიდასტურებდეს, ვიდრე წინადადება, რომელც არ შეიცავს ასეთ ზმნიზედს. სინამდვილეში უკუეფექტს ვღებულობთ: გამონათქვამები, როგორცაა *sicher, bestimmt, gewiss, wohl* გულისხმობს ჩემი ცოდნის მიხედვით ნამდვილს და უეჭველს (*meines Wissens sicher, meines Wissens bestimmt*). ამით წინადადებები იზღუდებიან მოსაზრების თვალაზრისზე. ეს არის შეზღუდვა, რომელც არაეპისტემურ წინადადებაში არ გვაქვს. შესაბამისად, წინადადება *Ich sehe dort einen Sessel* გამობატავს უფრო მეტ ნამდვილობას, ვიდრე წინადადება *Ich sehe dort sicher einen Sessel* (დტრიხი 1992: 64).

ჩვენი აზრით, ასევე ინდიკატივიც, რომელც გამობატავს ნამდვილობას, შეზღუდულია მოსაზრების თვალაზრისზე. როდესაც მოსაზრებე პირი აფასებს საქმის ვითარებას როგორც ნამდვილს, ფაქტობრივს, ის ამბობს, ნამდვილ - ჩემგან და ნახულს და არა ნამდვილ - ლოგიკის მასშტაბებით ან ზოგად ევიდენციებით (დვალდი 1999: 174)

(ასეთი ნამდვილობა მხოლოდ ალთური მოდალობის შემთხვევაში გვაქვს). ანუ, გარკვეულწილად წინადადებაც *Ich sehe dort einen Sessel* გამოხატავს შეზღუდვას მოსაუბრის თვალაზრისზე. ჩვენი აზრით, ორივე წინადადება მოსაუბრის ხედვას გადმოსცემს.

ნაკლებ ნამდვილობას იწვევს ის ფაქტი, რომ ასერციულ წინადადების ზმნიზედს გამოყენებისას მსმენლსათვის ნათელი ხდება, რომ მოსაუბრემ პროპოზიცია განსაჯა ნამდვილობა /არა ნამდვილობის თვალსაზრისით, განიხილ როგორც ნამდვილობის, ასევე მცდარობის შესაძლებლობა და მივიდა გადაწყვეტილ დასკვნამდე, რომ პროპოზიცია ნამდვილია. ხოლო წინადადებაში, სადაც არ გვაქვს ასერციულ წინადადების ზმნიზედ, ეს საკითხი არ არის განსჯის თემა, მოსაუბრე პირისათვის იმთავითვე ნათელია პროპოზიციის ნამდვილობა, პროპოზიციის მცდარობის ალბათობა მას არ განუხილვს.

რათქმაუნდა, ამ ქვეჯგუფის ზმნიზედები ნამდვილობის გამომხატველა და სრულად მართებულია მათი მისამართით ჰელბიგის (1984) სემანტიკური ნიშანი [+faktisch]. ნაკლები დამაჯერებლობის ეფექტი კომუნიკაციური იმპლკატურით არის განპირობებული. მსმენელ ეძებს პასუხს, თუ რატომ და არღვია მთქმელმა ეკონომიის პრინციპი და ნამდვილობის მარკირებისათვის გამოიყენა ორი საშუალება ერთდროულად - ინდიკატივი და ასერციულ წინადადების ზმნიზედ. ამით მთქმელმა საკუთარ თვალსაზრისს გაუსვა ხაზი. კომუნიკაციურ-პრაგმატულ დონეზე კი გამონათქვამმა ეპისტემური შეფერილობა მიიღო.

დტრიხი (1992: 65) მიიჩნევს, რომ სემანტიკის დონეზე სიტყვები - *sicher, gewiß, bestimmt*- არ გამოხატავს ნამდვილობას. თავის მოსაზრებას დტრიხი სხვადასხვა ცდით იმოწმებს. მაგალთად, ის მიმართავს ასერციულ წინადადების ზმნიზედების კომბინირების ცდას ისეთ ზმნიზედებთან და მატრიცულ წინადადებებთან, რომელთა სემანტიკის ნაწილც არის ნამდვილობა (*leider, Es ist schade, dass* და ა.შ.).

111. Leider hat der Heiler den Kranken in die Hütte zurückgeführt.

‘\***Sicher** hat der Heiler den Kranken **leider** wieder in die Hütte zurückgeführt. (1992: 66)

დტრიხის (1992) მტკიცებით 111'-ე წინადადება საკუთარ



თავში წინააღმდეგობას შეიცავს, რადგან *sicher* მოდალობის თვალაზრისით ღია წინადადებას მოითხოვს, *leider* ამის საპირისპიროდ - ნამდვილს (დებრიხი 1992: 66). ასეთი მაგალითები, მართლაც იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობს და სემანტიკურად გამართლებულია, თუკი *leider*-ის სემანტიკურ არეალში ხვდება *sicher*, რასაც ადასტურებს ჩვენს მიერ მოძიებული მაგალითი:

112. Das Verbot ist eine reine Abkurbelung der Wirtschaft. Jeder wird zum Kauf gezwungen. Die Unfallrate wird **leider sicher** nicht zurückgehen! (Cosmas. Neue Kronen-Zeitung, 02.07.1999)

დოქტორი (1992: 66) მისი მოსაზრების შემდეგ მტკიცებულებად წარმოადგენს გაარსებობის ტესტს: 111-ე წინადადების გაარსებობით მივიღებთ მსგავსი მნიშვნელობის მქონე 113-ე წინადადებას:

113. Die (kürzliche) Zurückführung des Kranken in die Hütte ist **schade**. (1992: 66)

111 'წინადადება ასეთგადაკეთებას არ ექვემდებარება:

114. \*Die (kürzliche) Zurückführung des Kranken in die Hütte ist **sicher**. (1992: 66)

დოქტორი (1992) ამ შემთხვევაში ნაკლებად დამაჯერებელია, რადგან *sicher* 114-ე წინადადებაში წინადადების ზმნიზე დასარწამოა დგენს, არამედ ზმნიურ შემავსებლად გამოყენებულ ზედართავსახელს. *sicher*-ს არა აქვს პრედიკაციული გამოყენება.

დოქტორი (1992) დამატებით კიდევ ერთ ტესტს წარმოადგენს მოდალური გამონათქვამების ნამდვილობის საკითხის გადაჭრის მიზნით, ამჯერად *wohl* ნაწილკის მაგალითზე და ერთმანეთს ადრებს შემდეგ წინადადებებს:

115. Der Heiler führt (gerade) den Kranken wieder in die Hütte zurück.

116. Der Heiler führt **wohl** den Kranken wieder in die Hütte zurück. (1992: 65)

დოქტორი (1992) გვთავაზობს წინადადებებში პრეზენსი ჩავანაცვლოთ პერფექტით. თუკი ორივე წინადადება ერთნაირად გულისხმობს ნამდვილობას, მაშინ მათ გარკვეულ დროით ინტერვალს შემდეგ ლოგიკურად უნდამოკვევს წინადადება, რომელიც გამოხატავს შედეგს - *Der Kranke ist in der Hütte*. 117-ე წინადადების (*wohl* ნაწილკის გარეშე) ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს 118-ე წინადადება:

117. Der Heiler hat den Kranken in die Hütte zurückgeführt.

118. Der Kranke ist in der Hütte. (1992: 65)

იგივეს ვერ ვიტყვით 119-ე წინადადებაზე, რომელიც

შეიცავს *wohl*-ს. მისგან არ გამომდინარეობს 120-ე წინადადება:

119. Der Heiler hat den Kranken **wohl** in die Hütte zurückgeführt.

120. ?Der Kranke ist in der Hütte. (1992: 65)

აღნიშნულ შემთხვევაში *wohl* არ არის წმინდა დასერციულ წინადადების ზმნიზე და. თავისი მნიშვნელობით ის ეპისტემური წინადადების ზმნიზედების ჯგუფს უახლოვდება (ციფონუნი 1997: 1131). თუმცა დტრიხი (1992) აღნიშნავს, რომ იგივე

შეიძლება ითქვას სხვა წინადადების ზმნიზედებზე: “Das gilt auch für sicher-p, gewiß-p, bestimmt-p [...]“ (დებრიხი 1992: 65).

ასერციულ წინადადების ზმნიზედებთან (*sicher, gewiß, bestimmt*) ის ფაქტი, რომ წინადადება - *Der Kranke ist in der Hütte* - ლოგიკურ შედეგს არ წარმოადგენს, განპირობებულია ისევ კომუნიკაციური იმპლიკატურით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ტესტი არ გამოდგება ენობრივი ერთეულის სემური კომპონენტის დასადგენად.

სემური კომპონენტის დასადგენად ვთვლით რომ მიზანშეწონილია, მივმართოთ ბენდიქსის ტესტს და გავავრცოთ წინადადება შემდეგნაირად:

121. \*Der Heiler hat den Kranken **wirklick/sicher/tatsächlich** in die Hütte zurückgeführt, aber dass weiß ich nicht genau.

‘Der Heiler hat den Kranken **wirklick/sicher/tatsächlich** in die Hütte zurückgeführt. Und das weiß ich ganz genau.

ტესტი ადასტურებს, რომ ასერციულ წინადადების ზმნიზედები სემანტიკის დონეზე ნამდვილობის გამომხატველია. მათ ეპისტემურ შეფერილობას კი კომუნიკაციური იმპლიკატურა განაპირობებს.

ენათმეცნიერულ ლტერატურაში ასევე მსჯელობენ ეპისტემურ/ევიდენციულ წინადადების ზმნიზედებსა და ეპისტემურ/ევიდენციულ მოდალურ ზმნებს შორის არსებულ განსხვავებებზე. კერძოდ, ლისი (2009) და დებრიხი (1992) მიიჩნევენ მათარა ეკვივალენტებად.

ლისის (2009) მოსაზრება, რომ მოდალური ზმნები, ორმაგად დიქტურია (იმავედროულად ეპისტემური და ევიდენციული), ხოლო წინადადების ზმნიზედები მონოდექტურია (ან მხოლოდ ეპისტემური, ან მხოლოდ ევიდენციული), სადასერტაციო ნაშრომის 1.3 კუნქტში არგუმენტირებული დიქნა უარყოფილ. მივიჩნევთ, რომ ორივე საშუალება სემანტიკის დონეზე ან მხოლოდ ეპისტემურია, ან მხოლოდ ევიდენციული. მეორად მნიშვნელობებს ისინი

იმენენ კომუნიკაციური იმპლკატურით ან კონტექსტით. ამ  
თვალაზრისით ორივე საშუალებას შორის განსხვავება არ  
იკვეთება.

დტრიხი (1992) სხვა ტიპის სხვაობაზე ამახვილებს  
ყურადღებას. მან შეუპირისპირა ერთმანეთს *müssen* და *sicher*:

122. Hier **muss** es mal Wasser gegeben haben.

‘Hier hat es **sicher** mal Wasser gegeben. (1992: 67)

დტრიხი (1992) აღნიშნავს, რომ 122'-ე მაგალითში ეპისტემური მარკერი სემანტიკურადაა მოცემული წინადადების ზმნიზედის საშუალებით (*sicher*), ხოლო 122-ე მაგალითში ეპისტემურობა მიიღწევა კონტექსტით: “Eine enge Beziehung zwischen [...] [beiden Sätzen] geht also darauf zurück, dass die epistemische Markierung in der un/gewiss- Modalisierung semantisch enthalten ist und nicht, wie bei der nec/poss-Modalisierung durch den Kontext eingebracht wird.“ (1992: 69). ასევე: “In erster Näherung kann man sagen, dass mit [Hier muss es mal Wasser gegeben haben] die Sachverhalte q angezeigt werden, aus denen folgt, dass es am bezeichneten Platz einmal Wasser gegeben hat, mit [Hier hat es sicher mal Wasser gegeben] hingegen die Gewissheit, des Sprechers, dass es eben diese Sachverhalte gibt. Das bedeutet, dass der einzige Unterschied tatsächlich darin besteht, dass in gewiss die epistemische Relativierung sozusagen lexikalisch verankert ist, im muss-Operator eben nicht“ (1992: 69).

მიგვაჩნია, რომ ეპისტემურობა მოდალური ზმნის სემანტიკის ნაწილადაა ის არ არის კონტექსტუალური ფაქტორებით განპირობებული. კონტექსტი, ნებისმიერ პოლსემიურ ენობრივ ერთეულთან, არა მხოლოდ მოდალურ ზმნასთან, გასაგებს ხდის, თუ რომელი მნიშვნელობა უნდა გააქტიურდეს (მოდალური ზმნის შემთხვევაში ეპისტემური თუ ცირკუმსტანციული). 122'-ე მაგალითში ეპისტემური ვარაუდი დომინირებს ცირკუმსტანციულზე და ამაში წვლელ მიუძღვის მოდალური ზმნის გარემოცვას, კერძოდ, სრულმნიშვნელოვანი ზმნის ინფინიტივ პერფექტის ფორმას, რომელიც ეპისტემური ზმნების ტიპური გარემოცვაა. თუმცა, მოდალური ზმნების პოლსემია არ მიიღწევა კონტექსტით. მოდალურ ზმნას ორი მნიშვნელობა - ცირკუმსტანციული და ეპისტემური გააჩნია კონტექსტიდან დამოუკიდებლად. მონოსემიურ ლექსემებთან, როგორც არის *sicher*, კონტექსტი კარგავს ამ დავითგას.

დტრიხი (1992) ამ შემთხვევაში, მიიჩნევს, რომ მოდალურ ზმნებს ერთი მთავარი მნიშვნელობა, ერთი სემანტიკური

ფუძე აქვთ, მხოლოდ სხვა და სხვა კონტექსტულ ფაქტორებს მივყავართ სხვა და სხვა გაგებაში.

ამგვარად, მივიჩნევთ, რომ როგორც მოდალურ ზმნებთან, ისე წინადადების ზმნიზედებთან ეპისტემური/ევიდენციალური კომპონენტი სემანტიკურად არის მოცემული. აღნიშნულ საშეუალებებს შორის არსებულ სხვაობა დამივიჩნევთ ცალკეულ

ლექსემების მახასიათებელ სემურ კომპონენტებს, ტიპურ გამოყენების კონტექსტებს და ენობრივ გარემოცვას, რომელთა ანალოზაც ეთმობა მესამე თავი.

### 2.3. დასკვნა

წინა და დების ზმნიზე დების ინვენტარის სრულ და განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ წინა და დების ზმნიზე დების კლასის სინტაქსური დეფინიციით. ლექსიკური დეფინიცია არ ითვალისწინებს იმ ლექსემებს, რომლებიც მოფროლოგიურად არ განეკუთვნებიან წინა და დების ზმნიზე დებს, თუმცა სინტაქსურად მოქმედებენ როგორც ეს უკანასკნელი. სინტაქსური დეფინიციის მიხედვით წინა და დების ზმნიზე დები, სინტაქსური სიტყვებია, რომლებიც ფუნქციონირების არეალში მოაქცევენ მთელ პროპოზიციას, თავად არ ეკუთვნიან წინა და დების პროპოზიციულ ნაწილს, არამედ გამოხატავენ მთქმელს შეფასებას, კომენტარს; წარმოადგენენ არა სინტაგმებს, არამედ ცალკეულ ენობრივ ერთეულებს; არ აქვთ ფლექსია და მოუკიდებლად გვხვდებიან ულუბადი ზმნის წინა ველიში.

წინა და დების ზმნიზე დები წინა და დების ოპერატორებია, რომლებიც

ნათქვამისადმი მოსაუბრის მიდგომას გამოხატავენ. აღნიშნულ ლექსემები არ არის პროპოზიციული შინაარსის ნაწილი, მათი ინტერპრეტირება არ შეიძლება იგივე სემანტიკურ დონეზე, რომელზეც თავად პროპოზიციასა. წინა და დების ზმნიზე დით გამოხატულ დამოკიდებულება არ არის იმ სამყაროს ნაწილი, რომელზეც საუბარია წინა და დებაში. ისინი არაფერს არ ამტკიცებენ, არამედ მხოლოდ გვიჩვენებენ მთქმელს მიმართებას ნათქვამისადმი. მათ აქვთ პროპოზიციული სკოპუსი და შესაბამისად, სემანტიკურ ფუნქციას მთელ წინა და დებაზე



ავრცელებენ, ხოლო პრაგმატულ კომუნიკაციური თვალსაზრისით, ისინი წარმოადგენენ კომენტარს.

ეპისტემური/ევიდენციალური წინადადების ზმნიზედები მონოსემიურია - ერთნიშვნელოვანად ეპისტემური/ევიდენციალური. მათვის უცხოა მოდალური ზმნიებისათვის დამახასიათებელი პოლსემიურობა.

ეპისტემური/ევიდენციალური წინადადების ზმნიზედაცირკუმსტანციულ მოდალურ ზმნას ვერ ჩაანაცვლებს. ის დონტურ, ვოლტურ, ტელუოლოგიურ,

ახლტიურ, ობიექტურ-ეპისტემურ და ალთურ მოდალობას ვერ  
გამოხატავს, არამედ მთქმელს პროზოციის, მისი საუბრის  
დროისა და პერსპექტივის მარკირებას ახდენს.

ეპისტემური და ევიდენციალური წინადადების  
ზმნიზედებისა და მოდალური ზმნების ერთმანეთის  
ჩანაცვლების შესაძლებლობას იმლუვა ორივე ენობრივ  
საშუალებას შორის არსებულ საერთო სემანტიკური  
ნიშნები და მახასიათებლები: ორივე მათგანს გააჩნია  
პროპოზიციული სკოპუსი, წარმოადგენენ ერთვალენტიან  
ოპერატორს, რომელსაც არგუმენტაქვს მთელ წინადადება,  
გადმოსცემენ მთქმელს მიერ ნამდვილობის თვალაზრისით  
პროპოზიციის მერყევ შეფასებას ან ახდენენ ინფორმაციის  
წყაროს მარკირებას.

ორივე საშუალებას ევალება წინადადებაში ფუნქციური  
სემანტიკის გადმოცემა. ისინი ვერ შედიან სემანტიკურ  
კავშირში წინადადების იმ წევრებთან, რომლებსაც  
სინტაქსურად უკავშირდებიან. ორივე საშუალება საუბრის  
დროის მარკირებას ახდენს.

ეპისტემური/ევიდენციალური მოდალური  
ზმნა/წინადადების ზმნიზედა არ წარმოადგენს პროპოზიციის  
შინაარსის ნაწილს, არამედ არაპროპოზიციულ შინაარსის  
ნაწილს.

ორივე ენობრივ საშუალებასთან  
ეპისტემური/ევიდენციალური კომპონენტი სემანტიკურად  
ამოცემულ და ის კონტექსტითარარის განპირობებულ.

ორივე ენობრივი საშუალება მონოდექტურია, ან მხოლოდ  
ეპისტემურია (რომელმაც კონტექსტით ან კომუნიკაციური  
იმპლკატურით შეიმლება შეიძინოს ევიდენციალური  
შინაარსის კომპონენტი), ან მხოლოდ ევიდენციალურია  
(რომელმაც კონტექსტით ან კომუნიკაციური იმპლკატურით  
შეიმლება შეიძინოს ეპისტემური შინაარსის კომპონენტი).

ასერციული წინადადების ზმნიზედები (*sicher(lich)*, *gewiss*,

*zweifelslos, zweifelsohne, natürlich, bestimmt, tatsächlich, wirklich*), მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკის დონეზე ნამდვილობას გამოხატავენ, პრაგმატულ დონეზე კომუნიკაციური იმპლიკატურით უკუფექტს იძლევიან და ეპისტემური მოდალური ზმნების მსგავსად, პროპოზიციით გადმოცემულ საქმის ვითარების ასერციას ვერახდენენ.

### 3. ეპისტემური/ევიდენციალური მოდალური ზმნებისა და წინადადების

#### ზმნიზედების კორპუსით განპირობებული კვლევა

ჩვენი სადოქტორო ნაშრომის მესამე თავის მიზანია, ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, ეპისტემური და ევიდენციალური მოდალური ზმნებისა და წინადადების ზმნიზედების ტიპური გამოყენების აღწერა, შედარება და ანალიზი.

აღნიშნულ მონაკვეთში, კვლევის ობიექტს წარმოადგენენ მოდალური ზმნები: *sollen, wollen, müssen, können, dürfen, mögen*, და წინადადების ზმნიზედი: *angeblich, vorgeblich, mutmaßlich, offensichtlich, wahrscheinlich* და *vielleicht*, რომლებიც ფუნქციების მიხედვით გადანაწილებულნი არიან ქვეთავებში, როგორც ევიდენციალური მარკერები და ეპისტემური მარკერები.

საკვლევი ერთეულების ტიპური გამოყენების აღწერის მიზნით, პროგრამულ უზრუნველყოფის გზით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, DEREKO-ში მოვიძიეთ 1200 ტექსტი, რაც თითოეულ სამიებო სიტყვისათვის უდრის 100 ტექსტს. ტექსტებს გავაანალიზეთ მათ კომუნიკაციურ ფუნქციაში, რადგან კონტექსტს, მოდალური სიტყვების სწორი ინტერპრეტაციისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მესამე თავში მივმართავთ კორპუსით განპირობებულ კვლევის მეთოდს და კონკრეტულ ობიექტებს გავაანალიზეთ სემანტიკური, სინტაქსური და პრაგმატული თვალსაზრისით. განვსაზღვრავთ წინადადებაში მათ სემანტიკურ წვლელს, მათ სემანტიკურ სკოპუსს, ძირითად მნიშვნელობებს და კომუნიკაციის პროცესში კონტექსტით ან კომუნიკაციური იმპლიკატურით შეძენილ მნიშვნელობებს, ენობრივ გარემოცვას, ტიპურ სინტაქსურ სტრუქტურებს და ტიპურ კოლოკაციებს, სემანტიკურ და პრაგმატულ კონტექსტს, სხვა სიტყვებთან სემანტიკურ თავსებადობას, მყარ შესიტყვებებს და სხვ.

### **3.1. ევიდენციალური მარკერები**

#### **3.1.1. angeblich**

*Angeblich* DeReKo-ში 589.838-ჯერ დაფიქსირდა. აქედან 408.134-ჯერ ფორმა უცვლელ სახით, ხოლო 181.704-ჯერ ფლექსიური ფორმით (სქესის, რიცხვისა და ბრუნვის დაბოლოებით, განსაზღვრების ფუნქციით).

*angeblich* ფორმა უცვლელ სტრუქტურით, ყოველთვის წინადადების ზმნიზე და ა/გარემოებაა. წინადადები, რომლებშიც ზედართავი სახელ *angeblich* ზმნური შემავსებლს ფუნქციაშია, სემანტიკური თვალსაზრისით გაუმართავია (\**Die Geschichte ist angeblich*). ვილჰელმ ტაინი/დუდენის რედაქცია (2016: 361) აღნიშნავს, რომ *angeblich*-ს არაქვს პრედიკაციული გამოყენება.

თუკი წარმოვადგენთ პროცენტულად, DeReKo-ში დაფიქსირებულ ლემა *angeblich*, 31%-ით განსაზღვრებად გამოყენებულ ზედართავი სახელა, ხოლო 69%-ით წინადადების ზმნიზე დაა.

ჰელბიგი/ჰელბიგი (1993) მიიჩნევენ, რომ მოსაუბრე პირი, *angeblich*-ის გამოყენებით, არაპირდაპირ ეჭვს გამოხატავს პროპოზიციის ნამდვილობისადმი და მის სინონიმებად გვთავაზობს: “*vermeintlich, vorgeblich, wie zu bezweifeln ist, es ist nicht verbürgt, wie vorgeschützt, wie (lediglich) angegeben/behauptet wird*“ (1993: 77). ციფონუნი et al. (1997: 1131, 1132) აღნიშნავს, რომ მთქმელი იყენებს *angeblich*-ს, როდესაც ის არ ფლობს გადამოწმებულ ან გადამოწმებად ინფორმაციას, ან გამოხატავს ეჭვს პროპოზიციის ნამდვილობისადმი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ 100 მაგალითის დიდნაწილში, მოსაუბრის ეჭვს და სკეპტიციზმს ვერ ვკითხულობთ. ქვემოთ ილუსტრირებული კონტექსტები ნათლად ადასტურებენ იმას, რომ ავტორს სინამდვილესთან შესაბამისობაში ეჭვის შეტანის საფუძველზე არგააჩნია და შესაბამისად, ნათქვამი ეპისტემური შუქ-ჩრდილებისაგან თავისუფალა, ხოლო საქმის ვითარება ავტორის მიერ წარმოდგენილია როგორც ფაქტობრივი, ნამდვილი:

123. Bei der beispiellosen Anschlagsserie waren am Freitag mindestens 129 Menschen getötet

worden, gut 350 wurden teils schwer verletzt. Unter den Toten ist mindestens ein Deutscher. Der 28-Jährige aus München saß in einem der beschossenen Cafés auf der Terrasse. Er lebte **angeblich** seit längerem in Paris. (Cosmas. Mannheimer Morgen, [Tageszeitung], 16.11.2015)

ჟურნალისტი, რომელიც პარიზის ტერაქტის შედეგებს აღწერს, უშუალოდ ტერაქტის მომსწრე არ ყოფილა. შესაბამისად ყველ ინფორმაციას, რომელსაც გვაწვდის, სხადსხვა წყაროდან ვღობს. ტექსტის პირველ ნაწილში, რომელიც გარდაცვლილების და დაშავებულების რაოდენობას და გარდაცვლილ გერმანელს გარდაცვალების ადგილს შეეხება, ინფორმაციის წყარო დაზუსტებული არ არის (ზოგადად ასე ხდება, როდესაც წყარო ძალაშია სანდოა, მაგალითად პოლიციის მიერ არის დადასტურებული; სხვა შემთხვევაში, ჟურნალისტი აღნიშნავდა, რომ დაზუსტებულ ინფორმაციას გვაწვდის). *angeblich*-ს ავტორი იყენებს მხოლოდ ბოლო წინადადებაში, რომელიც გარდაცვლილ გერმანელს პარიზში ცხოვრების ხანგრძლივობას შეეხება. ჟურნალისტი საჭიროდ მიიჩნევს ხაზი გაუსვას, რომ მას ეს ინფორმაცია სანდო წყაროსთან არ გადაუმოწმებია. ყველ ინფორმაციას ის წარმოგვიდგენს, როგორც ფაქტს, ჟურნალისტი ვარაუდს არ გამოთქვამს.

124-ე მაგალითიც ეპისტემური ვარაუდისგან სრულად თავის უფალა:

124. Der flüchtige Whistleblower Snowden will sicherheitshalber vorübergehend in Russland bleiben. **Angeblich** hat er nun offiziell einen Asylantrag gestellt. (Cosmas. Neue Zürcher Zeitung, 13.07.2013)

125-ე მაგალითში, მთელ აბზაცი ირიბი თქმას წარმოადგენს; რეფერირებული პირის ნათქვამის გადმოსაცემად ავტორი კონიუქტივ I-ს და *angeblich*-ს იყენებს. ირიბი თქმის დიდასააქებში, ხშირად ავტორები ანაცვლებენ ამ საშუალებებს ერთმანეთთან აღნიშნულ შემთხვევაში მოსაუბრე ვარაუდს არ გამოთქვამს, უბრალოდ წარმოადგენს რეფერირებული პირის ნათქვამს:

125. Das Hotel liegt gleich neben den Grotten von Bétharram, kein Franzose komme im Geografieunterricht vorbei an diesen berühmten Tropfsteinhöhlen, hat uns Madame Gaye erzählt, und sie wird das wissen. Sie kommt ja von hier und kennt sich überhaupt unheimlich aus in Frankreich und der Welt. In den Ferien fährt sie nach Italien oder London, und dann hat sie **angeblich** auch ihren Gatten dabei. (Cosmas. Süddeutsche Zeitung, 21.07.2005)



საგაზეთო სტატიებში *angeblich*-ის გამოყენება ისეთ  
კონტექსტში, როდესაც

სტატიის ავტორი და რწმუნებული ნათქვამის  
სინამდვილეში, გარკვეულწილად უკავშირდება მედიის  
ეთიკურ ნორმებს. ჟურნალისტებს აქვთ ვალდებულება  
ინფორმაციის წყაროს სანდოობა გადაამოწონ და, თუკი  
ინფორმაცია სანდო წყაროების

მიერ და უდასტურებელა, მაშინ აღნიშნონ ამის თაობაზე. ზოკა (2011: 55) შემდგეს აღნიშნავს: “So verlangen sowohl die Pressegesetze der einzelnen Bundesländer, die Rechtsprechung als auch der Pressekodex des deutschen Presserates, dass der Journalist „alle Nachrichten vor ihrer Verbreitung mit der nach den Umständen gebotenen Sorgfalt auf Inhalt, Herkunft und Wahrheit [prüft] (§6 LPG NRW).“

დუფნერიც (2010) აღნიშნავს, რომ ჟურნალისტებს და სააგენტოებს არ სურთ უარი თქვან ისეთ ინფორმაციის გავრცელებაზე, რომელიც სრულად 100%-ით არ არის დადასტურებული. ამიტომ იყენებენ *angeblich*-ს, რათა თავიდან აიცილონ უარყოფითი იურიდიული შედეგები: “Um sich vor juristischen Nachspielen zu schützen, werden aber Formulierungen wie *unbestätigten Berichten zufolge* oder eben *SADV wie angeblich* gebraucht, selbst wenn man eigentlich von der Richtigkeit der Aussage überzeugt ist“ (2010: 101).

კორპუსში, შედარებით მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც იძებნება ისეთი მაგალითები, რომლებშიც კონტექსტიდან გამომდინარე მოსაუბრის ეჭვი იკითხება:

126. Spezielle Lebensmittel für Kinder sind oft schön bunt, aber auch ungesund. Müslis oder Joghurts, die besonders für den Nachwuchs hergestellt werden und **angeblich** reich an Vitaminen sind, enthalten laut der Ernährungsreferentin der Verbraucherzentrale Bayern, Antje Mann, meist zu viel Zucker oder ungesunde Fettstoffe. (Cosmas. Mannheimer Morgen [Tageszeitung], 12.04.2000)

ჟურნალისტი ორსაკირისპირო მოსაზრებას წარმოადგენს: ერთს მხრივ, ამტკიცებენ, რომ მიუსლ და იოგურტი ვიტამინებით სავსეა, მეორეს მხრივ, კვების რეფერენტი ამტკიცებს, რომ აღნიშნულ პროდუქტები შაქარს და არაჯანსაღ ცხიმებს შეიცავს. პირველ წინადადებას ჩანს, რომ ჟურნალისტი კვების რეფერენტის მოსაზრებას იზიარებს, რადგან ბავშვთა კვების პროდუქტებს არაჯანსაღს უწოდებს. ანუ, კონტექსტიდან გასაგებია, რომ მოსაუბრე პირი დისტანცირებას ახდენს ნათქვამის იმ ნაწილთან, რომ მიუსლ და იოგურტი, როგორც ამბობენ, ვიტამინებით სავსეა. აქვე ხაზგასასმელა, რომ ავტორის ეს პოზიცია კონტექსტმა წარმოაჩინა და არა წინადადების ზმნიზედამ. ანუ, ავტორს

აქვს საშუალება, გადმოსცეს ფაქტი, რასაც ამბობენ და თავად მისი პოზიცია და აფიქსიროს (ეჭვი შეიტანოს, მისი ნამდვილობა ირწმუნოს და სხვ.).

127-ე მაგალითი ტაქსის მძღოლებზე თავდასხმის და ყაჩაღობის ფაქტს აღწერს. თავდასხმელს, როგორც ამბობენ, სურდა ემელჰაუზენიდან კობლენცში წასვლა. თუმცა, შემდეგი მოვლენებით მკითხველს ხვდება, რომ მას სხვა მიზანი ჰქონია. ამიტომ

შესადგოა წინადადება წაკითხულ იქნეს შემდგენარად: ჟურნალისტი ეჭვობს, რომ კაცს ემელჰაუზენიდან კობლენცში წასვლს ურდა. ეს ეჭვიც კონტექსტით არის წარმოქმნილი:

127. Ein Fahrgast hat einen Taxifahrer am Freitag gegen 4.30 Uhr nahe der Hunsrückhöhenstraße überfallen und ausgeraubt. **Angeblich** wollte der Mann von Emmelshausen nach Koblenz fahren, aber kurz vor Waldesch zog er ein Messer, nahm dem Fahrer die Geldbörse ab und flüchtete. Die Fahndung blieb bisher erfolglos. (Cosmas. Rhein-Zeitung, 07.01.2012)

არის შემთხვევები, როცა მოსაუბრე დაწმუნებულია, რომ პროპოზიციის შინაარსი სინამდვილეს არ შეესაბამება და ირონიულ და ტვირთვით იყენებს ზმნიზედს *angeblich*, როგორც მაგალითად:

128. Solange Sie diesen Vorschlag in Bonn blockieren, reden Sie bitte nie wieder von den zu hohen Lohnnebenkosten, die Sie **angeblich** senken wollen. (Cosmas. Protokoll der Sitzung des Parlaments Landtag Nordrhein-Westfalen am 30.10.1997)

128-ე მაგალითში მოსაუბრე აფიქსირებს პროპოზიციას: მე არ მჯერა, რომ საშემოსავლო გადასახადს დაწვევა გსურთ, თორემ ბონის წინადადებას მხარს დაუჭერდით.

განსაკუთრებით, 129-ე მაგალითი ადასტურებს იმას, რომ *angeblich* არ გადმოსცემს მოსაუბრის ვარაუდს. კონტექსტით ვადგენთ, რომ მან სიმართლე იცის:

129. Auch Ulla Schmidt humpelte gestern durch die Weltgeschichte, denn die Bundesgesundheitsministerin trug einen dicken Verband und einen Spezialschuh am rechten Fuß. **Angeblich** leidet sie an einer Entzündung. Doch verboten kennt die ganze Wahrheit: Gerhard Schröder hat ihr das „umfangreiche Paket“ auf die Füße fallen lassen. (Cosmas. die Tageszeitung, 17.06.2003)

საინტერესოა მიმართება რეფერირებულ პირთან, რომ ლს ნათქვამსაც გადმოცემს *angeblich*. მაგალითებმა უჩვენა, რომ *angeblich*, ზოგ შემთხვევაში, ნათქვამის ავტორად ანონიმურ პირს მოიაზრებს:

130. Bei den Reinigungsarbeiten von einem der drei Schornsteine der Müllverbrennungsanlage war ein damals 38-jähriger Arbeiter, **angeblich** wegen zu starker Hitze, ums Leben gekommen. Dafür verantwortlich sollen insgesamt acht Männer im Alter zwischen 36 und

63 Jahren sein. (Cosmas. Luxemburger Tageblatt, 14.01.2015.)

130-ე მაგალოთში გარდაცვლლ ველარ შეძლებს საკუთარ თავზე იმის მტკიცებას, თუ რა მიზეზით გარდაიცვალა. ამ ინფორმაციას მოსაუბრე სხვა წყაროდან ან წყაროებიდან ფლობს, რომელიც ჩვენთვის ანონიმური რჩება. მოსაუბრისთვის არ არის მნიშვნელოვანი დააკონკრეტოს, ვინ თქვა, ან რამდენი პირისაგან მოისმინა. მისთვის სრულად საკმარისია აღნიშნოს, რომ სხვა კომუნიკაციური სიტუაციიდან შეიტყო ამის თაობაზე.

კორპუსში ვიკოვებით მაგალოთები, რომლებშიც კონტექსტი გვისახელებს რეფერირებულ პირს. მაგალოთად 128-ე მაგალოთში, წინადადების სუბიექტი მოიაზრებანათქვამის თავდაპირველავტორად 124-ე წინადადების ორგვარი ინტერპრეტაციასა შესაძლებელი. 126-ე მაგალოთი ერთმნიშვნელოვანია - რადგან პროპოზიციის სუბიექტი უსულოსაგანია, ნათქვამისავტორისვერიქნება.

მაგალოთებში, სადაც წინადადების სუბიექტს მივიჩნევთ ინფორმაციის წყაროდ, *angeblich* არაზუსტებს, პირდაპირ წინადადების სუბიექტიდან მიიღო ინფორმაცია მოსაუბრე პირმა, თუ ამის შესახებ სხვა პირის, შუამავალს მეშვეობით შეიტყო.

კორპუსში არ დადასტურდა *angeblich*-ის გამოყენება ისეთ კონტექსტებში, რომლებშიც მოსაუბრე საკუთარ წარსულში ნათქვამს გადმოსცემს. ეს ნიშნავს, რომ *angeblich* თქმის ფაქტს კი არ წამოსწევს წინ, არამედ ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების ფაქტს. შესაბამისად, არ შეიძლება მოსაუბრემ ამტკიცოს, რომ სხვა კომუნიკაციურ სიტუაციაში მან რაიმე წარმოთქვა და იმავდროულად გაიგონა. ის ნათქვამის ევიდენციად თავის ძველნათქვამს ვერ გამოიყენებს.

ასევე საინტერესოა ის საკითხი, რამდენად უახლოვდება *angeblich*, ციტირების ან ირიბი თქმის საშუალებებს. მაგალოთებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ *angeblich* არ გვხვდება უშუალოდციტატებთან ან ციტატის ფრაგმენტებთან

კავშირში. უმთავრესად, ძნელ დასადგენია, როგორ შედგება ნათქვამის ორიგინალი. ანუ, აქტუალური მოსაუბრე პირი აქცენტს აკეთებს ნათქვამის შინაარსზე (რომლის გადმოტანა მოხდა წინა კომუნიკაციური სიტუაციებიდან) და არა ფორმაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ნათქვამის ავტორი, იგივე Alter-Ego „სცენაზე არ ჩნდება“, მაშინაც კი, როდესაც ის იდენტიფიცირებულია. უმთავრესად გაურკვეველია, მოსაუბრემ ნათქვამი რეფერირებული პირიდან პირდაპირ მოისმინა, გაიგონა, თუ ამის შესახებ

სხვისგან, ანუ მესამე პირიდან შეიტყო. არც იმ სიტუაციაზე გვექმნება წარმოდგენა, საიდანაც მოხდა ნათქვამის იმპორტირება.

ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია ნათქვამი კონკრეტულ პირს მიეწეროს, მაგრამ ეს რეპორტულ მნიშვნელობისთვის არ არის გადამწყვეტი. მთქმელ ნათქვამის თავდაპირველ ავტორის სტილს არ იცავს და ნათქვამს ორიგინალს მიახლოებულ დარგად მოსცემს.

ერთ დროს გამონაკლსს, როდესაც *angeblich* გამოიყენება, როგორც ირიბი თქმის საშუალება, წარმოადგენს სხვისი ნათქვამის გადმოცემის დიდ პასაჟი, სხვადასხვა ირიბი თქმის საშუალებებთან - განსაკუთრებით კი კონიუნქტივ I-თან ერთად ამ კონტექსტში, ის აღარ ჰგავს რეპორტულსაშუალებას, არამედ ირიბი ნათქვამის გამომხატველ კონიუნქტივ I-ს უახლოვდება (ნარჩუნდება, მხოლოდ ის, რომ არ გადმოცემს მოსაუბრის წარსულში ნათქვამს).

რადგან რეფერირებულ პირი ყურადღების მიღმა რჩება, მასზე არც ორიგოს ტრანსფერი ხორციელდება, ანუ, კომუნიკაციური ორიენტაციის ცენტრები არ გადადის რეფერირებულ პირზე. ნათქვამის გადმოცემა აქტუალური მოსაუბრის პერსპექტივიდან ხორციელდება.

აქტუალური მოსაუბრე რჩება მის ნათქვამზე პასუხისმგებელ პირად. დუფნერი (2010: 101) აღნიშნულს საპირისპიროდ მიიჩნევს, რომ ეპისტემური ზმნიზე და *angeblich*-ის გამოყენებისას, მოსაუბრე პასუხისმგებლობას არ იღებს ნათქვამის სისწორეზე და ამ პასუხისმგებლობას მესამე პირს უტოვებს. ამით მოსაუბრე დისტანცირებას ახდენს საკუთარ ნათქვამთან. იგივეს ვკითხულობთ ციფონთან et al. (1997): “*Angeblich drückt, ebenso wie wie verlautet, eine Möglichkeit relativ zu einem nicht sprecherbezogenen Hintergrund aus. Damit muss der Sprecher die Verantwortung für die Information, die im restlichen Satz steckt, nicht übernehmen*“ (1997: 1131).

ჩვენი აზრით, პასუხისმგებელ გამონათქვამზე რჩება



აქტუალური მოსაზრებე პირი. ის ფაქტი, რომ მოსაზრებე სხვა კომუნიკაციური სიტუაციიდან ახლენს ნათქვამის გადმოტანას, არათავისუფლებს მას ნათქვამზე პასუხისმგებლობიდან. აქტუალური მოსაზრებე ინფორმაციის მიმღები, რეციპიენტი და ამროლოდან იმოწმებს თავის ნათქვამს.

ამგვარად, *angeblich* გერმანულ ენის რეპორტულ ევიდენციალური მარკერია. *angeblich* გამოხატავს, რომ მოსაუბრე ინფორმაციას ფლობს სხვა კომუნიკაციური სიტუაციიდან და მას იყენებს საკუთარი ნათქვამის ევიდენციად.

მთქმელს ვარაუდს პროპოზიციის სინამდვილესთან შესაბამისობის თაობაზე, *angeblich* არ გამოხატავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეპისტემურობა არ არის აღნიშნული ზმნიზედის სემური კომპონენტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაგალთების მცირე ნაწილ (5%) კონტექსტიდან გამომდინარე ეპისტემური შუქ-ჩრდილებითა (ეჭვი და სკეპტიციზმი) შეფერილ. უმთავრესად კი, ეპისტემურ შუქ-ჩრდილებს კომუნიკაციური იმპლკატურა იწვევს. *angeblich*-ის გამოყენებისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთქმელ ვერ აფასებს პროპოზიციას, როგორც ნამდვილს.

ეს შთაბეჭდილება ქრება იმ მაგალთებში, როდესაც კონტექსტი გვაჩვენებს, რომ მთქმელმა სიმართლე იცის, და შესაბამისად, ვარაუდი საჭირო არ არის. სწორედ ეს მაგალთებია დასტური იმისა, რომ ეპისტემურობა არ არის *angeblich*-ის სემანტიკის ნაწილი.

*angeblich*, როგორც რეპორტულ ევიდენციალური მარკერი, ნათქვამის თავდაპირველ ავტორს - რეფერირებულ პირს ყურადღების მიღმა ტოვებს. ის უმთავრეს შემთხვევაში ანონიმური რჩება.

ნათქვამი არა რეფერირებულ პირის, არამედ მოსაუბრის პერსპექტივიდან არის წარმოდგენილი. მოსაუბრე არ ცდილობს, ნათქვამი ორიგინალს ფორმით მიუახლოვოს. ის აქცენტს აკეთებს შინაარსზე და არა ფორმაზე.

არის იშვიათი შემთხვევები, როდესაც *angeblich* კონიუნქტივ I-თან ერთად ირიბ თქმას ემსახურება. სტილსტური მიზნით, მოსაუბრე ერთმანეთს ანაცვლებს ამ საშუალებებს და *angeblich*-ს

იყენებს იგივე ფუნქციით, როგორც კონიუნქტივ I-ს.

### 3.1.2. *vorgentlich*

გერმანულ ენას გააჩნია კიდევ ერთი ევიდენცია ლური  
წინა და დების ზმნიზე და  
*vorgentlich*. მისი გამოყენების სიხშირე თვალისა ცემად  
განსხვავებულია *angeblich*-ის

გამოყენების სიხშირისგან. DeReKo-ში ის, როგორც წინადადების ზმნიზე და 5.506 ჯერ ფიქსირდება, როგორც ზედართვი სახელგანსაზღვრების ფუნქციით 5.084-ჯერ. სწორედ მისი იშვიათი მოხმარების გამო, გერმანულ ენათმეცნიერებაში არის მოსაზრება, რომ გერმანულ ენას მხოლოდ ერთ რეპორტულ ზმნიზე და - *angeblich* აქვს, *vorgeblich* კი რჩება ყურადღების მიღმა (ზოკა 2011: 52).

დუდენის რედაქცია (2003: 1753) *vorgeblich*-ის განმარტებად გვთავაზობს *angeblich*-ს, ხოლო დუდენის ონლაინ ლექსიკონში ([www.duden.de](http://www.duden.de)) მისი სინონიმების ჩამონათვალი ემთხვევა და იდენტურია იმ ლექსემებისა, რომლებიც *angeblich*-ის სინონიმად განისაზღვრა; ანუ მათი მნიშვნელობები ერთმანეთს ფარავს.

იდენტურია ასევე ჰელბიგის/ჰელბიგის (1993: 272) მიერ ლექსემების *vorgeblich* და *angeblich* განმარტებებიც. ერთადერთ განმასხვავებელს, რომელიც ამ განმარტებებიდან ჩანს, წარმოადგენს ის, რომ *vorgeblich*-თან რეფერირებულ პირი წინადადების სუბიექტის იდენტურია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სუბიექტი უსულო საგანია, ან პირველი პირის ნაცვალსახელია (ანუ წინადადების სუბიექტი და მოსაზრებელი პირი რეფერენციდენტურია).

კორპუსზე დაკვირვებამ გვიჩვენა *vorgeblich*-ის განსაკუთრებულ მიზიდულობა ნომინალური ჯგუფებისადმი. 61%-ში *vorgeblich* ნომინალური ჯგუფის ნაწილია და, უმთავრესად, ამ ჯგუფში არსებული ზედართავული ფრაზის მოდალოზებასახდენს, როგორც 131-ე და 132-ე მაგალითები (შდრ. *angeblich*-ს, რომელიც აღნიშნულ კონტექსტში მხოლოდ 14 მაგალითი და ფიქსირდა):

131. Nichts dagegen ist zu sagen, wenn Menschen mit einem **vorgeblich** besseren Zeitverständnis ihre Meinung zum „Feld des Jammers“ äußern. (Cosmas. Rhein-Zeitung, 24.11.2012)

132. Der Name des Unternehmens geht auf den **vorgeblich** alten (aber falschen) Namen der Stadt Brandenburg zurück. (Cosmas. Brennabor, In: Wikipedia 2011)

მაგალითებში არსებული ზედართავი სახელები

უმთავრესად შემფასებლური მნიშვნელობის - ნეგატიური ან პოზიტიური სემის მატარებლები არიან, ან კონტექსტში იძენენ ასეთ მნიშვნელობას. *vorgelich*-ის გამოყენებით მოსაუბრე ფოკუსირებას ახდენს აღნიშნულ ზედართავების მნიშვნელობაზე :

133. Ihren **vorgentlich** einzigen nennenswerten Vermögenswert, eine repräsentative Villa im Wiener Nobelbezirk Döbling, ließ sie schon 1994 auf ihre Tochter überschreiben. Darüber hinaus will sie immer schon völlig mittellos gewesen sein. (Cosmas. profil, 12.04.2010)

აღნიშნულ შემთხვევებშიც უნდა ვიფიქროთ, რომ *vorgentlich*-ის სემანტიკურ სკოპუსში რჩება წინადადება, რადგან ნომინალური ფრაზა წინადადების ტოლფასია და შესაძლებელია მისი ტრანსფორმირება განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად რასაც 133-ე წინადადების პერიფრაზი აჩვენებს: Eine repräsentative Villa im Wiener Nobelbezirk Döbling, die ihr vorgentlich einziger nennenswerter Vermögenwert ist, ließ sie schon 1994 auf ihre Tochter überschreiben. *vorgentlich*-ის სემანტიკურ სკოპუსშია განსაზღვრებითი დამოკიდებულ წინადადება.

შეიძლება ითქვას, რომ *vorgentlich*-ს მიზიდულობა აქვს ნომინალური კონსტრუქციებისადმი. *angeblich*-ის ენობრივ გარემოცვაშიც ბევრი ზედართავი სახელია, მაგრამ მის საერთო მოხმარებასთან შედარებით, ნომინალურ ფრაზებში მისი გამოჩენა უფრო იშვიათია (14%). *vorgentlich* შეიძლება ითქვას „სპეციალზე ულთა“ ასეთკონტექსტებზე.

*vorgentlich* ევიდენციალური მარკერია, რომელიც ეპისტემურ ვარაუდს არ გამოხატავს. ის გვიჩვენებს, რომ მოსაუბრეს ინფორმაცია მიღებული აქვს სხვა კომუნიკაციური სიტუაციიდან და ამ ინფორმაციას იმოწმებს ნათქვამის ევიდენციად. 134-ე და 135-ე მაგალითში, მოსაუბრე პირი წინადადების სუბიექტიდან ფლობს ინფორმაციას, რაც არ გულისხმობს აუცილებლად იმას, რომ უშუალოდ მასთან შედგა წინა კომუნიკაცია:

134. profil: Kommen wir zum eigentlichen Grund unseres Gesprächs: Sie und Ihre spaßig kostümierten Freunde wollen im Mai einen Aufmarsch in der Wiener Innenstadt machen, **vorgentlich** um des Revolutionsjahres 1848 zu gedenken. Weil es genau 166 Jahre her ist? (Cosmas. profil, 10.02.2014)

135. Neuerdings reflektiert Stuckrad-Barre seine früheren Auftritte und Ausfälle **vorgentlich** selbstkritisch als Rolle, die zu spielen war, um der Öffentlichkeit zum Buch auch ein verkaufsförderndes Image zu liefern. (Cosmas. die tageszeitung, 26.09.2001)

მაგალთებმა უჩვენა, რომ *angeblich*-ის მსგავსად *vorgeblich*-იც შესაძლებელია ეჭვის და სკეპტიციზმის კონტექსტში შეგვხვდეს. 136-ე და 137-ე მაგალთებში, კონტექსტი მიგვანიშნებს პროპოზიციის მცდრობაზე ან არადამაჯერებლობაზე:

136. Er war auch nicht blind gegenüber Verbrechen, die für eine **vorgeblich** gute Sache begangen werden. (Cosmas. Die Presse, 28.06.2008)

137. Es ist ein Wettlauf der besonderen Art – um die **vorgeblich** kundenfreundlichste, vielleicht aber auch nur skurrilste und nutzloseste Regelung rund um die Einführung von Studiengebühren in Deutschland. (Cosmas. Süddeutsche Zeitung, 25.09.2006)

137-ე მაგალოთში *vorgeblich*-ით გამოხატულ ეჭვს, ასევე ამღერებს და ამყარებს ეპისტემური ზმნიზება და *vielleicht*.

*vorgeblich* ასევე რამდენიმეჯერ შეგვხვდა ისეთ კონსტრუქციებთან, როგორც არის *in Wahrheit aber/in Wirklichkeit aber/tatsächlich aber*, რომლებიც კონტრასტულ და წარმოაჩენენ სინამდვილეს. ანუ, მოსაუბრე პირი ხშირად იყენებს მას იმ შემთხვევაში, როდესაც სინამდვილე მისთვის ცნობილია, პროპოზიცია კი გადმოსცემს მცდარ ინფორმაციას; ანუ, იყენებს *vorgeblich*-ს მნიშვნელობით: *vermeintlich*, რაც გულისხმობს „ეს სულც არ არის ასე“.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს არის მისი გამოყენების ერთ-ერთი კონტექსტი, ხოლო ეჭვი, ვარაუდი, სკეპტიციზმი არ არის *vorgeblich*-ის სემანტიკის შემადგენელი ნაწილი.

როგორც აღვნიშნეთ, ჰელბიგმა /ჰელბიგმა (1993: 272) *vorgeblich*-ის ინფორმაციის წყაროდ ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრეს წინადადების (პერსონალური) სუბიექტი. ამ განმარტების მიხედვით, *vorgeblich* ემსგავსება ევიდენციალურ *wollen*-ს, რომელიც ასევე წინადადების სუბიექტს მოიაზრებს ინფორმაციის წყაროდ ჩვენ მაგალოთებში, დადსტურდა შემთხვევები, როდესაც პერსონალური სუბიექტის არსებობის შემთხვევაში, ის არ მოვიაზრებთ რეფერირებულპირად.

საილუსტრაციოდ წარმოადგენილია 138-ე მაგალოთი, სადაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ პროპოზიციით გადმოცემულ ქმედების განმახორციელებლს, ჯონ უილს ბუტის ნათქვამს იმღმებდეს მოსაუბრე პირი:

138. Der Schauspieler John Wilkes Booth, der 1865 mit dem prahlerischen Ruf „Sie Semper tyrannis!“ und **vorgeblich** im Namen der im Bürgerkrieg unterlegenen Südstaaten-



Konföderation Präsident Abraham Lincoln in einer Theaterloge erschöß, war neidisch auf die schauspielerischen Erfolge seines Vaters und seines älteren Bruders. (Cosmas. Die Zeit [Wochenzeitung], 22.05.1981)

მოსაუბრე პირი იმოწმებს ზოგად მოსაზრებას, რაც შემდგომ განისაზღვრა მკვლევლის მოტივად.<sup>20</sup>

ასეთი მაგალოთები, იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომ *vorgeblich* ერთნიშვნელოვნად არ წარმოადგენს წინადადების სუბიექტს რეფერირებულ პირად ეს ასეა უმთავრეს შემთხვევაში, მაგრამ არა ყოველთვის. ზოკა (2011) აღნიშნავს: “Nach Meinung zumindest einiger deutscher Muttersprachler legt *vorgeblich* - nicht aber *angeblich* - nahe, dass die Quelle der wiedergegebenen Information P der Ausführender einer im Satz erwähnten Handlung ist“ (2011: 52).

მოუხედავად იმისა, რომ *vorgeblich* უმთავრეს შემთხვევებში გვხვდება კონტექსტებში, რომელშიც სუბიექტი გვევლნება რეფერირებულ პირად ის არ წარმოადგენს ირიბი ნათქვამის გამომხატველ საშუალებას, რომელიც ყურადღების ცენტრში რეფერირებულ პირს აქცევს. ის რეპორტულ საშუალებას, რომელიც ფოკუსში ტოვებს მოსაუბრე პირს. მოსაუბრე არ თმობს ორიგოს პოზიციას.

შესაბამისად, ნათქვამიც სრულად ავტორის პერსპექტივიდან წარმოადგება. ის არ არის მიახლოებული ორიგინალთან (და არც შეიძლება იყოს, როდესაც მოსაუბრეს მხედველობაში არა ერთი, არამედ სხვადასხვა წყაროები შეიძლება ჰქონდეს).

139-ე მაგალოთში წინადადების სუბიექტი განუსაზღვრელო ნაცვალახელა და შესაბამისად გაურკვეველად ვისგან, რამდენი პირისგან მიიღო მოსაუბრემ ინფორმაცია, ან როგორი იყო თავდაპირველი ნათქვამი. აქცენტიკე თდება შინაარსზე და არა ფორმაზე:

139. **Vorgeblich** will man damit zum Beispiel Partnerangebote zusammenbringen, eine Rolle dürfte aber auch die banale Überlegung spielen, dass man die Marke niemandem anderen überlassen wollte. (Cosmas. Süddeutsche Zeitung, 06.05.2013)

100 შემთხვევიდან მოიძებნა ერთი მაგალოთი, როდესაც *vorgeblich* ციტატის ფრაგმენტს უკავშირდება:

140. "Postideologisch ist mir lieber", sagt Christian Ankowitsch, neben Bruno Kammertöns einer

der beiden verantwortlichen Redakteure des "Lebens". Und Spielerei mag er sich auch nicht vorwerfen lassen, schließlich interessiert ihn das Layout **vorgeblich** "einen feuchten Kehricht. Es kommt auf die Inhalte an." (Cosmas. die tageszeitung, 23.03.2000)

---

<sup>20</sup> ზოგადად, ცნობილი იყო აშშ-ს სამოქალაქო ომში მსახიობ ბუტის სამხრეთის მონათმფლობელი შტატებისადმი დამოკიდებულება, ხოლო ლნკოლის მკვლელობის შემდეგ, ფარდა აეხადა და გეგმილში ეთქმებოდა.

ეს ერთი მაგალთა არ იმლუვა იმის საბაზს, ვიფიქროთ, რომ *vorgeblich*-ს ჰიბრიდულ ხასიათს აქვს და იმავედროულად ენათესავება ირიბი თქმის საშუალებებს. 140-ე მაგალთი ქრისტიან ანკოვიჩის ნათქვამს გადმოსცემს და მისი ციტატით იწყება. ასეთ კონტექსტში, რომელც იდენტიფიცირებულ პირის ნათქვამს გადმოსცემს სხვადასხვა საშუალებებით, *vorgeblich*, ისევე როგორც *angeblich*, იცვლს მის ბუნებას. იგივე შეიმლუბა ითქვას იმ შემთხვევებზე, როდესაც კონიუნქტივი I და *vorgeblich* ერთად გადმოსცემენ ირიბ თქმას:

141. Knapp drei Monate später erhielt Gerstenmaier vom Bundesinnenministerium den Bescheid: Er habe "Anspruch auf bevorzugte Wiederanstellung als beamteter außerordentlicher Professor" und erhalte rückwirkend ab 1. Januar 1954 die Emeritenbezüge eines außerplanmäßigen Professors. Damit hatte Gerstenmaier sein **vorgeblich** einziges Ziel, als Nazigeschädigter anerkannt zu werden, erreicht. (Cosmas. Der Spiegel [Wochenzeitschrift], 27.01.1969)

ამგვარად, *vorgeblich* გერმანულ ენის რეპორტულ ევიდენციად მარკერი. ის გამოხატავს, რომ მოსაუბრე ინფორმაციას ფლობს სხვა კომუნიკაციური სიტუაციიდან და მას იყენებს საკუთარი ნათქვამის ევიდენციად.

*vorgeblich*-ის სემურ კომპონენტს არ წარმოადგენს ეპისტემურობა. ეპისტემურ შუქ-ჩრდილებს კონტექსტი და კომუნიკაციური იმპლკატურა წარმოშობს.

*vorgeblich*, როგორც რეპორტულ ევიდენციად მარკერი, ნათქვამის თავდაპირველ ავტორს, რეფერირებულ პირს, ყურადღების მიღმა ტოვებს. რეფერირებულ პირად უმეტეს შემთხვევაში, წინადადების სუბიექტი მოიაზრება.

მიუხედავად ამისა, ნათქვამი არა რეფერირებულ პირის, არამედ მოსაუბრის პერსპექტივიდან არის წარმოდგენილი. მოსაუბრე არცდღობს, ნათქვამი ორიგინალ ფორმით მიუახლოვოს. ის აქცენტს აკეთებს შინაარსზე და არა ფორმაზე.

არის იშვიათი შემთხვევები, როდესაც *vorgeblich* კონიუნქტივ I-თან ან პერფორმატიულ ზმნებთან ერთად ირიბი თქმას ემსახურება. სტილისტური მიზნით, მოსაუბრე ერთმანეთს ანაცვლებს ამ საშუალებებს და *vorgeblich* -ს იყენებს, როგორც ირიბი თქმის საშუალებას.

*vorgeblich* წარმოადგენს *angeblich*-ის სინონიმს. მას შეუძლია *angeblich* ჩაანაცვლოს ყველ შემთხვევაში. ორივე ლექსემას შორის განსხვავებას წარმოადგენს მათი მოხმარების

სიხშირე და გამოყენების პროფილი. *vorgeblich* უფრო მეტად ნომინალურ ჯგუფში გვხვდება, ზედართავულ ფრაზაში. ის ძირითად შემთხვევაში, წინადადების სუბიექტს მოიაზრებს რეფერირებულპირად.

### 3.1.3. *offensichtlich*

*offensichtlich* გერმანულ რეფერენციულკორპუსში სულ 491.606-ჯერ დაფიქსირდა, აქედან, 453.768 შემთხვევაში ფორმა უცვლელ ფორმით. თუმცა, ფორმა უცვლელ ფორმების 11%-ში ის აღმოჩნდა ვითარების გარემოების (142-ე მაგალითი) ან ზმნური შემავსებლის (143-ე მაგალითი) ფუნქციით:

142. »Wenn sich jemand **offensichtlich** gegen die katholische Kirche wendet, dann ist es nicht nur das Recht, sondern die Pflicht des Bischofs, so jemanden abzulehnen«, sagte er. (Cosmas. Nürnberger Nachrichten, 16.11.2005)

143. Und auch jetzt ist **offensichtlich**, dass damit längst nicht das Ende erreicht ist. (Cosmas. die tageszeitung [Tageszeitung], 13.12.2012)

თუკი აღნიშნულ 11 პროცენტს განვაზოგადებთ, *offensichtlich* მისი საერთო მოხმარების 83%-ში წინადადების ზმნიზედაა.

კორპუსზე დაკვირვებამ ნათელყო, რომ *offensichtlich* ფაქტის ასერციას ახდენს და, უმთავრეს შემთხვევაში, გამოხატავს სიცხადეს, თაღნათლვობას. თუმცა, ის შეზღუდულა მოსაზრის თაღნათლვად. წარმოქმნულ ცხადია მოსაზრის პერსპექტივიდან. მაგალითად:

144. In unserem Lande ist die Kommunikation zwischen Staat und Gesellschaft **offensichtlich** gestört. (Cosmas. die tageszeitung [Tageszeitung], 08.09.2009)

მიუხედავად იმისა, რომ თავად ლექსემის ფუძეს ხედა ზმნა (*sehen*) წარმოადგენს, ის არ გულისხმობს, ყველ შემთხვევაში პირდაპირი მნიშვნელობით ვიზუალურ ხედას, არამედ გონების თაღნათლვად, აღქმებს და მათ ინტერპრეტაციებს:

145. Obwohl sie nach 6:53:44 Stunden ‘nur‘ als 37. ins Ziel kamen (sie büßten fast zwei Stunden

ein) und auf Gesamtrang 17 zurückfielen, hatten sie ihren Humor **offensichtlich** noch nicht verloren. (Cosmas. Rhein-Zeitung, 11.10.2012)

*offensichtlich* ხშირად სხვა ადამიანების შინაგან სამყაროზე -  
განწყობებზე, განცდებზე, სურვილებზე და მეტალორ  
მდგომარეობებზე დასკვნას გამოხატავს,

რომ ლუბიც უშუალოდ კვირვების საგანი არ არის, მათზე მხოლოდ სხვა დასხვანიშნებით და სიგნალებით მიღებული შთაბეჭდილებებით ყალბდება რწმენა:

146. Nur an der globalen Begeisterungswelle wird sie nicht teilnehmen - obwohl das Verhältnis seit London **offensichtlich** herzlicher geworden ist. (Cosmas. Die Zeit (Online-Ausgabe), 16.04.2009)

147. Für Sie ist Familie **offensichtlich** sehr wichtig. Wollten Sie nie einen Ehemann und Kinder? (Cosmas. Sonntagsblick, 24.07.2005)

როგორც მაგალოთებიდან ჩანს, *offensichtlich* არ გამოხატავს ვარაუდს, არამედ ფაქტის ასერციას ახდენს. ამ თვალსაზრისით, ის უტოლდება ისეთ ოპერატორებს, როგორც არის, მაგალოთა და *wirklich* და *sicherlich*. ციფონუნი et al. (1997: 1129) მას მართებულ დიაკუთვნებს **ასერციული წინადადების მზნიზედების** ჯგუფს და განიხილვს იმ ენობრივ საშუალებებს შორის, რომლებსაც ევიდენციალური სემა აქვთ და, ამავდროს, ასერციულთა: (Evidenzbetonend-assertive Satzadverbialia): “Diese Evidenzbetonung kann erreicht werden durch Anknüpfung an gemeinsames – oder als gemeinsam unterstelltes – Wissen bzw. durch gemeinsam zugängliches Wissen“ (1997: 1129).

ჰელბიგი/ჰელბიგი (1993) *offensichtlich*-ის განმარტებისას, ყურადღებას ამახვილებენ მის ევიდენციალურ ბუნებაზე და ვარაუდს მაღალ ხარისხზე: “Sprecher schätzt auf Grund von äußeren Wahrnehmungen oder erkenntnismäßig zu erschließenden Bedingungen ein, dass p mit an Sicherheit grenzender Wahrscheinlichkeit real ist“ (1993: 179). ანუ, ჰელბიგი/ჰელბიგი (1993) ეპისტემურ კომპონენტს განსაზღვრავენ მისი მნიშვნელობის ნაწილად, რაც ჩვენს დაკვირვებასთან წინააღმდეგობაში მოდის.

დუდენის რედაქცია (2007: 651) კი ზმნიზე და *offensichtlich*-ის სინონიმებად გვთავაზობს ისეთ მოდალურ სიტყვებს ან სიტყვათშეთანხმებებს, რომლებიდანაც ზოგს ევიდენციალური, ზოგს - ეპისტემური შინაარსი გააჩნია და ასევე ვარაუდის ინტენსივობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: *allein/dem Anschein nach*, *allein/dem Vernehmen nach*, *angeblich*, *möglicherweise*, *offenbar*, *vermutlich*,



*wahrscheinlich, wie behauptet wird, wie es aussieht/scheint, wie man hört/sagt, wohl; (gehoben) augenscheinlich, dem Augenschein nach, mutmaßlich; ჩვენი აზრით, დედნის რედაქციის (2007: 651) მიერ სინონიმებად möglicherweise-ს, wahrscheinlich-ის ან vermutlich-ის განსაზღვრა მისი სემანტიკის გაფართოებაა.*

თუმცა, ზოგ კონტექსტში, შესაძლებელია, აღნიშნულმა ევიდენცია ლურმა წინადადების ზმნიზედამ შეიძინოს ვარაუდის კომპონენტი, და ის მსმენელს მხრიდან გაგებულ იქნეს, რომ მთქმელი მთლად დარწმუნებული არ არის ნათქვამში. აქაც, როგორც სხვა ევიდენცია ლურ მარკერებთან, გადამწყვეტ როლს კომუნიკაციური იმპლკატურა ასრულებს. ნათქვამი იმ შემთხვევაში წარმოადგენს სინამდვილს, თუკი ის საფუძვლები და ევიდენციები გამოხატავენ სინამდვილს, რომელც მთქმელს მხედველობაში აქვს. სხვა შემთხვევაში, ევიდენციებისა და საფუძვლების დასახელების საჭიროება გაუგებარი რჩება მსმენლსათვის.

ისეთ თემებში, რომლებიც კრიმინალურ ან უბედურ შემთხვევებს განიხილვენ, *offensichtlich*-ის გამოჩენა არ არის ტიპური. ჩვენ მაგალითებში ასეთ შემთხვევა მხოლოდ 5-ჯერ დაფიქსირდა. ხუთივე შემთხვევაში ვითარების არაობიექტური ანგარიშია წარმოადგენილი, არამედ სუბიექტური, ჟურნალისტის პერსპექტივიდან და ნახული.

ჟურნალისტის სუბიექტური ხედვის კარგი ილუსტრაცია 148-ე წინადადებაა, რომელშიც წარმოადგენილია სტატიის ავტორის რწმენა, რომ აშკარად ნასვამმა მემარჯვენე ექსტრემისტებმა შეავიწროვეს ქალქ ვარენის მერი, რასაც კრიმინალური პოლიციის უფროსი მაინცდამაინს არ იზიარებს. აღნიშნულს, ჟურნალისტის პერსპექტივაზე ფორმულირებაც მიაწინებს (*betrunken* და არა *unter Alkoholeinwirkung*). ტექსტის შემდეგ ნაწილში წარმოადგენილია ევიდენცია, რომელსაც ჟურნალისტის რწმენა ემყარება. სტატიის ავტორი პასაჟს პოლიციისადმი სკეპტიციზმი თავის ასრულებს:

148. Der Bürgermeister der Stadt Waren, Günter Rhein (SPD), hat sich gestern mit der Kripo über die Belästigung **offensichtlich** rechtsextremer, betrunkenener Männer am Donnerstagabend (Nordkurier berichtete) unterhalten. Wie der Kripo-Chef der Warener Polizeiinspektion, Friedhelm Nofz gestern sagte, werde gegenwärtig die strafrechtliche

Bedeutung der Belästigung geprüft. Möglicherweise könne es sich um Nötigung handeln. Rhein ist am Abend des Himmelfahrt-Tages von betrunkenen Männern angepöbelt und aufgehalten worden, die in ihm den Bürgermeister erkannten (der Nordkurier berichtete). Aus Zurufen und Bemerkungen schloss der Bürgermeister auf eine rechtsextreme Gesinnung der Männer. Laut Polizei sind die Störenfriede einschlägig bekannt. Im Falle des Einbruchs im Büro des Warener Landtagsabgeordneten Toralf Schnur, bei dem am Wochenende der Laptop des Landespolitikers gestohlen wurde, kann die Polizei noch keinen Erfolg verzeichnen. (Cosmas. Nordkurier, 18.05.2010)

149-ე მაგალთშიც შეფასება - „აშკარად ნასვამ მდგომარეობაში“ - ჟურნალისტის სუბიექტური შეფასებაა, შთაბეჭდილებაა, რომ ლსაც ღრმად სწამს, მოქმედ პირის ქმედებების გაანალიზების შედეგად:

149. Ein 26-jähriger Hausmeninger kam am 25.2. gegen 3.12 Uhr in **offensichtlich** betrunkenem Zustand auf die Polizeiinspektion Amstetten. Er verlangte Auskunft über einen Handybesitzer, weil ihm dieser ‘lustige SMS’ schicke, durch die er sich belästigt fühle. Da der Beamte in der Bezirksleitzentrale seinem Wunsch nicht nachkam, geriet der Hausmeninger in Wut. Er ließ sich mit der Rettung ins Spital einliefern. Dort gab er gegenüber dem behandelnden Arzt an, von einem Polizisten an der Jacke gezogen und ins Gesicht geschlagen worden zu sein. Daher habe er nun Schmerzen im Nacken und im Gesicht. Er kündigte an, auf die Polizeiinspektion gehen und den Beamten dort erschlagen zu wollen. Die Ärzte alarmierten da-raufhin die Polizei. Als die Beamten eintrafen, machte der Mann Anstalten auf sie loszugehen. (Cosmas. Niederösterreichische Nachrichten, 30.03.2010)

150-ე მაგალთშიც ჟურნალისტის შეფასებას წარმოადგენს, ანუ როგორც მისგან დანახულს და, ეს რომ მკითხველს თვისაც თვალაჩინო გახადოს, დაწვრილებით წარმოადგენს ფაქტებს. ავტორის აზრით, მოყვანილ ფაქტების ჯაჭვი, მკაფიოდ ადასტურებს მისი დასკვნის თვალნათლობას:

150. Bonn (AFP) - Ein **offensichtlich** Geistesgestörter hat am Donnerstagabend einen Einsatz von Polizei und Bundesgrenzschutz im Bonner Regierungsviertel ausgelöst. Der Bonner Polizeisprecher berichtete, der mit einer Handgranate bewaffnete Mann, der direkt vor dem Bundeskanzleramt mit seinem Auto einen Unfall verursacht hatte, habe gefordert, mit dem früheren Staatsminister im Kanzleramt, Lutz Stavenhagen (CDU) zu sprechen. Werde ihm dies verweigert, werde er die Handgranate zünden. Er habe sich auch nach mehrfacher Aufforderung hartnäckig geweigert, den Unfallwagen zu verlassen. Der Verkehr auf der Bundesstraße 9 wurde umgeleitet. (Cosmas. Süddeutsche Zeitung, 06.03.1992)

*offensichtlich* ძირითადად აღქმებს, სუბიექტურ ხედვებს, ვიზუალურ

დაკვირვებებს ემყარება და მათინტერპრეტაციას ახდენს. შესაბამისად, როდესაც საქმე ეხება კრიმინალურ, უბედური

შემთხვევის თემებს, ჟურნალისტების სუბიექტური ხედვები და ინტერპრეტაციები ნაკლებად მნიშვნელოვანია. მთავარია ფაქტებზე დაფუძნებულ დასკვნები და ვარაუდები. შესაბამისად, *offensichtlich* -ის გამოყენება არ არის აღნიშნულ ტექსტებში ტიპური.

ზემოთქმულ დან გამომდინარე, შეგვიძლია *offensichtlich* მივიჩნიოთ ევიდენცია ლურ მარკერად, რომელიც ევიდენციას (უმთავრესად ვიზუალურ აღქმებს) იყენებს დასკვნისათვის. ის ინფერენციული მარკერია, რომელიც ერთდროულად მოსაზრების დასკვნას გამოხატავს და ევიდენციაზეც აკეთებს აქცენტს.

*offensichtlich* შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად ტექსტის შიგნით ფორულ მიმართებებს ამყარებს. *offensichtlich*-ის გამოყენებას მოჰყვება, ან წინ უძღვის იმ საკითხების დაწვრილებით განხილვა, რომელიც დასკვნის საფუძველია. *offensichtlich* იწვევს მკითხველში იმის მოლოდინს, რომ ახსნილ იქნება ამ რწმენის საფუძველი. იგი მიაწინებს, რომ ეს არის დასკვნა, რომელიც ვიზუალურ ან სხვა ტიპის ევიდენციას ეფუძნება, და რადგან მოხდა მისი გამოყენება, ასევე წარმოადგენილ იქნება ევიდენციებიც. ყველ ზემოთ მოხმობილ მაგალითში, მკითხველსათვის გასაგებია მისი გამოყენების მოტივი. გაფართოებულ კონტექსტი ამას ნათელს ხდის. ევიდენცია მხოლოდ იმ შემთხვევაში არ არის წარმოადგენილ, თუკი ის ისედაც ცხადია მოსაზრე პირისათვის (მოსაზრეს და მსმენელს გააჩნია საერთო ცოდნა).

აღსანიშნავია ასევე ის, რომ *offensichtlich* მაგალითების 22%-ში უარყოფით კონტექსტში გვხვდება (ძირითადად *nicht*-თან, მაგრამ ასევე სხვა უარყოფის მარკერებთან), როგორც ჩანს უარყოფით კონტექსტი მისი ერთ-ერთი ტიპური კონტექსტია:

151. Investigativ.ch empfiehlt sie, den Namen in «copy-paste.ch» umzuwandeln, da kritisches Hinterfragen unterbleibe und Faktentreue **offensichtlich keine** Rolle spiele. (Cosmas. Die Südostschweiz, 12.05.2016)
152. Den Rest kannst du dir sparen, da es sich **offensichtlich nicht** um einen Leserbrief handelt, [...]. (Cosmas. Fox News Channel, In: Wikipedia 2011)
153. Wie es dann konkret weitergehen soll, weiß **offensichtlich niemand**. (Cosmas. Rhein-Zeitung, 22.04.1998)

ჩვენი მაგალთებიდან 8 შემთხვევაში *offensichtlich*-ს წინ უძღვის ნაწილკი *ganz*, რომ ლათინური კილოდან უფრო მეტად უსვამს ხაზს მისი რწმენის თანაფარდობას და წარმოადგენს პროპოზიციას როგორც ნამდვილ, ფაქტობრივს :

**154.** Doch dann kam der Fall Guttenberg, dessen Brisanz die Kanzlerin **ganz offensichtlich** falsch eingeschätzt hatte. (Cosmas. Neue Zürcher Zeitung, 29.03.2011)

155. Da war zunächst der Angeklagte selbst, der sich **ganz offensichtlich** unschuldig fühlte. (Cosmas. Rhein-Zeitung, 01.12.2010)

15%-ში *offensichtlich* ზედართავი სახელს მოდალოებას ახდენს. აქედან, 9 შემთხვევაში, ის ნომინალური ფრაზის ნაწილია. ზედართავები ყველ დადებითი ან უარყოფითი სემის შემცველი არიან (ჭარბობს უარყოფითი და ტვირთის ზედართავი სახელები):

156. Die Stimmung ist glänzend, die Auftragsbücher sind prall gefüllt, und die Mehrwertsteuererhöhung hat die deutsche Wirtschaft **offensichtlich** gut verdaut. (Cosmas. Rhein-Zeitung, 10.04.2007)

157. Jetzt zu behaupten 'die Arbeit muss sofort aufgenommen werden', ist daher entschieden zurückzuweisen und als unnötiger Ausritt zur Zeit des **offensichtlich** stressigen Wahlkampfes anzusehen. (Cosmas. Kleine Zeitung, [Tageszeitung], 22.01.2000)

შერჩეულმა გაალოთბზე დაკვირვების შედეგად, *offensichtlich* ჩავთვალთ ევიდენციალურ, კერძოდ კი, ინფერენციულ მარკერად, რომლთაც მოსაუბრე პროპოზიციის ასერციას ახდენს და იმავდროულად ევიდენციაზე (საფუძვლებზე) მიაწინებს. ევიდენციალური კომპონენტი მისი სემანტიკის განუყოფელი ნაწილია. ეპისტემური შინაარსი კი კონტექსტით ან კომუნიკაციური იმპლიკატურით წარმოიშობა. მთქმელს დასკვნები უმთავრესად აღქმებს, სუბიექტური ხედვებს, ვიზუალურ დაკვირვებებს ემყარება და მათ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. შესაბამისად, ის არ გამოიყენება სხვისი დასკვნის გადმოსაცემად.

მაგალოთბზე დაკვირვებამ ნათელია, რომ *offensichtlich* არ გამოხატავს ვარაუდს. ამ თვალსაზრისით ის უტოლდება ისეთ ოპერატორებს, როგორც არის, მაგალოთბ *wirklich*, *sicherlich*. *offensichtlich* უმთავრეს შემთხვევაში, გამოხატავს სიცხადეს, თვალნათლივობას.

ტექსტის ტიპებში, რომლებშიც მოვლენებისადმი ჟურნალისტის სუბიექტური ხედვა შეზღუდულად დასაშვებია, მაგალოთბ დერონიკებში, ის ძალაში იშვიათად ფიქსირდება.



*offensichtlich*, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად ტექსტის შიგნით ფორულ მიმართებებს ამყარებს. *offensichtlich*-ის გამოყენებას მოყვება, ან წინ უძღვის იმ ევიდენციების აღწერა, რომელც ვარაუდს, რწმენის საფუძველია.

გამოიკვეთა *offensichtlich*-ის ტიპურ კონტექსტად უარყოფითი კონტექტი (შიდა უარყოფით) და შედარათა ვულფრაზე ბში მისი გამოჩენა.

მისი ერთ-ერთი ხშირი პარტნიორია ნაწილკი *ganz*, ის *offensichtlich*-ით გამობატულრწმენას კიდევ უფრო ამღერებს.

### 3.1.4. sollen

სპეციალურ ლტერატურაში ხშირად აღინიშნება, რომ *sollen*-ის გამოყენებით მოსაუბრე გამოხატავს წარმოქმულსადმი სკეპტიციზმს, რომ მოსაუბრეს ეჭვი შეაქვს წარმოქმულს ნამდვილობაში. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს იოლშლეგერი (1989: 235): “Dass Äußerungen von Sätzen mit epistemisch zu verstehendem *sollen* und insbesondere *wollen* oft als Distanzierungen durch den Sprecher empfunden werden, ist m.E. nicht zu bestreiten.“ თუმცა, ავტორთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ეს დისტანცია და სკეპტიციზმი კომუნიკაციური იმპლიკატურითა გამოწვეული. მაგალითად დევალი (1999) *sollen* და *wollen* ზმნასთან კავშირში აღნიშნავს: “Es kann in bestimmten Situationen über konversative Implikaturen der Zweifel des aktuellen Sprechers abgelesen werden“ (1999: 228). იგივეს ვკითხულობთ იოლშლეგერთან (1989: 235), ვუნდერლიხთან (1981: 28) და კოლომოსთან (2011: 68). ლისის (2009: 9) მიხედვით, მოდალური ზმნა *sollen* მოსაუბრის მიერ პროპოზიციის ნამდვილობის თვალაზრისით შეფასებასაც გამოხატავს და ინფორმაციის წყაროზეც მიაჩნებებს.

100 მაგალითადან<sup>21</sup> 95 ვითარებას სრულად ნეიტრალურად გადმოცემს. მოსაუბრის ვარაუდით, რწმენა ან ეჭვი მათში არ ჩანს. მაგალითებში ევიდენციალური

---

<sup>21</sup> იმისათვის, რომ გვეპოვა 100 მაგალითი, რომელშიც *sollen* ზმნას ევიდენციალური გაგება ექნებოდა, მივმართეთ კომბინირებულ ძიებას. როგორც დადენილა, ეპისტემურ და ევიდენციალურ ზმნებს, მათშორის *sollen*-საც, დომინანტურად ეპისტემური ან ევიდენციალური შინაარსი აქვს, როდესაც ისინი სრულნიშვნელოვანი ზმნის ინფინიტივ პერფექტის ფორმასთან ერთად არიან წინადადებაში. რადგან აღნიშნულ არქივი

მორფო-სინტაქსურად ანოტირებული არ არის, გრამატიკული კატეგორიებით ძიება შეუძლებელია. შესაბამისად, ერთ წინადადებაში ვეძიეთ ლემა *sollen*, დამხმარე ზმნების *haben* ან *sein*-ის მყარ ფორმასთან ერთად (რადგან ინფინიტივ პერფექტი რეალობება აღნიშნული დამხმარე ზმნებით). იმავდროულად, წინადადებაში იგნორირება გავუკეთეთ მძიმის სასვენ ნიშანს (ამით გამოვრიცხეთ რთული წინადადებები, რომლს შემადგენელ წინადადებებშიც ცალცალკეა აღნიშნული სამიეზო სიტყვები). ჩვენი სამიეზობრძანება ასე გამოიყურება: &sollen /s0 (haben ODER sein) NICHT , ამ გზით მოპოვებული მაგალითების 60%-ში *sollen* ევიდენცია ლური შინაარსისაა. ცირკუმსტანციული *sollen* მანუა ლურად გადავარჩიეთ.

*sollen*-ის პერიფრაზი შესაძლებელია სიტყვა-კონსტრუქციებით: *wie man sagt, wie behauptet wird* და სხვ. საილუსტრაციოდ წარმოგიდგინებ რამდენიმე მაგას:

158. In Österreich **soll** die Bande bereits viermal zugeschlagen und Bankomatkassen manipuliert haben. (Cosmas. Die Presse, 01.08.2006)

პერიფრაზი: Es wird behauptet, dass die Bande in Österreich bereits viermal zugeschlagen und Bankomatkassen manipuliert haben. (Cosmas. Die Presse, 01.08.2006)

159. Am Sonntag wurden - mehreren Wissenschaftern zufolge - 80 Kilometer östlich der Insel Paramuschir in 64 Kilometern Tiefe Erschütterungen der Stärke 6 nach Richter gemessen. Sie **sollen** knapp 50 Sekunden gedauert haben. In beiden Fällen hat es aber weder Opfer noch Zerstörungen gegeben. (Cosmas. Kleine Zeitung [Tageszeitung], 23.09.1999)

პერიფრაზი: Wie man berichtet, hat sie (Erschütterungen) 50 Sekunden gedauert. აღნიშნულ მაგალითებიდან ჩანს, რომ *sollen* ზმნა არ არის ორმაგად დიქტური.

ლ. ის. ის (2009: 9) მოსაზრება, რომ *sollen*, ერთს მხრივ, მიაწინებს ინფორმაციის წყაროზე და, მეორეს მხრივ, მოსაზრების მიერ რეალობის თვასაზრისით პროპოზიციის შეფასებას წარმოადგენს, საფუძველს მოკლებულია (ან ის არ განასხვავებს ძირითად და კომუნიკაციის პროცესში შექმნილ მნიშვნელობებს). მკვლევართა უმეტესობა (სმირნოვა / დვალი 2013, კოლომო 2011 და სხვ.) მიიჩნევს, რომ *sollen* ზმნა მხოლოდ ევიდენციალური მარკერია. ჩვენ დაკვირვებასაც იგივე დასკვნამდე მივყავართ. რატომაც უნდა, მოსაზრებს შეუძლია მისი საკუთარი პროზიცია და აფიქსიროს: წარმოქმნილს სჯეროდეს ან არ სჯეროდეს. ეს უკანასკნელი დასტურდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში:

160. Die Bäume in der Forstheide **sollen** nur geringen Brennwert haben. Das glaube ich nicht. (Cosmas. Niederösterreichische Nachrichten, 30.01.2007).

160-ე მაგალითში კონტექსტმა გვიჩვენა, რომ მოსაზრებები არ სჯერა, რასაც ამბობს.

ვარაუდს კომპონენტი და მატებით 4 მაგალითში შემოიტანა ვრცელ კონტექსტში სხვა მოდალური ოპერატორის -

*wahrscheinlich*-ის და *mutmaßlich*-ის გამორჩენამ. აღნიშნული მოდა ლური  
ოპერატორების გავლენით *sollen* ზმნა ეპისტემურ  
მნიშვნელობას იძენს:

161. Drei untergetauchte ehemalige Terroristen der RAF sind **wahrscheinlich** für zahlreiche Überfälle auf Supermärkte in Niedersachsen verantwortlich. Insgesamt **sollen** die drei dabei

in den vergangenen Jahren 380 000 Euro erbeutet haben. (Cosmas. Hannoversche Allgemeine, 28.05.2016)

162. Dank eines Zeugenhinweises hat die Polizei einen 33-jährigen *mutmaßlichen* Tankstellenräuber festgenommen. Er **soll** am Samstagabend die Tankstelle in der Zollhofstraße überfallen haben. Der Tatverdächtige hatte laut Polizei die Kassiererin mit einem Messer bedroht und mehrere Hundert Euro Bargeld erbeutet. (Cosmas. Mannheimer Morgen [Tageszeitung], 09.11.2016)

*sollen* ზმნა, როგორც ერთს ულღვნა და აღნიშნავენ გერმანულ ენათმეცნიერულ ლტერატურაში, გადმოსცემს სხვა პირის ნათქვამს, რომელიც არ შეიძლება იყოს წინადადების სუბიექტი (ვიოლშტაინი/დუდენის რედაქცია 2016: 541), ან თავად მოსაუბრე პირი.<sup>22</sup> *sollen* ზმნისათვის არ არის მნიშვნელოვანი, რეფერირებულ პირი ან პირები იდენტიფიცირებულ იქნება თუ ანონიმური და რჩება. მაგალითების 70%-ში ის ანონიმური რჩება მკითხველსათვის. დაახლოებით 20%-ში, ვრცელ კონტექსტიდან გამომდინარე, რეფერირებულ პირი მეტად თუნაკლებად ამოცნობადია. დაახლოებით 10%-ში კი, პირდაპირ წინადადებაშივეა დასახელებული ინფორმაციის წყარო.

163-ე მაგალითში, კონტექსტით, შესაძლოა ნათქვამი ფედერაციულად ოკატურას მივაწეროთ:

163. Die Bundesanwaltschaft hat gegen den Kulturreferenten der syrischen Botschaft in Bonn und einen weiteren Syrer Anklage wegen Spionage erhoben. Sie **sollen** zahlreiche syrische Oppositionelle in Deutschland bespitzelt sowie unter Druck als Agenten angeworben haben. (Cosmas. die tageszeitung, 13.05.2002)

164-ე-შიც სახელდება ინფორმაციის წყარო, რაც იმას არ გულისხმობს, რომ სტატიის ავტორი უშუალოდმას გაესაუბრა:

164. Der Mitbegründer des Landes **soll** bereits ab 1934 – also vor seiner Tätigkeit für die „Haupttreuhandstelle Ost“ zwischen 1939 und 1942 – als Immobilienmakler Geschäfte auf Kosten verfolgter Juden **gemacht** haben. Dies fand der Göttinger NS-Forscher Frank Möbus bei der Untersuchung bislang unbekannter Quellen heraus. (Cosmas. die tageszeitung, [Tageszeitung], 24.07.2013)

---

<sup>22</sup>სმირნოვა/დივალი (2013: 450) აღნიშნავენ, რომ შეუძლებელია, მოსაუბრე პირი თავის წარსულში ნათქვამს გადმოსცემდეს.

7 მაგალთში, პირდაპირ იმავე წინადადებაშია დასახელებული ინფორმაციის წყარო. აღნიშნულ მაგალთებში გამოყენებულია: *laut/ zufolge/ nach Angaben/ nach Informationen/ nach Aussagen/ demnach/ danach:*

165. **Laut** des Ex-Höllengels Steffen R. (41) **soll** der Kieler von den Rockern ermordet und seine Leiche in der Lagerhalle bei Kiel verscharrt worden sein. (Cosmas. Hamburger Morgenpost, 11.07.2012)

166. **Nach Aussagen** von Nachbarn **sollen** die beiden anderen Toten die Exfreundin des Polizisten und deren Freund sein. Die Polizei wollte sich dazu zunächst nicht äußern. (Cosmas. die tageszeitung [Tageszeitung], 11.09.2012)

შეიძლება ითქვას, წინადადებები, რომლებიც დასახელებული ინფორმაციის წყაროს და რომლებშიც, ამავე დროს, ევიდენციალური *sollen* გვაქვს, გარკვეულწილად პლონასტურია. ამგვარ წინადადებებში *sollen* სემანტიკურად ზედეთია. იგივე შინაარსის გადმოსაცემად სრულად საკმარისია სრულმნიშვნელოვანი ზმნა ფინიტურ ფორმაში, როგორც მაგალთად: *Nach Aussagen von Nachbarn sind die beiden anderen Toten die Exfreundin des Polizisten und deren Freund.* აღნიშნულ წინადადებაში შინაარსობრივი თვალსაზრისით *sollen*-ის გამოჩენა რაიმე დამატებითს არ გვაწვდის.

*sollen*, როგორც რეპორტული საშუალება, მნიშვნელოვანია მტკიცედ გაემიჯნოს ირიბი თქმის კონიუნქტივ I-ს. კონიუნქტივ I-ს მუდამ ჰყავს ნათქვამის ავტორი მხედველობაში და საქმის ვითარებას მისი პერსპექტივიდან წარმოადგენს. *sollen*-თან რეფერირებულ პირი რჩება ყურადღების მიღმა. უმთავრესად ის არც კი დასახელება, არამედ ანონიმური რჩება. კონტექსტიდან გამომდინარე, მსმენელმა თუ მკითხველმა შესაძლოა ივარაუდოს, თუ ვისგან ფლობს ინფორმაციას მოსაუბრე პირი. როგორც სმირნოვა /დივალდი (2011: 95) აღნიშნავენ, ამ შემთხვევაში არ არსებობს პირდაპირი და აუცილებელი კავშირი რეფერირებულ პირსა და მის ნათქვამს შორის. შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა, სინამდვილეში ვის ეკუთვნის გამონათქვამი: “Der aktuelle Sprecher Als Vermittler sagt aus seiner eigenen deiktischen Perspektive, dass der Inhalt der



Äußerung aus einer anderen Kommunikationssituation stammt und dass er dies gehört, gelesen oder in irgendeiner anderen Weise wahrgenommen hat. Hier ist die semantische Komponente des Wahrnehmens vorherrschend, die wir im Weiteren als Erfahren-Haben-Komponente notierten“ (ບໍ່ ມີ ອັນ ອື່ນ ຯ / ດ້ານ ລຸກ 2011: 97).

შეიძლება ითქვას, რომ როდესაც მოსაუბრე პირი იყენებს ევიდენციალურ *sollen*-ს, ის სხვა კომუნიკაციური სიტუაციიდან მიღებული ინფორმაციას (წაკითხულს, გაგონილს, მოსმენილს) აწვდის ადრესატს, როგორც საკუთარ შეტყობინებას და იმავე დროულ დახდენს ევიდენციის სპეციფიცირებას, რომელიც მის ნათქვამს საფუძვლად უდევს.

აღსანიშნავია, რომ ევიდენციალური *sollen* დახლოებით 95%-ში გამოყენებულია ქრონიკებში, მიმოხილვებში დაახლოებით 69%-ის მთავარ თემას კრიმინალური, უბედური შემთხვევების გამოძიების და სასამართლო პროცესების ობიექტური ანგარიშები წარმოადგენს. და რჩენილ 25%-ში, სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებების ანგარიშები და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებია მიმოხილული. ზოგადად ჩვენი მაგალითების მიხედვით, *sollen*-ის გამოჩენა ტიპურია იმ ტექსტებში, რომლებშიც ჟურნალისტის კომენტარები და სუბიექტური პოზიციანაკლება დფიქსირდება. ტექსტების მხოლოდ 5% წარმოადგენს რეპორტაჟს ან კომენტარს; მაგალითად:

167. Heute wartet in Oberbieber ein Postomnibus der Marke Daimler auf uns. Ilse Welker aus Neuwied schickte die Aufnahme. Um 1917/1918 *soll* das Bild entstanden *sein*. Das Vehikel hat Elastikbereifung und ist als Rechtslenker konstruiert. (Cosmas. Rhein-Zeitung, 01.02.2012)

აღსანიშნავია, რომ *sollen* 5%-ში კონიუნქტივ II-ის ფორმითაა წარმოდგენილი და მოდალურ შინაარსს გადმოსცემს. აღნიშნულ შემთხვევებში, *sollen* აღარ არის ევიდენციალური, რეპორტულ მარკერი, არამედ ის ეპისტემური მარკერია, რომელიც არა წყაროზე მიანიშნებს, არამედ მოსაუბრის ვარაუდს გამოხატავს:

168. Niklas Pauli (links) hatte für die SG Reifferscheid in Ney per Handelfmeter früh das 1:0 erzielt. Im weiteren Verlauf *sollten* er und seine Mitspieler aber keinen Grund mehr zur Freude haben. (Cosmas. Rhein-Zeitung, 16.05.2011)

169. Favorit ist der Bundesliga-Absteiger SG Berlin 07. Peine ist ein erfolgreiches Abschneiden

mit dem Klassenerhalt zu wünschen.“ Lok Seddin: „Meisterfavorit ist die SG 07 Berlin. Peine *sollte* nichts mit dem Abstieg zu tun haben.“ (Cosmas. Braunschweiger Zeitung, 15.09.2011)

შეიძლება ითქვას, ეპისტემური მნიშვნელობა *sollen* -ს მხოლოდ კონიუნქტივ II-ის ფორმასთან აქვს. ინდიკატივში ის ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია და მხოლოდ ევიდენციური მნიშვნელობის რეალობას ახდენს. *sollen* ზმნის გამოყენება

კონიუნქტივ II-ში ეპისტემური მნიშვნელობით, შეიძლება ითქვას, რომ თვალწისაცემად მცირეა ევიდენცია ლურთან შედარებით.

მაღან ხშირად, *sollen*-ს იყენებენ ისეთ კონტექსტში, როდესაც მოსაუბრე აქცენტს აკეთებს რაოდენობებზე და შესაბამისად, რიცხვებზე, სადაც დიდ რაოდენობის თანხებზეა საუბარი. ასეთი 20 მაგალთია. ამით ის გარკვეულწილად ჰგავს *angeblich*-ს, რომ ლს ტიპურ გამოყენების კონტექსტად ც მიიჩნევენ თემებს, რომ ლბშიც თანხებზე და რიცხვებზეა სპეკულაცია:

170. Neuer Tiefpunkt für die spanische Monarchie: Infantin Cristina und ihr Ehemann Iñaki Urdangarin müssen sich vor Gericht verantworten. Der Schwager des Königs *soll* rund 6 Millionen Euro *unterschlagen haben*. (Cosmas. Rhein-Zeitung, 12.01.2016)

სულ ორჯერ შეგვხვდა მოდალური ზმნა *nicht*-თან კავშირში (ორივე შემთხვევაში შიდა უარყოფასთან გვაქვს საქმე), რაც იმას ნიშნავს, რომ უარყოფითი კონტექსტი არ არის მისი ტიპური კონტექსტი:

171. Der russische Gasmonopolist Gazprom hat seine Gaslieferungen an den Nachbarn Ukraine um ein Viertel reduziert. Die Kunden in der Europäischen Union *sollen* von der Maßnahme *nicht betroffen sein*. (Cosmas. Rhein-Zeitung, 04.03.2008)

აღსანიშნავია, რომ *sollen* ზმნის კონკურენტულ ფორმაა წინადადების ზმნიზე და *angeblich*. შესაბამისად, მოსაუბრის არჩევანისას გადამწყვეტია - უარყოფითა თუ არა კონტექსტი. როგორც ჩანს, უარყოფითი კონტექსტის შემთხვევაში, მოსაუბრე უპირატესად იყენებს *angeblich*-ს.

*sollen* ზმნა ერთადერთ მაგალთში გამოჩნდა იმავე წინადადებაში მის კონკურენტულ ოპერატორ *angeblich*-თან ერთად:

172. Auf einem Friedhof in Menden-Barge *sollen* Ende des Zweiten Weltkrieges *angeblich* rund 200 Menschen *beigesetzt worden sein*. (Cosmas. die tageszeitung, [Tageszeitung], 29.09.2006)

აღნიშნულ მაგალთში, სტატიის ავტორი *angeblich*-ს

იყენებს გარკვეულ ინფორმაციაზე (rund 200 Menschen) ფოკუსირების საშუალებად. ის შინაარსობრივითა და ზრისითა ხალხურმა ტებს წინადადებას.

ევიდენციალური *sollen* ჩვენს მაგალთებში 3-ჯერ გამოჩნდა კონიუნქტივ I-თან ერთად ირიბი თქმის პასაჟში. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ კონიუნქტივ I-თან იმ ფიგურის სუბიექტურობა, რომლის ნათქვამის გადმოცემაც ხდება, აჭარბებს მოსაუბრის

ს უბიექტურობას . *sollen* ზმნის შემთხვევაში, ეს პირიქითა რის . მასში ავტორის სუბიექტურობა უფრო მეტია . როდესაც ორივე საშუალება ერთმანეთს გვერდითი დასახლება , ისინი ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენენ და ზოგ პასაჟში ავტორის სუბიექტურობა გადაწონის , ზოგში კი რეფერირებული პირის . აღნიშნულს საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მაგალითს :

173. Beschuldigt werden nach Angaben der Behörde vier ehemalige Krankenpfleger und eine Krankenpflegerin. Sie **sollen** zwischen Herbst 2013 und August 2014 heimlich mit ihren Handys Bilder und ein Video gemacht haben und sich dazu in Einzelfällen sogar zu den Opfern ins Bett gelegt haben. Einem Patienten **hätten** sie auf die nackte Brust geschrieben und ihn im Gesicht mit Schaum oder Creme beschmiert. Die Opfer waren dement oder nicht bei klarem Bewusstsein. Die 25 bis 30 Jahre alten Angeklagten **sollen** die Bilder auf ihren Computern abgespeichert haben. Drei Aufnahmen **seien** in einen Chat eingestellt worden. (Cosmas. Süddeutsche Zeitung, 22.07.2015)

173-ე მაგალითში გვაქვს ე.წ. Berichtete Rede (ვიოლუტაინი/დუდენის რედაქცია

2016: 536). მთელი პასაჟი ეძღვნება ოფიციალური უწყებების (*nach Angaben der Behörde*) ნათქვამის გადმოცემას . ამისათვის ავტორი ერთმანეთს ანაცვლებს რეპორტულ და ირიბი თქმის საშუალებებს : *nach Angaben, sollen, koniunktiv II* და *Konjunktiv I*. სინტაქსური გადმოცემის თვალაზრისით, ეს საშუალებები უფრო რეპორტულს წააგავს, რადგან მათში ავტორის სუბიექტურობა უფრო ჭარბობს (არც ერთ წინადადებას არ უძღვის წინ შესავალი და შემდეგ ციტატა, ან ორიგინალურ ნათქვამთან მიახლოებით გადმოცემა (მაგალითად, *Die Behörde berichten, dass...*)). მაგრამ, მეორეს მხრივ, პასაჟის ბოლომდე აქტუალური რჩება ნათქვამსა და ინფორმაციის წყაროს შორის კავშირი, ჟურნალისტისათვის მნიშვნელოვანია, აღნიშნოს, რომ ეს ყველფერი განაცხადებს ოფიციალურმა პირებმა . შესაბამისად, ისეთ პასაჟებში, რომლებშიც კონიუნქტივი I და *sollen* ზმნა ერთად არიან, ისინი ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენენ .

*sollen* ზმნა 5-ჯერ გვხვდება სათურში/ქვესათურში ან 206

ფოტოების დასათაურებაში:

174. Der Moderator **soll** eine Exfreundin vergewaltigt haben. Foto: dpa (Cosmas. Rhein-Zeitung, 02.12.2010)

შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ ას მაგალთზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ *sollen* ზმნა ისეთი ევიდენცია ლური მარკერია, რომ ლს

გამოყენებისას, მოსაუბრე პირი საკუთარ შეტყობინებას წარმოთქვამს სხვა კომუნიკაციური სიტუაციიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და, ამავე დროს, ხაზს უსვამს ინფორმაციის სხვა კომუნიკაციური გზით მიღების ფაქტს.

ევიდენციალური *sollen* დამატებით არ გამოხატავს მოსაუბრის ვარაუდებს და მოსაუბრის მიერ პროპოზიციის ნამდვილობის თვალაზრისით შეფასებას. ეპისტემური კომპონენტი *sollen* ზმნის სემანტიკის ნაწილ არარის, ასევე, მისი გამოყენება ეპისტემური ვარაუდის კონტექსტში ტიპური არარის.

მაგალთების 70%-ში რეფერირებულ პირი ან პირები ანონიმური რჩება მკითხველსათვის/მსმენელსათვის, დაახლოებით 20%-ში ვრცელ კონტექსტიდან გამომდინარე, მეტად თუნაკლუბა და მოცნობა და რეფერირებულ პირი, ხოლო დაახლოებით 10%-ში მოსაუბრე იმავე წინადადებაში ასახელებს ინფორმაციის წყაროს. რეფერირებულ პირის ანონიმურობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ევიდენციალური *sollen* ზმნის გამოყენებისას არ მყარდება კავშირი რეფერირებულ პირსა და ნათქვამს შორის. ნათქვამი წარმოადგენს არა რეფერირებულ პირის, არამედ მოსაუბრის შეტყობინებას. აქ იკვეთება სწორედ ევიდენციალური *sollen* ზმნის რეპორტულობა.

### 3.1.5. wollen

გერმანულენათმეცნიერულ ტერატურაში ერთს ულოვანა და აღნიშნავენ (დივალდი 1999: 227, მორტელმანსი/ვანდერბიჟენი 2011: 75, ვილშტაინი/დუდენის რედაქცია 2016: 576), რომ *wollen* ზმნა<sup>23</sup> ევიდენციალური ფუნქციით გადმოსცემს

<sup>23</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ევიდენციალური ფუნქციით *wollen* ზმნის მაგალთების მოპოვება უფრო რთულ აღმოჩნდა, ვიდრე *sollen*-ის, აღნიშნულ ფუნქციაში მისი იშვიათი გამოყენების გამო. *sollen* ზმნის მსგავსად



ვეძიეთ ლმა *wollen* ერთ წინა და დებაში *haben*-ის ან *sein*-ის მყარ ფორმებთან ერთად და გამოვრიცხეთ მძიმე. *wollen*-თან დამატებით განვსაზღვრეთ საძიებო სიტყვების თანმიმდევრობა წინა და დებაში (ჯერ *wollen* და შემდეგ *haben* ან *sein*) და, ასევე, უზულებელყავით კავშირი *und*. ფორმულა ასე გამოიყურება:

&wollen /+s0 (haben ODER sein) NICHT (, ODER “und”)

საძიებო დავალებაში დამატებითი პარამეტრების დამატება იმითომ გახდა საჭირო, რომ კიდევ უფრო მეტად გამოგვერიცხა ცირკუმსტანციული *wollen* ზმნა.

აღნიშნული ფორმულით მოძებნა 955 მაგალითი, რომელშიც შევარჩიეთ 95 ევიდენცია ლური

*wollen*.

წინადადების სუბიექტის ნათქვამს, რაც იმას ნიშნავს, რომ *wollen*-ის გამოყენებისას ყოველთვის იცის მკითხველმა თუ მსმენელმა, ვინ არის ინფორმაციის თავდაპირველი ავტორი, იგივე რეფერირებული პირი.

როგორც სხვა ევიდენციალური მარკერებისათვის, *wollen* ზმნისთვისაც შეუზღუდავია, მოსაუბრე პირის მიერ რეფერირებული პირიდან ინფორმაციის მიღების საშუალებები. რადგან ინფორმაციის წყარო წინადადების სუბიექტია, ეს თავისთავად არ გულისხმობს, რომ უშუალოდ მასთან შედგაკომუნიკაცია. შეიძლება წინადადების სუბიექტის ნათქვამი მოსაუბრემ სადმე წაიკითხა, ან სხვა შუამავალი პირისაგან შეიტყო, როგორც ეს 175-ე მაგალითია:

175. Die Polizei wurde gerufen. Nach ersten Angaben **wollte** der Angeklagte das Auto gar nicht gefahren haben. Zeugen widerlegten diese Aussage. Vor Gericht war sich der Angeklagten dann selbst nicht mehr sicher. (Cosmas. Rhein-Zeitung, 27.03.1997)

175-ე მაგალითადან ჩანს, რომ მოსაუბრემ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით გავრცელებული პირველ დონობებიდან და ანგარიშებიდან იცის, თუ რა თქვა წინადადების სუბიექტმა და უშუალოდ ბრალდებულთან არ ჰქონია კომუნიკაცია.

რადგან ევიდენციალური *wollen* ზმნის გამოყენებისას ყოველთვის მხედველობის არეში შემოდის პირი, რომელც არის მტკიცების ავტორი, საინტერესოა, რა როლი აქვს მას და რა როლი აქვს მოსაუბრე პირს. საქმე გვაქვს რეფერირებული პირის ნათქვამის/მტკიცების მიახლოებით გადმოცემასთან თუ მოსაუბრე პირის საკუთარ შეტყობინებასთან?! შეიძლება ითქვას, რომ *wollen* ზმნა წარმოადგენს, როგორც ევიდენციალური *sollen* ზმნა, მოსაუბრის შეტყობინებას. 175-ე მაგალითი მოსაუბრის პერსპექტივიდან არის წარმოდგენილი. ის არ არის მიახლოებული ნათქვამის ორიგინალთან. ბრალდებულ თავის თავზე ვერიტყოდ: *Nach ersten Angaben habe ich das Auto gar nicht gefahren.* 175-ე მაგალითი გვიჩვენებს, რომ მასში მოსაუბრის სუბიექტურობა

აჭარბებს რეფერირებულ პირისას. ჟურნალსტმა ერთ ფრაზად შეკრა სხვადასხვა ინფორმაციები.

იგივეს ადასტურებენ ისეთი მაგალითები, რომლებშიც, მართლაც რეფერირებულ პირი წინადადების სუბიექტია, მაგრამ არარის იდენტიფიცირებულ:

176. Eine junge Mutter verliert auf einem Langstrecken- flug ihre kleine Tochter aus den Augen.  
Keiner **will** sie gesehen haben. (Cosmas. Die Presse, 03.10.2007)

177. Soldaten aus dem Tschad **wollen** den Topterroristen Mokhtar Belmokhtar getötet haben.  
(Cosmas. Rhein-Zeitung, 04.03.2013)

178. Einige Einwohner Hachenburgs **wollen** in der Löwenstadt einen Wolf gesichtet haben.  
(Cosmas. Rhein-Zeitung, 28.02.2012)

179-ე მაგალთში, შეიძლება ითქვას, რომ გაცილებით შესუსტებულია მოსაუბრის სუბიექტურობა, რადგან უშუალოდ მას, რაც ანალოზმა დაასკვნა, ურყევად ცვლელის გარეშე იმეორებს მოსაუბრე პირს (რაც იქედან ჩანს, რომ არახდენს წინადადების დაქვემდებარებას, კონიუქტივის I-ის გამოყენებას ან სხვ.). ასევე, აღსანიშნავია, რომ *wollen* ზმნა მისთვის ძალა ან არატიპურ კონტექსტშია ევიდენციალურად გამოყენებული. კერძოდ, როდესაც წინადადებაში უსულს სუბიექტია (eine Analyse). ამ შემთხვევაში, უსულს სუბიექტში მისი ავტორები იგულისხმება.

179. Eine interne Analyse des Weltverbandes Fifa **will** herausgefunden haben: Eine WM mit 48 Mannschaften ist die profitabelste Variante. (RHZ16/DEZ.26044 Rhein-Zeitung, 24.12.2016)

